მიხეილ სააკაშვილმა ჩრდილოეთის საზღვარი მოინახულა A3

დესტაბილიზაციის დემონსტრირება დეკლარირებული სტაბილურობის საპირწონედ A7

"საოჯახო ტოტოს" ცხრილი B6-B7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი, 8 დეკემბერი, 2003 წელი. №317 (529) | ფასი 50 თეთრი

პოლიტიკა

ბიზნესმენებს ჩუმად ყოფნა აღარ სურთ

22 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე შეკრებილთა შორის მრავლად იყვნენ ბიზნესის წარმომადგენლებიც, რომელთაც იქ მისვლით არსებული ეკონომიკური სისტემის მიმართ პროტესტი გამოთქვეს.

A2

ეკონომიკა

ეკონომიკური ექსპერტები ხელისუფლებას ურჩევენ...

ეკონომიკური ექსპერტები: ნიკო ორველაშვილი, ირაკლი მელაშვილი, ოთარ ზოიძე, აკაკი ჩარგეიშვილი, ირაკლი შავიშვილი საქართველოს ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის გამოყვანისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის ახალ ხელისუფლებას კონკრეტული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებას სთავაზობენ.

A4

უცხოეთი

არჩევნები 2003: "ყველას წინააღმდეგ!"

"რუსეთს ეძლევა უნიკალური შანსი, ხმა არ მისცეს ყავისფერ ბოლშევიზმს. თუ რუსი მემარჯვენეები პარლამენტს მიღმა დარჩებიან, მათ ადგილს როგოზინის ტიპის ულტრანაციონალისტები დაიკავებენ," - აცხადებს ირინა ხაკამადა.

A5

საზოგადოება

ამაღლება და გაბრწყინება

შაბათს, ნაშუადღევს წმინდა სამების ტაძრის გუმბათზე ბრწყინვალე ჯვარი აღიმართა. იმ დღეს მზიანი ამინდი იყო, მაგრამ ჯვრის აზიდვის დროს ციური მნათობი პატარა ღრუბელს მიეფარა, - თითქოს, მემონტაჟეთათვის ხელის შეშლა არ უნდაო.

A6

სამართალი

„ხავერდოვანი რევოლუციის„ სამართლებრივი შედეგი

"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდგომ სერიოზული ცვლილებები სასამართლო ხელისუფლებაშიც მოხდა. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური მოტივით შეკერილი საქმეები გარდამავალი ხელისუფლების არსებობის ეპოქაში ერთმანეთის მიყოლებით იშლება. "ხავერდოვანი რევოლუციის" სამართლებრივი შედეგების მაგალითები უკვე სახეზეა.

A7

ამინდი

თბილისი	13	☁
ქუთაისი	14	☁
ბათუმი	16	☁
სოხუმი	9	☁
ფოთი	14	☁
თელავი	12	☁
ზუგდიდი	13	☁
გორი	11	☁
ახმეტა	12	☁
ჭიათურა	12	☁
გაგრა	6	☁

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1770
ევრო	2.6283
გირვანქა სტერლ.	3.7481
რუბლი	0.0735

ძალოვანთა გუნდური მუშაობის შედეგები

ქართველ ძალოვანებს დასამშვიდებელი ბევრი არაფერი აქვთ.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენული ვითარების გამო საგანგებო მდგომარეობაში გადაყვანილმა, უკვე ტრადიციულმა, უშიშროების საბჭოს მუშაობამ ფერისცვალება განიცადა. გუშინ, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებულ, უშიშროების საბჭოს ფაქტობრივ სხდომას, ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების კოორდინირებულ მუშაობასთან დაკავშირებული შეხვედრა დაერქვა. არადა, ამ შეხვედრას, რომელიც დახურულ კარს მიღმა თითქმის ორ საათს გაგრძელდა, უშიშროების საბჭოს მდივნიდან დაწყებული, ძალოვან მინისტრებთან ერთად, საბჭოს თითქმის ყველა წევრი ესწრებოდა.

თამარ კაციტაძე

"დღევანდელი შეხვედრა იმის დასტურია, რომ ძალოვანი უწყებები გუნდურ რეჟიმში მუშაობენ. აღნიშნული გზით ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ყოველდღიურად ცვლიან ოპერატიულ ინფორმაციას და სხვადასხვა გეგმებს სახავენ. ამგვარი შეხვედრა მომავალში ჯერ უშიშროების სამინისტროში შედგება, შემდეგ კი გენერალურ პროკურატურაში გაიმართება," - ამგვარი კომენტარი გაუკეთა ტრადიციულ შემაჯამებელ ბრიფინგზე სახელმწიფო საინფორმაციო

გაგრძელება A7 გვერდზე

დასაწყისი - ცარიელი ფურცელი

გუშინ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კვლავ იმ უმთავრეს პრობლემაზე იმსჯელა, რომელიც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაციების წინაშე დგას. ეს ამომრჩეველთა ერთიანი სიების ფორმირების საკითხია. ცესკო-ს წევრთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენის ის მექანიზმი, რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ წარადგინა, ყველაზე მისაღები ვარიანტია.

თამარ მჭედლიშვილი

ცენტრალური საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებზე პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს. თანაც, როგორც მისი წევრი, იურისტი ელზა გულიაშვილი აცხადებს, საარჩევნო კანონმდებლობა ამომრჩეველთა სიების შედგენაზე პასუხისმგებლობას სწორედ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აკისრებს.

რაც შეეხება კომისიის თავმჯდომარეს ზურაბ ჭიაბერაშვილს, იგი კვლავ იმეორებს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამომრჩეველთა ერთიანი მონაცემების დადგენა ყველაზე რთული პროცესია.

"ამ დღეებში ჩვენ არაერთი კონსულტაცია გავმართეთ, რომლის დროსაც გაირკვა, რომ, ამ მხრივ, ძალზე სერიოზული პრობლემები გვაქვს. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროში მონაცემების ორი განსხვავებული ბაზა არსებობს: პირველი – ეს ის მონაცემებია, რომელიც სამინისტრომ აპრილ-მაისში მოამზადა და მეორე – კომპიუტერული ბაზა, სადაც მითითებული არიან ის ამომრჩევლები, რომელთაც პირადობის დამადასტურებელი მონაცემები აღებული აქვთ. თუმცა, ამ ბაზაში არ არიან მითითებულნი ის ადამიანები, რომლებიც დღესაც საბჭოთა კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტებით სარგებლობენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

საპრეზიდენტო არჩევნების მოწინააღმდეგეთა ყველა გზა ბათუმში მიდის

გიორგი ასანიშვილი

4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ საკმაოდ არაორდინალური ვითარება შეიქმნა: ამჟამად თითქმის არავინ მსჯელობს და კამათობს იმაზე, ვინ გახდება სახელმწიფო ლიდერი - მიხეილ სააკაშვილს, ყველა დანარჩენ პრეტენდენტთან შედარებით, უზარმაზარი უპირატესობა აქვს. ამიტომაც იყო, რომ მისი ძირითადი კონკურენტები თავის შერცხვენას მოერიდნენ და 4 იანვარს სააკაშვილთან პოლიტიკურ რინგზე გასვლაზე უარი თქვეს. "ვარდების რევოლუციით" დაზარალებული ძალები დღეს, პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლაზე მეტად, იმით უფრო არიან დაინტერესებულნი, რომ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას ხელი შეუშალონ.

არადა, შევარდნაძის გადადგომამდე ცოტა ხნით ადრე, "ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი თავად გამოდიოდა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით და საკანონმდებლო ორგანოში შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივითაც კი შევიდა. იგი იმდენად თავდაჯერებული ჩანდა, რომ 2 ნოემბრის წინასაარჩევნო კლიპებში საკუთარ

გაგრძელება A2 გვერდზე

ახალი ცივი ომის ლანდი

რუსეთმა უნდა შეასრულოს სტამბულში ნაკისრი ვალდებულებები

მერი კახიანი
ვენიდან

"ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს საქართველოში მოვლენების განვითარებას.

ჩვენ მივმართავთ საქართველოს ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ მომავალი წლისათვის დანიშნული არჩევნები დემოკრატიულად და კორექტულად ჩატარდეს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ჩვენი ალიანსი, თანამშრომლობის ყველა მექანიზმის გამოყენებით, შემდგომაც განავითარებს საქართველოსთან პარტნიორულ ურთიერთობას.

ჩვენ დაბეჯითებით ვაცხადებთ, რომ ერთგულნი ვრჩებით ევროპაში შეიარაღებული ძალების კონვენციის შესახებ ხელშეკრულებისა, როგორც ევროპის უსაფრთხოების ფუნდამენტის მიმართ და ჩვენი დამოკიდებულება ადაპტირებული ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით განმტკიცდება.

ჩვენ გვახსოვს, რომ ჯერ ისევ ღიად დარჩენილმა სტამბულის ვალდებულებებმა საქართველოსა და მოლდოვას მიმართ, წინა პირობა უნდა შექმნას ალიანსის ქვეყნებისა და ხელშეკრულების მიმღები სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

ჩვენ მივესალმებით ადაპტირებული ხელშეკრულების იმ არა წევრი ქვეყნების განზრახვას, მიუერთდნენ რა ხელშეკრულებას, მისი ძალაში შესვლის შემდეგ," - ნათქვამია ნატო-ს ოფიციალურ შეტყობინება-კომუნიკეში. დოკუმენტი მიღებულია ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრისას ბრიუსელში, 4 დეკემბერს.

მაასტრიხტში, ეუთო-ს მე-11 კონფერენციაზე წარმოქმნილი აზრთა სხვადასხვაობა და კამათი, ევროპაში შეიარაღებული ძალების კონვენციის შესახებ, ბრიუსელში, ნატო-რუსეთის საბჭოს

გაგრძელება A3 გვერდზე

უკანონო პატიმრობაში მყოფი დამკვირვებელი თავისუფალია

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინ ბათუმის იზოლატორის კედლები დატოვა არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრმა გიორგი მშვენიერაძემ. მშვენიერაძე გუშინვე, ერთთვიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ, ოჯახს დაუბრუნდა.

ახალგაზრდა დამკვირვებელს უკანონო პატიმრობა აჭარელმა სამართალდამცველებმა მხოლოდ ატეხილი დიდი აჟიოტაჟისა და საქმეში უცხოური დიპლომატიური კორპუსის ჩართვის შემდეგ შეუწყვიტეს, თუმცა შესაძლოა, არც უცხოური დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და არც საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნას ჰქონოდა შედეგი, რომ არა ასლან აბაშიძის ნება. ჩვენი ინფორმაციით, მშვენიერაძის გათავისუფლება თავად აბაშიძის მითითების შემდეგ გადაწყდა. "თხოვნა-შუამდგომლობა" – ასე ჰქვია იმ დოკუმენტს, რომელიც აბაშიძემ

გაგრძელება A7 გვერდზე

დემოკრატიის მომავალი რუსეთში

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ რუსეთში სახელმწიფო დუმის არჩევნები ჩატარდა. მოსკოველები ასევე ქალაქის მერსაც ირჩევდნენ. თავისი მოქალაქეობრივი ვალი დილაადრიან რუსეთის პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემაც მოიხადეს. ჟურნალისტის კითხვაზე, თუ ვის მისცა ხმა, სახელმწიფოს ნომერ პირველმა პირმა პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ მისი პასუხი შესაძლოა, ხალხმა დამატებით აგიტაციად ჩათვალოს. **"თუმცა, ვფიქრობ, ჩემი მოსაზრებები ყველასათვის ცნობილია,"** - დასძინა პუტინმა.

სააგენტო "ბიბისი" იუწყებოდა ამომრჩეველთა შორის აპათიის არსებობის შესახებ, რომლებიც

გაგრძელება A5 გვერდზე

კურსანტებმა არჩევანი გააკეთეს.

ზურაბ ნოღაიდელი: "საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდებოდა მის თავს..."

ზურაბ ნოღაიდელი, დაახლოებით, ათი დღეა, ფინანსთა სამინისტროს უდგას სათავეში. მას დღეს ის სფერო აბარია, სადაც უახლოეს პერიოდში მიღწეულ წარმატებასა თუ წარუმატებლობაზე ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური, სოციალური და, გნებავთ, პოლიტიკური პერსპექტივაც არის დამოკიდებული.

თამარ ხორბალაძე

- თქვენ ამ დღეებში საუბრობდით ქვეყანაში შექმნილ საგანგებო საფინანსო მდგომარეობაზე. რას გულისხმობთ ამ სიტყვებში?

- როცა მოდის ახალი მთავრობა და ხედავს, რომ ერთი მეოთხედი ხარჯებისა გაუწეველია, ეს არის საგანგებო მდგომარეობა. მესმის, რომ მოსახლეობა მომენტალურ შედეგს ელის. არ ვაპირებ გვირაბის ბოლოს შუქის მოლოდინზე დავიწყო საუბარი, მაგრამ, სამწუხაროდ, თებერვალ-მარტამდე სიტუაციის კარდინალურად გამოსწორება ძალიან რთული იქნება.

მდგომარეობა რომ საკმაოდ მძიმეა, ყველაფრიდან ჩანს. ჯერ კიდევ აგვისტოდან გაუცემელია პენსიების ნაწილი. ზოგიერთ სტრუქტურაში ხელფასი სექტემბერშიც არ არის დარიგებული და, როგორც მინიმუმ, 2 თვის დავალიანებაა ყველგან დაგროვილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 პოლიტიკა | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი

B1 ომბუდსმენი | B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6-B7 "საოჯახო ტოტო" | B8 სხვადასხვა

საპრეზიდენტო არჩევნების მოწინააღმდეგეთა ყველა გზა ბათუმში მიდის

პირველი გვერდიდან

პერსონას უკვე "საქართველოს მომავალ პრეზიდენტად" მოიხსენიებდა. ნათელაშვილი, წესით, ნოემბერში განვითარებული მოვლენებით, თითქოს, კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო, რადგან "ვარდების რევოლუციამ" ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება რეალობად აქცია. მაგრამ "ლეიბორისტული პარტიის" ლიდერი, ცესკო-ში სათანდო განაცხადის შეტანის ნაცვლად, ბათუმში გაიქცა და ასლან აბაშიძესთან პოლიტიკური ვაჭრობა გააჩაღა.

ნათელაშვილის მსგავსად, ორმაგი სტანდარტებით "სარგებლობს" ირინა სარიშვილიც. 23 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ იგი აცხადებდა, რომ პარლამენტში შეჭრით, კონსტიტუცია და კანონიერება დაირღვა, მაგრამ ამ დღეებში მან თავად მოინდომა ქვეყნის ძირითადი კანონისთვის გვერდის ავლა: იმ მოტივით, რომ "მოსახლეობა ფსიქოზის ქვეშ იმყოფება", სარიშვილი საპრეზიდენტო არჩევნების ექვსი თვით გადადებას ითხოვს. არადა, საქართველოს კონსტიტუციაში ნათლად წერია, რომ "პრეზიდენტის არჩევნები ტარდება პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან 45 დღის განმავლობაში" (მუხლი 76). ამ ჩანაწერის "გაბათილებას" ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის სპიკერი ხელმოწერების შეგროვებით ცდილობს, რასაც ქართული კანონმდებლობისთვის "ჩალის ფასი" აქვს. ყოველ შემთხვევაში, არა იმაზე მეტი, რაც საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას.

პოლიტიკური პოზიციების სიმყარით ვერც "ტრადიციონალისტთა კავშირის" თავმჯდომარე გამოირჩევა. სულ რამდენიმე დღის წინათ, აკაკი ასათიანი ხმამაღლა აცხადებდა, რომ აჭარის ხელმძღვანელთან საშუამავლო მისიით მიემგზავრება, მაგრამ ბათუმში ჩასვლისთანავე თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ "იგი ამ ხელისუფლების (დროებითი) შუამავალი არ არის".

საერთოდ, თვალშისაცემია, რომ ასლან აბაშიძესთან, ძირითადად, ის ხალხი შეიკრიბა, ვისაც 4 იანვარს ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნების გამართვა არანაირად ხელს არ აძლევს. მათი მიზანია, მოიძებნოს ფორმა, რომელიც თუ არ ჩაშლის, ყოველ შემთხვევაში, დააკნინებს მაინც რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს.

როგორც ჩანს, ასლან აბაშიძესთან კონსულტაციები მიმდინარეობს იმაზე, რომელი ნაბიჯის გადადგმა სჯობს - არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადება თუ მისი გადადების მოთხოვნის წამოყენება.

პირველ შემთხვევაში, 4 იანვრის არჩევნები ლეგიტიმურობას მაინც არ დაკარგავს, ვინაიდან ბოიკოტის განხორციელება, პრაქტიკულად, მხოლოდ აჭარის ტერიტორიაზეა შესაძლებელი და იგი საერთო ეროვნულ მასშტაბს ნამდვილად ვერ შეიძენს. თუმცა, ისიც საეჭვოა, რომ ასეთი სვლით ასლან აბაშიძემ რაიმე მოიგოს. პირიქით: ამ გადაწყვეტილებით იგი თავად ავტონომიური რესპუბლიკის შიგნით შეირყევს პოზიციებს და არ არის გამორიცხული, შედეგად მიიღოს ის, რაც ედუარდ შევარდნაძეს ხალხის პოლიტიკური ნების გაუთვალისწინებლობით დაემართა.

ასევე საეჭვოა მეორე ვარიანტის - არჩევნების გადადების - რეალიზების შესაძლებლობა. იგი, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს ეწინააღმდეგება და დროებითი ხელისუფლება მას არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმება. არჩევნების გადადების საკითხზე ხელმოწერების შეგროვება რომც დაიწყოს, მაინც, რამდენი მხარდამჭერი გამოუჩნდება ამ იდეას? ალბათ, ზუსტად იმდენი, რამდენი ადამიანიც დგას ბათუმში "დისლოცირებული" გაკოტრებული პარტიული ჯგუფების უკან. ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ თუნდაც ამ ტაქტიკამ გამოიღოს ის შედეგი, რასაც 4 იანვარს საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოწინააღმდეგენი ვარაუდობენ.

დასაწყისი - ცარიელი ფურცელი

პირველი გვერდიდან

ორივე ბაზა სერიოზულ დახვეწას მოითხოვს. პირველის თანახმად, საქართველში სამი მილიონ 200 000 ამომრჩეველია. აქედან ამოსაღებია 382 000 გარდაცვლილი ადამიანის სახელი, ხოლო 320 000 ამომრჩევლის მონაცემი დუბლირდება. მეორეც არასრულია - არ არიან მითითებული გარდაცვლილები და არც ისინი, ვისაც სსრკ-ს სიმბოლიკიანი პასპორტები აქვთ. დარჩენილ ვადაში ამ ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია. თანაც, დაკავშირებულია ხარჯებთან. ჩვენ ვკითხეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, დაეხმარებიან თუ არა ისინი ფინანსურად შინაგან საქმეთა სამინისტროს, რაზეც, ცოტა არ იყოს, სკეპტიკური პასუხი მივიღეთ. ისინი აცხადებენ, რომ დაეხმარებიან მხოლოდ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. სახელმწიფო უუნაროა, შეასრულოს ამომრჩეველთა მონაცემებთან დაკავშირებული ტექნიკური სამუშაოები და არ უნდა გვქონდეს ილუზია, რომ ერთ კვირაში რაიმე შეიცვლება," – განაცხადა გუშინ ზურაბ ჭიაბერაშვილმა.

ზურაბ ჭიაბერაშვილი: "სხვა გამოსავალი არ არის და ამომრჩეველთა მონაცემების დადგენის პროცესი ცარიელი ფურცლიდან უნდა დაიწყოს".

მისი თქმით - **"სხვა გამოსავალი არ არის და ამომრჩეველთა მონაცემების დადგენის პროცესი ცარიელი ფურცლიდან უნდა დაიწყოს"**. თავად ამ პროცედურას კი სამი ეტაპი დასჭირდება: ამომრჩეველთა მისვლა საარჩევნო უბნებზე და მათი რეგისტრაცია, მონაცემების დაზუსტება ადგილზე, შემდეგ კი საოლქო საარჩევნო კომისიებსა და ცესკო-ში გადაგზავნა.

გუშინ ცესკო-მ, ამ პროცედურების შესასრულებლად, კონკრეტული ვადები განსაზღვრა. ამომრჩეველთა წინასწარი რეგისტრაცია 16 დეკემბრიდან დაიწყება და 21 დეკემბრამდე გასტანს. ამის შემდგომ კი დაიწყება მონაცემების გადამოწმების პროცესი.

იმ ამომრჩეველს, რომელიც, გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოახერხებს წინასწარი რეგისტრაციისთვის საარჩევნო უბანზე მისვლას, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მაინც ექნება.

და კიდევ: სავარაუდოდ, დღეს ცენტრალური საარჩევნო კომისია შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად მიმართავს და მას იმ ამომრჩეველთა მონაცემებს მოსთხოვს, რომელთაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობები აღებული აქვთ.

გუშინ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილებამ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა. თანხამ 5 მილიონ 414 930 ლარი შეადგინა. ცესკო-ში იმედოვნებენ, რომ ფინანსურ დახმარებას უცხოური ორგანიზაციებიდან უპრობლემოდ მიიღებენ.

ბიზნესი და პოლიტიკა

ბიზნესმენებს ჩუმად ყოფნა აღარ სურთ

22 ნოემბერს თავისუფლების მოედანზე შეკრებილთა შორის მრავლად იყვნენ ბიზნესის წარმომადგენლებიც, რომელთაც იქ მისვლით არსებული ეკონომიკური სისტემის მიმართ პროტესტი გამოთქვეს.

მაია ჩიკვაიძე

"ამ სისტემამ მონებად გვაქცია და აზრის გამოხატვის თავისუფლება წაგვართვა, - ამბობს 55 წლის კომერსანტი გიორგი მაისურაძე, ქალაქის ცენტრში მდებარე პატარა სასურსათო მაღაზიის თანამფლობელი, - **მე აღარ ვარ პიროვნება; შემოსავალს ვმალავ, სანაცვლოდ ვიხდი ქრთამს. ისეთივე გასვრილი ვარ კორუფციაში, როგორც საგადასახადოს მოხელე... ხელისუფლება და მასთან ჩახუტებული კლანები კანონზე მაღლა აყენებენ თავს და მილიონებს იჯიბავენ, შენ კი, ხმა თუ ამოიღე, რევიზიას ჩაგისვამენ, გაგაკოტრებენ და ციხეში გიკრავენ თავს. მომწყინდა კომუნისტურ სისტემაში ცხოვრება! მინდა თავისუფალი ვიყო!"**

2 ნოემბრის არჩევნებამდე, ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკის შეხვედრას წვრილ და საშუალო მეწარმეებთან, რომელიც გრიბოედოვის თეატრში გაიმართა, მაისურაძეც დაესწრო, იმ იმედით, რომ საგადასახადო კოდექსის ნაკლოვანებებსა და არახელსაყრელ ეკონომიკურ გარემოზე ილაპარაკებდა. პოლიტიკოსებმა იქ შეკრებილებს მოუწოდეს, არსებული ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილება ქუჩაში გამოსვლებით გამოეხატათ. ამ მოწოდებამ კომერსანტები საკმაოდ შეაფიქრიანა: მეწარმეთა საჯარო პროტესტი ყოველი მათგანის საქმიანობას საფრთხის ქვეშ დააყენებდა; მაგრამ მოგვიანებით, ხალხის განწყობამ და რწმენამ, რომ ეს ხელისუფლება უნდა წასულიყო, ისინიც ქუჩაში გამოიყვანა: **"ჩვენ დავიჯერეთ, რომ ძალა ვართ და ვითარების შეცვლა შეგვიძლია. ეს დიდი გამარჯვებაა,"** - ამბობს მაისურაძე.

იჯარით აღებულ ფართზე გახსნილი მინი-მარკეტი მაისურაძის ოთხწევრიან ოჯახს კვების, კომუნალური გადასახადების დაფარვის, ბაზრობაზე ან "სექენდ-ჰენდის" მაღაზიებში ნაყიდი ტანსაცმლით შემოსვისა და მსუბუქი მანქანის შენახვის შესაძლებლობას აძლევს. **"ცხოვრების ქართული სტანდარტით თუ ვიმსჯელებთ, ღატაკები არ ვართ,"** - ამბობს მაისურაძე. მაგრამ რესტორანში ასი ლარის დახარჯვა მისი ოჯახის ბიუჯეტს მძიმე დარტყმას მიაყენებს. ლაპარაკი აღარ არის წარმოების გასაფართოებლად კაპიტალის დაგროვებაზე. ამის საშუალება მაისურაძეს არ აქვს.

მეწარმეთა უმეტესობისთვის, არსებული საგადასახადო კანონი, შემოსავლის დამალვის გარეშე ბიზნესის წარმოებას უპერსპექტივოს ხდის. ფაქტობრივი გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში შედის, კანონით გათვალისწინებულის მესამედიც არ არის. დაახლოებით, იგივე ოდენობის თანხა იხარჯება საგადასახადო ინსპექტორის გასაჩუმებლად, რომელიც წლის ბოლოს ჩატარებული რევიზიისას უფრო მნიშვნელოვნად ივსებს ჯიბეს. რასაკვირველია, წვრილი ბიზნესმენებიც აწარმოებენ მათთვის წართმეული თანხების მიახლოებით ბუღალტერიას: წლის განმავლობაში წვრილი საწარმოებიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით აკრეფილი "შავი ბიუჯეტის" თანხა, დაახლოებით 200 მლნ ლარს აღწევს. შთამბეჭდავია მაკონტროლებელ სტრუქტურებში თანამდებობების ფასიც: რაიონული საგადასახადო სამსახურის უფროსის სკამი, როგორც ამბობენ, 50 ათასი დოლარი ღირს, რაიონული ინსპექტორისა კი - 5 ათასი დოლარი. საგადასახადო განაკვეთების შემცირება, მეწარმეთა აზრით, მოხელეთა მადასაც ალაგმავდა და მათი თანამდებობების ფასსაც შეამცირებდა; ბიზნესმენებს კი უკეთეს პირობებს შეუქმნიდა სუფთად მუშაობისთვის. **"რაღაც პერიოდით მაინც მცირე საწარმოებს შეღავათი უნდა მისცენ, თორემ მოღონიერებას ვერასდროს შევძლებთ"**, - ამბობს მაისურაძე.

ცალკე პრობლემას ქმნის გადასახადებისა და მაკონტროლებელი სტრუქტურების სიმრავლე, რაც სახელმწიფო რეკეტს დამატებით შანსს აძლევს მანიპულირებისთვის. **"უკეთესი იქნებოდა, არსებობდეს ერთი - კორპორატიული გადასახადი,"** - ამბობს 38 წლის ირაკლი გოგიაშვილი, ავტოპროფილაქტიკის ერთ-ერთი მფლობელი.

გოგიაშვილიც, სხვების მსგავსად, საპროტესტო მიტინგებზე იდგა: **"მე მინდოდა შევარდნაძის გადაგდება; არ შეიძლება, სახელმწიფო და კრიმინალი უნისონში მუშაობდეს"**.

გოგიაშვილი საშუალო ბიზნესის წარმომადგენელია. უცხოური მარკის ავტომობილით დადის, ინახავს ოთხწევრიან ოჯახს და დანაზოგის შესაძლებლობაც აქვს, მაგრამ მოძალადეებისგან საკუთარი თავისა და ბიზნესის დასაცავად ყოველდღიური ბრძოლა უწევს. **"ყოველდღე კლიენტებთან "კაჩაობა" მიწევს,** - ამბობს გოგიაშვილი, - **ათიდან ხუთი კლიენტი იმას არკვევს, ვინ არის საწარმოს მფლობელი და გაუვა თუ არა შარის მოდება და ახირება. თანაც, რაც უფრო დიდი თანამდებობა აქვს კაცს და, შესაბამისად, მეტი ფული, მით უფრო დიდ გულზეა და რატომღაც ცდილობს, უფასოდ გამოძვრეს. მაგალითად, მოდის "ემ-ვე-დე"-ს მკვლელობების განყოფილების უფროსი და მოითხოვს, რომ მისი მანქანა ნახევარ ფასში გავაკეთოთ. რატომ? ანდა მოდიან უშიშროების თანამშრომლები და საწარმოდან წილს ითხოვენ"...**

გოგიაშვილი, საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად, ქრთამის სახით, ყოველთვიურად 16 ორგანიზაციას უხდის ფულს. ელენერგიის გადახდის გარდა, თანხა გადის რაიონულ ქვესადგურსა და საქენერგოში, რათა შუქის გამორთვებმა წარმოება არ დააზარალოს. თავისი წილი "ღალა" მიაქვს სახანძრო ზედამხედველობას, ეკოპოლიციას, დამიწების, სტანდარტიზაციისა და ანტიმონოპოლიურ სამსახურებს. გოგიაშვილის სიტყვით, ყველაზე ადვილია ურთიერთობა საგადასახადო ინსპექციის მოხელეებთან. "ცივილური ხალხია". სტანდარტიზაციისა და ანტიმონოპოლიური სამსახურები კი მეწარმისთვის ნამდვილი უბედურებაა. **"ამ სტრუქტურების მოხელეები ფულს გართმევენ კრიმინალური გარჩევების წესით: "შენ, ძმაო, ახლა ხო იცი, ფული უნდა მოგვცე," - ასეთი სიტყვებით შემოდიან საწარმოში ყოველი თვის ბოლოს ანტიმონოპოლიური სამსახურის თანამშრომლები,"** - ამბობს გოგიაშვილი. ამ ორი სტრუქტურის მიერ "შეწერილი თანხა" საწარმოს თვიური სუფთა მოგების 10-15 პროცენტია. გოგიაშვილის სიტყვით, მაკონტროლებელ სტრუქტურებში ხშირად ნარკომანები არიან მოკალათებულნი და ამიტომ, თანხის დაგვიანებას ვერ ეგუებიან: **"დროზე, ფული! ხომ იცი, ლომკა მექნება," - ასეთია ყველაზე ძლიერი არგუმენტი,"** - ამბობს გოგიაშვილი, - **"სად უნდა ვუჩივლო ამ ადამიანებს. დარწმუნებული ვარ, მათ მიერ აკრეფილი ფული, რაიონული და ცენტრალური ინსტანციების გავლით, სახელმწიფო მინისტრთან გროვდება. კრიმინალს სახელმწიფო უმაგრებს ზურგს. ყელში ამომივიდა ეს სისტემა".**

წვრილ და საშუალო ბიზნესს, მსხვილისგან განსხვავებით, ჩვენში "კრიშა" არ სჭირდება (გამონაკლისია აჭარა, სადაც პატარა საფუნთუშესაც კი უმაღლესი ხელისუფალი უნდა ჰყავდეს ჩაწილებული). მაგრამ, არსებულ გარემოში ძალზე დიდია რისკის ფაქტორი - სახელმწიფო, რიგითი მეწარმის დაცვის არანაირ ვალდებულებას არ იღებს თავის თავზე. სტატისტიკის თანახმად, მაღაზიების გაძარცვის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაა გამოძიებული. ელექტროენერგიის ხშირი გამორთვებისა თუ ძაბვის ვარდნის მიზეზით მწყობრიდან გამოსული დანადგარების აღდგენის ხარჯებსაც თავად მეწარმე ფარავს. ამას გარდა, წვრილ ობიექტებს - მაღაზიებს, კაფეებს, საპარიკმახეროებსა და საცხობებს ყოველთვიურად თანხას აწერს რაიონული პოლიცია. "გადასახადი" დიდი არ არის. თითო საწარმოდან, საშუალოდ, 10-დან 20 ლარამდე. ბევრი კომერსანტი თანხას იხდის იმის შიშითაც, რომ პოლიციამ თავის "დაქვემდებარებაში" მყოფ წვრილფეხა ქურდბაცაცებს საწარმო არ გააძარცვინოს. ვისაც ძალა შესწევს, უარს ამბობს პოლიციისათვის ფულის გადახდაზე, რადგან, გადახდის შემთხვევაშიც, ამ სტრუქტურებისგან არავითარი დაცვა გარანტირებული არ არის.

ნებისმიერ ბიზნესში ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი კრედიტის აღებაა, რასაც ჩვენი საშუალო და წვრილი მეწარმეები ძალზე უფრთხიან - მაღალი საპროცენტო განაკვეთების მიზეზით, დიდია გაკოტრების შანსი. 1997 წელს, როცა მაისურაძემ მაღაზია გახსნა, წვრილი და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის გამოყოფილი ოცწლიანი კრედიტი ბანკებს აღებული ჰქონდათ წლიური 2 ან 3-პროცენტიანი განაკვეთით. მეწარმეებზე კი სესხი წლიური 17 ან 18-პროცენტიანი განაკვეთით გაიცემოდა. **"სანამ მსხვილი ბანკები შევარდნაძის მძახლის, გურამ ახვლედიანის კონტროლქვეშაა, უბრალო ხალხისთვის არანაირი შეღავათი არ იქნება,"** - ამბობს მაისურაძე, რომელმაც მინი-მარკეტის საწყის კაპიტალში ბინის გაყიდვით მიღებული თანხა ჩადო.

ნოემბრის მასობრივ გამოსვლებს მეწარმეებში პანიკა არ გამოუწვევია. **"ხალხის განწყობას ვგრძნობდით, თვალს ვადევნებდით პრესას, ტელევიზიას. ტყვიის გავარდნა არავის აწყობდა. არეულობის დროს ფულიანიც ზარალდება და უფულოც. ახალმა ხელისუფლებამ კომუნისტური სისტემის მოშლა უნდა დაიწყოს. ხელმძღვანელ პოსტებზე ისევ ნათესავების დანიშვნა ძველ სისტემას გაუხანგრძლივებს სიცოცხლეს. ამის უფლება არ უნდა მივცეთ,"** - ამბობს გოგიაშვილი.

მეწარმეთა აზრით, ხელისუფლებამ მოპარული ფულის ნახევარი უნდა დააბრუნოს, მეორე ნახევარი კი - წარმოებაში ჩადოს. ან უნდა მოხდეს მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაცია, შესაბამის პირებზე კი სისხლის სამართლის საქმეები აღიძრას. მათი აზრით, კორუფციასთან ეფექტური ბრძოლისთვის ჩვენშიც უნდა ამოქმედდეს მოწმეთა დაცვის კანონი, რათა ხალხი კორუმპირებულებს უშიშრად დაუპირისპირდეს.

ყველაზე მთავარი კი საშუალო და წვრილი მეწარმეებისთვის ბიზნესის ისეთი გარემოს შექმნაა, რომელიც მათ სუფთად მუშაობის შესაძლებლობას მისცემს.

მოკლედ

ასლან აბაშიძე მზად არის, ცენტრთან მოლაპარაკებები გამართოს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს, ასლან აბაშიძესა და პოლიტიკური პარტიების ერთი ნაწილის ლიდერებს შორის ცალ-ცალკე გამართული კონსულტაციები გუშინ დასრულდა, თუმცა როგორც "სოციალისტური პარტიის" თავმჯდომარემ ვახტანგ რჩეულიშვილმა განაცხადა, ამ შეხვედრებზე რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. რჩეულიშვილის თქმით, "ასლან აბაშიძის განწყობა მის მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ ითვალისწინებს", ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ კი მხარეების კონკრეტული გადაწყვეტილება არ არსებობს. აჭარის მეთაურსა და პოლიტიკურ სპექტრს შორის გამართული კონსულტაციების შემდეგ უმთავრეს პრობლემად ქვეყანაში მომხდარი სახელისუფლებო გადატრიალების კონსტიტუციურ ჩარჩოებში მოქცევის საკითხი რჩება. ასლან აბაშიძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს დღეს მართავს ხუნტა, რომლისგანაც ამ ეტაპზე აჭარის რეგიონი მხოლოდ თავს იცავს. აბაშიძე „ხუნტელებთან" მოლაპარაკების გამართვაზე, განსაკუთრებით - ბურჯანაძესთან, უარს არ ამბობს, — აცხადებს რჩეულიშვილი. **მედია-ნიუსი**

ასლან აბაშიძე კრიტიკულ ვითარებაში სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს, - იმედოვნებს გიგი წერეთელი

პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიგი წერეთელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან ზოგიერთი პოლიტიკური ლიდერის სტუმრობას არაერთგვაროვნად აფასებს. მას ეეჭვება, რომ ბათუმში ეს ძალები კონსტრუქციული წინადადებით იყვნენ ჩასული, თუმცა არსებობს იმედი, რომ თავად ასლან აბაშიძე კრიტიკულ ვითარებაში მაქსიმალურად სწორ გადაწყვეტილებებს მიიღებს. „აბაშიძესთან ვიზიტად მყოფ პარტიებს საკუთარი მიზნები აქვთ და კარგი იქნება, თუ მათი მიზნები ქვეყნის და ხალხის ინტერესს ოდნავ მაინც დაემთხვევა", - აღნიშნა წერეთელმა. მისი თქმით, ბათუმში ლიდერების ნაწილი გაღიზიანების გამო ჩავიდა და აჭარის ლიდერთან არჩევნების ბოიკოტის შეთანხმებას ცდილობს, ნაწილი კი მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის მორალურ და ფინანსურ მხარდაჭერას ეძებს. ცნობილია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ირინა სარიშვილი, "ლეიბორისტული (შრომის) პარტიის", "ტრადიციონალისტთა კავშირის", "სოციალისტური პარტიის" ლიდერები სტუმრობენ. **მედია-ნიუსი**

საქართველოს ეროვნული ბანკის შეტყობინება სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე გაყიდვის თაობაზე

2003 წლის 10 დეკემბერს შედგება სახაზინო ვალდებულებების აუქციონი. აუქციონზე გამოტანილი იქნება 5 000 000 (ხუთი მილიონი) ლარის ღირებულების ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები.

გადახდის სიდიდე განისაზღვრება 8.00 პროცენტული პუნქტით.

სახაზინო ვალდებულებების დაფარვა განხორციელდება 2004 წლის 28 აპრილს.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით წარუდგინონ საქართველოს ეროვნულ ბანკს კომერციული ბანკების მეშვეობით არაუგვიანეს 2003 წლის 10 დეკემბრის 10 საათამდე.

აუქციონის შედეგები სახაზინო ვალდებულებების მყიდველ ბანკებს ეცნობებათ იმავე დღეს და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

აუქციონში მონაწილეობის მსურველნი გაცნობილნი უნდა იყვნენ "საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახაზინო ვალდებულებების გამოშვების, განთავსების, მიმოქცევის, აღრიცხვისა და დაფარვის შესახებ" დებულებას და აღიარებდნენ მის სავალდებულო შესრულებას. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება ეროვნულ ბანკში ან ნებისმიერ კომერციულ ბანკში.

აუქციონის კომიტეტი

მოკლედ

ნინო ბურჯანაძე ბათუმში მიმდინარე კონსულტაციების დასრულებას ელოდება

პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე აჭარის ავტონომიის მეთაურთან ასლან აბაშიძესთან შესახვედრად ბათუმში რამდენიმე დღეში გაემგზავრება. მხარეები, სავარაუდოდ, ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში აჭარის მონაწილეობას, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ვადის განსაზღვრის საკითხებს განიხილავენ. პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის გიგი წერეთლის ინფორმაციით, ბურჯანაძე ბათუმში სტუმრად მყოფი ზოგიერთი პოლიტიკური ძალის მიერ აჭარის ლიდერთან გამართული კონსულტაციების დასრულებას ელოდება. **მედია-ნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული კანდიდატი მხოლოდ "თბილისის პრეზიდენტი" იქნება და არა სახელმწიფოს მეთაური. როგორც "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის პრეს-სამსახურში განაცხადეს, 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების ლეგიტიმაცია გამორიცხულია, რადგან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და პარტია "აღორძინება" არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ამომრჩეველთა წინასწარ რეგისტრაციასთან დაკავშირებით პარლამენტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას მიმდინარე კვირას შეეცდება, თუმცა, თუ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო 118-ხმიანი კვორუმი ვერ შეგროვდება, ცესკო-ს თავმჯდომარეს უფლება აქვს, წინასწარი რეგისტრაციის წესი თავად დააკანონოს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. პარიზში სამშაბათს დაგეგმილ სხდომაზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამონიტორინგო კომიტეტი საქართველოსა და აზერბაიჯანში დემოკრატიული ინსტიტუტების მდგომარეობაზე იმსჯელებს.

როგორც ევროსაბჭოს წარმომადგენლობაში აცხადებენ, მოისმენენ მომხსენებელთა განცხადებები ალბანეთსა და რუსეთის შორეულ აღმოსავლეთში ვიზიტების შესახებ და ასევე რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგის შედეგები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. 26-28 დეკემბერს თბილისში მეორე საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია "აღმოსავლეთ ევროპა - კავკასია" გაიმართება, რომელსაც გასვლითი სესიები ექნება ბაკურიანსა და ბორჯომში. კონფერენციაზე განხილული იქნება აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნების მთიანი რეგიონების აღორძინების და განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხები. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული, რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა რუსეთის ფედერალური საკრებულოს სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობა მიიღეს.

ცხინვალში, შერეული სამშვიდობო ძალების შტაბში გახსნილ საარჩევნო უბანში რუსეთის მოქალაქეობის მქონე, სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები მივიდნენ, - განაცხადა შერეული სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსმა იური ახმეტოვმა.

როგორც თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა მურად ჯიოევმა აღნიშნა, სამხრეთ ოსეთის 30 ათასზე მეტ მაცხოვრებელს მიღებული აქვს რუსეთის მოქალაქეობა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ახალი ხელისუფლება არ გააგრძელებს უმოქმედობის პოლიტიკას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების მიმართ და უფრო აქტიური იქნება ამ მიმართულებით. როგორც თამაზ ნადარეიშვილმა განაცხადა, გათვალისწინებული უნდა იყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ ადრე დასმული წინადადებები გაერო-ს წესდების მე-7 თავის გამოყენების თაობაზე, რომელიც მშვიდობის იძულებას გულისხმობს. მისი თქმით, თუ საქართველოს ახალი ხელისუფლება აქტიურად იმოქმედებს და უარს იტყვის "სეპარატისტულ ხელისუფლებასთან მუდმივ მოლაპარაკებებზე და არაფრისმომცემ შეხვედრებზე, წინსვლა აუცილებლად იქნება". **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

საქართველოში სამშვიდობო ბატალიონი ყალიბდება

საქართველოში პირველი სამშვიდობო ბატალიონი ჩამოყალიბდება, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ კოსოვოში ნამსახურევი სამხედროები.

როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, პოლკოვნიკმა გიორგი კაკიაშვილმა განაცხადა, არსებობს ორი ასეული, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კოსოვოში გერმანულ სამშვიდობო კონტინგენტში ნამსახურევი ან ამჟამად მომსახურე სამხედროები. დაიწყო მესამე ასეულის მომზადებაც, თქვა მან. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული ბატალიონი მზად იქნება, შეასრულოს ნებისმიერი სამშვიდობო მისია. ორი ასეული, საორიენტაციოდ, საქართველოს ტერიტორიაზე იქნება დისლოცირებული, ხოლო ერთი - კოსოვოში სამშვიდობო ძალების საერთაშორისო ოპერაციის დასრულებამდე დარჩება.

საქართველოს სამშვიდობო ბატალიონი დღემდე არ ჰყოლია და იგი სამშვიდობო მისიებში ასეულის ან ოცეულის დონეზე მონაწილეობს კოსოვოსა და ერაყში გერმანული, თურქული და ამერიკული ქვედანაყოფების შემადგენლობაში. მიმდინარე წლის მაისში, ბუნდესვერის მხარდაჭერით, ქართული სამშვიდობო კონტინგენტი ასეულამდე გაიზარდა. კოსოვო პირველი "ცხელი წერტილია", სადაც ქართველი მშვიდობისმყოფელები გაიგზავნნენ. მიმდინარე წლის აგვისტოდან საქართველო ერაყში მონაწილეობს სამშვიდობო ოპერაციაში. **პრაიმ-ნიუსი**

ლიტვა გააბრძელებს საქართველოს დახმარებას ნატო-ში ინტეგრაციის საკითხში

ლიტვა მზად არის, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის საკითხში.

როგორც თბილისში ვიზიტით მყოფმა ლიტვის სეიმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ გედიმინას კირკილასმა განაცხადა, ამ მიმართულებით საქართველოსა და ლიტვას შორის თანამშრომლობა ჩამოყალიბებულია და ქართული ხელისუფლების ცვლის შემდეგაც იგი ისევე აქტიურად გაგრძელდება.

ნატო-ში გაწევრიანების გზაზე მყოფი ლიტვა მზად არის, გაუზიაროს ქართულ მხარეს გამოცდილება როგორც კადრების მომზადების, ასევე სამხედრო უწყებაში რეფორმების განხორციელების სფეროში, - თქვა მან.

საქართველოს წარმატება, ამ მხრივ, დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ სამხედრო ძლიერების ზრდასა და არმიის ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლაზე, არამედ ეკონომიკის ზრდაზე, საზოგადოების დემოკრატიზაციასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე, - განაცხადა გედიმინას კირკილასმა.

მისივე თქმით, ლიტვურ მხარეს გარკვეული წინადადებები აქვს ლიტვის სამხედრო აკადემიაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სასაზღვრო უწყების და საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლების მომზადების თაობაზე. **პრაიმ-ნიუსი**

დავით თევზაძე ინგლისში გაემგზავრა

გუშინ საქართველოს თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა ინგლისში, სადაც მონაწილეობას მიიღებს უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში. დაგეგმილია მისი სიტყვით გამოსვლაც, რომელშიც იგი ყურადღებას საქართველოსა და ნატო-ს მომავალი ურთიერთობების პერსპექტივებზე გაამახვილებს. წინასწარი ინფორმაციით, კონფერენციას უნდა დაესწროს ნატო-ს გენერალური მდივანი ჯორჯ რობერტსონი. თევზაძე საქართველოში 12 დეკემბერს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

ხონში სააკაშვილის მხარდამჭერთა 2000 ხელმოწერა შეგროვდა

ხონის "ნაციონალური მოძრაობის" რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს. როგორც ხონის "ნაციონალური მოძრაობის" რაიონულ ორგანიზაციაში აცხადებენ, უკვე შეგროვდა სააკაშვილის მხარდამჭერი 2000 ხელმოწერა, რომელიც თბილისში გუშინ გამოაგზავნეს. **ინტერ-პრესი**

ახალი ცივი ომის ლანდი

პირველი გვერდიდან

ივანოვი და რობერტსონი დიპლომატიურად ულიმიან ერთმანეთს, მაგრამ ნატო-ს ბევრი პრეტენზია აქვს რუსეთთან.

REUTERS

სხდომებზე კიდევ უფრო გაღრმავდა. რუსეთის საგრეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ნატო-ს გაფართოებამდე - სანამ მას ახალი შვიდი წევრი ქვეყანა დაემატება. ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები კი კატეგორიულად აცხადებენ, რომ ჯერ რუსეთმა უნდა შეასრულოს სტამბულის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებანი და დარჩენილი საჯარისო ფორმირებები გაიყვანოს საქართველოდან და მოლდოვადან. ნატო-ს წევრებმა სინანულით აღნიშნეს, რომ ეს პროცესი, წესით, მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულებულიყო. ივანოვი კი ირწმუნება, რომ რუსეთი შეასრულებს თავის დაპირებას. მან თქვა, რომ მოლდოვაში მხოლოდ 1200 სამხედრო პირზეა საუბარი, რომელთა უმრავლესობა წარმოშობით სწორედ ადგილობრივები არიან. ისინი მეთვალყურეობას უწევენ დარჩენილ იარაღსა და საბრძოლო საშუალებებს, რათა არ მოხდეს მათი გამოყენება არადანიშნულებისამბერ, სხვა მიზნით.

ნატო-რუსეთის საბჭოს უკვე ექვსი წლის ისტორია აქვს. რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და ნატო-ს წევრი 16 ქვეყნის სახელმწიფო მეთაურებმა პარიზში, 1997 წლის 27 მაისს, ხელი მოაწერეს "ურთიერთთანამშრომლობისა და უსაფრთხოების ძირითად აქტებს რუსეთის ფედერაციასა და ჩრდილო ატლანტიკურ ორგანიზაციას შორის". დასაწყისში რუსეთის უფლებები ნატო-ში საკმაოდ შეზღუდული იყო. პრაქტიკულად უუფლებო მოსკოვი მაშინ ასე ჩიოდა: "ეს არის ატმოსფერო - 19 ერთის წინააღმდეგ".

მართლაც, თავდაპირველად ნატო-რუსეთის საბჭო მხოლოდ ინფორმაციას აწვდიდა მოსკოვის წარმომადგენლობას ბლოკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თაობაზე. 2002 წლის დასაწყისში კი ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა წამოაყენა "ოცეულის საბჭოს" შექმნის იდეა. ბლერის კონცეფციის მიხედვით, ნატო-რუსეთის საბჭო უფრო სრულყოფილი უნდა გამხდარიყო. 2002 წლის მაისში, რეიკიავიკში, ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე, მომზადდა ხელშეკრულება საბჭოს ცვლილებების შესახებ, რომელსაც 28 მაისს ხელი მოაწერეა ნატო-ს უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომის მახლობლად, პრაქტიკა დი მარეს სამხედრო ბაზაზე.

"რომის დეკლარაციით" დაიწყო ახალი ერა რუსეთ-ნატოს ურთიერთობაში. "ოცეულის საბჭოს" დებულების მიხედვით, რუსეთი, ფაქტობრივად, ალიანსის წევრად იქცა, სათათბირო ხმით. რუსეთს უფლება მიეცა, მონაწილეობა მიიღოს საბჭოს საქმიანობის განხილვაში ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, შეიარაღებაზე კონტროლი, კატასტროფებისაგან თავდაცვა და სხვ. რუსეთს, ასევე, უფლება მიეცა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ "სხვადასხვაში" განსახილველად გამოიტანოს კრემლისათვის მნიშვნელოვანი ესა თუ ის საკითხი. როგორც თანასწორუფლებიან პარტნიორს, რუსეთის ემისარს, ინგლისური ანბანის მიხედვით აქვს ადგილი მიჩენილი პორტუგალიისა და ესპანეთის წარმომადგენლებს შორის. თუმცა, მიუხედავად ამისა, ნატო-რუსეთის საბჭოს სრულყოფა არ ნიშნავს რუსეთის წევრობას ნატო-ში. ჯერჯერობით, რუსეთი ამის სურვილს არ გამოთქვამს და თავისი უფლების გაზრდითაც კმაყოფილი რჩება.

ნატო-რუსეთის საბჭო, ალიანსის გენერალური მდივნის თავმჯდომარეობით და საგარეო და თავდაცვის მინისტრების მონაწილეობით, წელიწადში ორჯერ იკრიბება.

"რომის დეკლარაცია" კი, მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკოსების მხრიდან შეფასდა, როგორც "ისტორიული მოვლენა".

ჯერ კიდევ 1997 წლის ძირითად აქტებში მითითებული იყო: "ნატო და რუსეთი ერთმანეთს არ განიხილავენ, როგორც მტრებს. მათი მიზანია ადრინდელი კონფრონტაციისა და მეტოქეობის კვალის აღმოფხვრა და ურთიერთნდობისა და თანამშრომლობის გაძლიერება", ხუთი წლის შემდეგ კი, რუსეთის პრეზიდენტი და ნატო-ს გენერალური მდივანი, "რომის დეკლარაციის" შესახებ, ასეთ კომენტარებს აკეთებენ: **"რაც ჩვენ გვაერთიანებს, გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე ის, რაც ჩვენ ერთმანეთისაგან გვაშორებს."** (პუტინი); "რომის დეკლარაციამ დაამტკიცა, რომ ცივი ომის მხარეები შესაძლებელია, პარტნიორებად იქცნენ." (რობერტსონი).

მიუხედავად ყველაფრისა, "რომის დეკლარაცია" შეიძლება უბრალო ქაღალდად იქცეს, თუკი რუსეთი არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს და არ გამოიყვანს ჯარებს საქართველოდან და მოლდოვადან. დასავლეთელი ანალიტიკოსების აზრით, ასეთ შემთხვევაში, ცივი ომისკენ მიბრუნება გარდაუვალია და კავკასიაში ამ ომის ნაპერწკალი უკვე გაჩნდა.

მიხეილ სააკაშვილმა ჩრდილოეთის საზღვარი მოინახულა

ქართველმა მესაზღვრეებმა მიხეილ სააკაშვილისგან შეიტყვეს ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ.

გუშინ პრეზიდენტობის კანდიდატი მიხეილ სააკაშვილი გირევში, შატილსა და ბარისახოში დაბანაკებულ მესაზღვრეებთან შესახვედრად გაფრინდა.

მისი თქმით, იგი საზღვრების დასათვალიერებლად და მესაზღვრეების გასამხნევებლად გაფრინდა, რადგან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჩრდილოეთის საზღვრებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოსალოდნელია დივერსიული ჯგუფების შემოგზავნა.

„ორი წელი ვიყავი მესაზღვრე, მართალია, საბჭოეთის ხანაში, მაგრამ კარგად ვიცი, რას ნიშნავს მესაზღვრეობა. მე ვაპირებ, რომ საზღვრები აბსოლუტურად იყოს დაცული და არსებობდეს გარანტიები, რომ ვერანაირი კონტრაბანდა თუ დივერსიული ჯგუფები ვეღარ გადმოდიოდნენ ჩვენს ტერიტორიაზე“, — აცხადებს სააკაშვილი.

გუშინვე სააკაშვილმა კომენტარი გააკეთა აჭარის მეთაურთან პოლიტიკური პარტიების ლიდერების მიერ გამართულ კონსულტაციებზე: "ასლან აბაშიძის გადასაწყვეტია, რა სურს მას. ვიცი, რომ მასთან მშვიდობიანი, ნორმალური ურთიერთობა გვინდა. საქართველო ყველასია და ყველამ უნდა შევძლოთ, რომ პირად ამბიციებზე მაღლა დავაყენოთ მისი ინტერესები", – ამბობს სააკაშვილი. "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერის თქმით, ვერავინ ეღირსება, რომ 4 იანვრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყოს, რადგან საქართველო ერთიანია და "რჩეულიშვილების, სარიშვილების და მისთანების მოწოდებებს ხალხი არ აჰყვება". **მედია-ნიუსი**

პუტინი აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საქმეში ახალ იმპულსს ეძებს

საქართველო-რუსეთის მომავალ ურთიერთობებზე იმსჯელეს შაბათს, სატელეფონო საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. ნონო ბურჯანაძის თქმით, პუტინმა აღნიშნა, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისთვის ახალი იმპულსია საჭირო. ჯერჯერობით უცნობია, ისაუბრეს თუ არა მათ საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ.

სატელეფონო საუბარი ნინო ბურჯანაძის ინციატივით გაიმართა. **მედია-ნიუსი**

პენტაგონის შეფი საქართველოში ვიზიტით კმაყოფილია

პენტაგონის შეფი დონალდ რამსფელდი საქართველოში ვიზიტით კმაყოფილია. ამის შესახებ მან თანმხლებ ჟურნალისტებს შაბათს, ბაღდადიდან ვაშინგტონში დაბრუნებისას განუცხადა.

როგორც აშშ-ს სამხედრო უწყების პრესსამსახურმა განაცხადა, დონალდ რამსფელდი დადებით მომენტად აფასებს "პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ნინო ბურჯანაძის, სახელმწიფო მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ზურაბ ჟვანიას და პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის ერთობლივ თანამშრომლობას და თანხმობას, რადგან საქართველო არჩევნებისთვის ემზადება." რამსფელდმა აღნიშნა, რომ ეს სამი ლიდერი თავიანთი პოზიციებიდან აკეთებენ საერთო საქმეს და "ეს კარგი ნიშანია." აშშ დაინტერესებულია, ყველანაირად დაეხმაროს მათ, - ხაზგასმით აღნიშნა თავდაცვის მინისტრმა. **ინტერ-პრესი**

"ახალი ძალა" - ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია პრეზიდენტობას "მარიოტში" გამართავს

"ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" ყოფილი ლიდერი ირინა სარიშვილი დღეს, სასტუმრო "მარიოტში" ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის - "ახალი ძალის" დაფუძნების შესახებ ოფიციალურ განცხადებას გააკეთებს.

"ახალ ძალაში" გაერთიანებული პოლიტიკური ფიგურები საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი სახეები იქნებიან, რომელთა ვინაობას სარიშვილი ოფიციალურ პრეზენტაციამდე არ ახმაურებს.

როგორც "ახალ ძალის" დამფუძნებელმა განმარტა, ქვეყანაში არსებული ფეთქებადსაშიში ვითარების გამო, ამ ადამიანების უსაფრთხოების გარანტიები არ არსებობს და ვიდრე ისინი ოფიციალურად არ გამოაცხადებენ საკუთარ თავს "ახალი ძალის" წევრებად, უმჯობესია მათი ვინაობა არ გახმაურდეს.

"ახალი ძალა" 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს. რაც შეეხება საპარლამენტო არჩევნებს, მასში "ახალი ძალა" იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ ის გაზაფხულზე ჩატარდება. **ინტერ-პრესი**

ლტოლვილი ჩეჩნები რუსეთის სახელმწიფო დუმის არჩევნებს თავისად არ მიიჩნევენ

პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს დღევანდელ არჩევნებში არ მონაწილეობენ. როგორც ადამიანის უფლებათა ჩეჩენმა დამცველმა ასლანბეკ აბდურაზაკოვმა განაცხადა, არც ერთ მათგანს ამის სურვილი არ გამოუთქვამს და არც რუსეთის მხრიდან ყოფილა რაიმე შემოთავაზება. „ჯერ კიდევ ორი თვის წინათ, ჩეჩნეთის საქმეთა მინისტრის სტანისლავ ილიასოვის პანკისის ხეობაში ყოფნის დროს რუსეთი დარწმუნდა, რომ ამგვარ შემოთავაზებას აზრი არ ჰქონდა. რუსეთის სათათბიროს არჩევნები არ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი მოვლენა, ჩვენ მას არ ვაღიარებთ“, – აცხადებს აბდურაზაკოვი. **მედია-ნიუსი**

რუსეთის არჩევნებისთვის გუშინ საქართველოში 11 უბანი გაიხსნა

კვირას მიმდინარე არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოში მყოფი, რუსეთის მოქალაქეებისათვის ქვეყნის ტერიტორიაზე 11 საარჩევნო უბანი გაიხსნა, რომლებიც კოლომენის საარჩევნო ოლქის დაქვემდებარებაშია.

თბილისში საარჩევნო უბნები გაიხსნა რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობაში, ამიერკავკასიაში რუსეთის საჯარისო დაჯგუფების შტაბში, საჯარისო დაჯგუფების სამხედრო ჰოსპიტალში, საჯარისო დაჯგუფების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ცალკეულ ბატალიონში, ბათუმში ორი უბანი გაიხსნა მე-12 რუსულ სამხედრო ბაზაზე, ახალქალაქში - ერთი უბანი 62-ე სამხედრო ბაზაზე, ცხინვალში - ერთი უბანი შერეული სამშვიდობო ძალების შტაბში, სოხუმში - დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების შტაბში, გაგრაში - უწყებრივ სანატორიუმში, გუდაუთაში - კოლექტიური სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ადგილას.

საქართველოში განლაგებულ საარჩევნო უბნებში კენჭისყრა დაიწყო დილის 8.00 საათზე და დასრულდა 20.00 საათზე. ამომრჩეველს თან უნდა ჰქონდეს რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. 11-ვე საარჩევნო უბნის გამაერთიანებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოში რუსეთის საელჩოში იმუშავებს და მას ელჩის მრჩეველი და დესპანი ვიქტორ რინზა უხელმძღვანელებს, რომელზეც ორი დღის წინ, თბილისში, გაძარცვის მიზნით თავდასხმა განხორციელდა.

პრაიმ-ნიუსი

საქართველოს ბანკი
BANK OF GEORGIA
JOINT-STOCK COMPANY

საქართველოს ბანკი, დაარსებიდან 10 წლის იუბილესთან დაკავშირებით,

აცხადებს კონკურსს

საიმიჯო ვიდეორგოლის ან ვიდეორგოლების სერიების სცენარზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ დამოუკიდებელ პროფესიონალებს, სარეკლამო კომპანიებს, კინო-ვიდეოსტუდიებს და საპროდუსერო ორგანიზაციებს.

გამარჯვებული წინადადებებისათვის დაწესებულია:

1. პირველი პრემია - 1000 ლარი
2. მეორე პრემია - 500 ლარი
3. მესამე პრემია - 300 ლარი

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2004 წლის 2 თებერვალი.

განაცხადები შემოტანილი უნდა იქნას დევიზით

მისამართზე: ქ. თბილისი, პუშკინის ქ. №3. ტელ. 444-248;

ელ.ფოსტა concurs@bog.ge

ეკონომიკური ექსპერტები ხელისუფლებას ურჩევენ...

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტი, ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ფონდი, ინსტიტუციური რეფორმების ცენტრი, საინფორმაციო სისტემების კვლევის და განვითარების ცენტრი "ჯეოლინკსი", კერძოდ, ეკონომიკური ექსპერტები: ნიკო ორველაშვილი, ირაკლი მელაშვილი, ოთარ ზოიძე, აკაკი ჩარგეიშვილი, ირაკლი შავიშვილი საქართველოს ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის გამოყვანისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ქვეყნის ახალ ხელისუფლებას კონკრეტული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებას სთავაზობენ.

სპეციალურ მიმართვაში ექსპერტები 2004 წლის ნოემბრიდან 2005 წლის აპრილამდე განსახორციელებელი პირველი რიგის ღონისძიებებს აქვეყნებენ, სადაც კვარტალურად არის გაწერილი ღონისძიებათა განხორციელების პერიოდი.

ექსპერტთა აზრით, აუცილებელია ახალი საგადასახადო კოდექსის მეორე და მესამე მოსმენით მიღება და ამოქმედება. ამისთვის აუცილებელია გეგმის შედგენა და განხორციელება, საგადასახადო ადმინისტრაციის რეფორმირება, საკუთრების უფლების დაცვის გარანტიებისა და მექანიზმების განმტკიცება, გადასახადების გადამხდელთა საყოველთაო იდენტიფიცირების ერთიანი პროგრამის განხორციელება.

ექსპერტები თვლიან, რომ პარლამენტის მიერ 2003 წლის ივნისში მიღებული სოციალური რეფორმის კანონთა პაკეტის ძირითადი დებულებები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს იმავე სამინისტროს მიერ შემუშავებული სოციალური დაცვის სტრატეგიის ძირითად დებულებებთან. უნდა შემუშავდეს და ამოქმედდეს საბიუჯეტო კოდექსი, კანონმდებლობა ხაზინის შესახებ და ახალი კანონი გაკოტრების შესახებ.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ხელშეწყობის მიზნით, აუცილებელია სახელმწიფო ქონების მართვის სისტემის კონცეპტუალურად გააზრება და სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს სწორი ფუნქციონირება, "მეწარმეთა შესახებ" და "მოსაკრებლების შესახებ კანონებში", აგრეთვე, სამოქალაქო და საბაჟო კოდექსებში აუცილებელ ცვლილებათა პაკეტების მიღება და ამოქმედება, "გარემოსდაცვითი ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ" კონცეპციის და კანონთა პაკეტის მიღება-ამოქმედება, სასამართლო რეფორმის დასრულება და სამართალდამცავი სისტემის რეფორმის დაწყება.

24 საათი

ზურაბ ნოღაიდელი: "საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდებოდა მის თავს..."

პირველი გვერდიდან

"მე თვითონ გავარკვევ, ვინ ითბობდა ხელს ხალხის გაჭირვებაზე".

კონკრეტულ ციფრებში რომ ვილაპარაკოთ, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებას 294 მილიონი ლარი აკლია და დაფინანსებას - 54 მილიონი ლარი. შესაბამისად, წლის ბოლომდე ყველა ხარჯის გასაწევად საჭიროა ჯამში 338 მილიონი ლარი, რაც, თავისთავად, ძალიან არარეალისტურია. მდგომარეობის ოდნავ გამოსწორების შემთხვევაშიც 240-250 მილიონი ლარის დავალიანება დარჩება. მაგრამ ამ თანხაზე ჩვენ დღეს აღარც ვფიქრობთ, ჩვენი მთავარი ამოცანაა წლის მაქსიმალურად მინიმალური დანაკარგებით დასრულება. გეგმა ისე გვაქვს აგებული დაახლოებით იანვრის ბოლომდე, რომ დღევანდელი გადასახედიდან ძირითად ხარჯებში, გარკვეული საერთაშორისო დახმარებების შემდეგ, დაახლოებით 125 მილიონი ლარის გარღვევა იქნება.

- მოსახლეობისთვის ციფრებზე უფრო მრავლისმეტყველი, ალბათ, იქნება პასუხი კითხვაზე - მიმდინარე წლის ხელფასები და პენსიები დარჩება დავალიანებად?

- სამწუხაროდ.

- და რამდენი თვის დავალიანება დარჩება?

- მე რომ 125 მილონ ლარზე ვლაპარაკობ, ეს, დაახლოებით, ნიშნავს ორი თვის ხელფასს, ორი თვის შემწეობას, ჯანდაცვის სამი ან ოთხი თვის დავალიანებას, რადგან ჯანდაცვა იყო კატასტროფულად დაფინანსებული და, რატომ იყო ასე, ცალკე შესწავლის საკითხი უნდა იყოს. მთელი რიგი სხვა ხარჯების, ასე, სამი-ოთხი თვის ხარჯები იქნება გაუცემელი. ასეთი სიტუაციაა დღეს, სამწუხაროდ. პირველი თვე, როცა ჩვენ დამატებით დავალიანებებს აღარ დავაგროვებთ, იქნება თებერვალი. ამაზე ვართ ჩვენ კონცეტრირებული, რადგან ასეთი სიტუაცია არა მხოლოდ ხარჯებში, არამედ სისტემაში დაგვხვდა, რომელიც თავიდან არის ასაშენებელი. მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობისას ჩვენ უკვე შევეცდებით მთლიანად გავითვალისწინოთ დავალიანებების გასტუმრება.

თუმცა, ამავდროულად, ამ გარღვევის მინიმიზაციის მიზნით, ჩვენ ვაგრძელებთ დონორებთან საუბარს. უკვე გადაწყვეტილია, დაახლოებით, 5 მილიონი დოლარის აშშ-ს ხორბლის გრანტის საბიუჯეტო მიზნებისთვის გამოყენება, ასევე 5 მილიონი ევროს ევროსაბჭოს სასურსათო უსაფრთხოების გრანტის მოსვლა ჯერ კიდევ წელს. პრაქტიკულად, გადაწყვეტილია არჩევნების დაფინანსება, თუმცა მომავალ კვირადღეს გვექნება შეხვედრა ეუთო-ს ელჩთან და იქ გადაწყდება, რა მექანიზმით იქნება ხარჯები გაწეული. ასევე, აშშ-ს მთავრობამ 2 მილიონი დოლარით გაზარდა ზამთრის დახმარების პროგრამა და იწყებს დაფინანსებას ჯერ კიდევ დეკემბრისთვის, რაც მნიშვნელოვანია ენერგეტიკის ფუნქციონირების თვალსაზრისით. თუმცა გვესმის, რომ საქმე გასაკეთებელია საქართველოში.

- ბოლო დღეების განმავლობაში თქვენ ბევრს საუბრობდით სამინისტროს შიგნით დაწესებულ აკრძალვებზე. კონკრეტულად, რას გულისხმობენ ეს აკრძალვები?

- შემოსავლების შესრულების ხუთი შემადგენელი კომპონენტი იყო წელს ამოქმედებული. მათი მიზანი იყო, რომ ქაღალდზე ბიუჯეტი შესრულებულიყო, შეენარჩუნებინათ თანამდებობები და ქვეყნის ნგრევა გაეგრძელებინათ. ეს მე არ მითქვამს მხოლოდ ახლა. მთელი წლის განმავლობაში ვლაპარაკობდი ამაზე. უნდა გაირკვეს, ვინ არის ამაზე პოლიტიკურად პასუხისმგებელი და ეს ხალხი ვერასდროს ვეღარ უნდა დაბრუნდეს პოლიტიკაში, თუმცა ძალიან კი ცდილობენ ამას. უნდა გაირკვეს, ვინ არის პასუხისმგებელი და ის ვეღარ უნდა მიუახლოვდეს სახელმწიფო სამსახურს. ამასთან, უნდა გაირკვეს, რომ იმ დროს, როცა ქვეყანას ასე უჭირდა, ვინ ითბობდა ყველაფერ ამაზე ხელს და ეს ხალხი უნდა იჯდეს ციხეში.

- ვინ უნდა გაარკვიოს ეს?

- პირველ რიგში, მე თვითონ გავარკვევ. ჩვენ შედარებით მსხვილი თევზების ბრალეულობას გამოვიკვლევთ. შედარებით წვრილ თევზებს სხვებმა სდიონ... ჩვენ გვაქვს მოკვლევის ფუნქციაც. კონკრეტული დამნაშავეების დასჯა კი სასამართლოს გადასაწყვეტია.

აუცილებელია, რომ ბიუჯეტის შევსების ხუთივე მანკიერი წესი აღმოიფხვრას. თუ შესაძლებელია, ავხსნი ამ მექანიზმების შინაარსს:

პირველი წესია ერთი მიმართულებიდან შემოსავლების მეორე მიმართულებით გადაქაჩვა - არის ცენტრალური ბიუჯეტი, სოციალური ფონდი, საგზაო ფონდი, ადგილობრივი ბიუჯეტები. მათ შორის თანხების "გადაქაჩვა" ხდებოდა. მე ამის კონკრეტულ მაგალითებს მოვიკვლევ და გამოვამზეურებ, როცა დოკუმენტური დასტური გვექნება - ასეთი დასტური უახლოეს პერიოდში დაიდება მაგიდაზე. თუ გადასახადი უნდა წავიდეს ცენტრალურში - უნდა წავიდეს ცენტრალურში, თუ საგზაოში - საგზაოში და ა.შ. ამის საშუალებით შესაძლებელი გახდება რეალური გეგმების დადებაც და რეალური პროგნოზების გაკეთება. თუ ამას დღეს ვინმე დაარღვევს, მარტო სამსახურიდან გათავისუფლებით არ დავკმაყოფილდებით.

მეორე არის ე.წ. "პრაკრუტკა" - ეს არის ურთიერთჩათვლის ერთ-ერთი ფორმა. ჯერ ერთი, მე არ ვაპირებ სახარჯო პოლიტიკის შეთანხმებას საგადასახადო და საბაჟო სამსახურებისთვის. მეორეც - როცა დაცული მუხლებისა და არადაცულის შეფარდება 85 - 15-ზეა, 60 პროცენტი დაცული მუხლების და 40 პროცენტი - არადაცული მუხლების ხარჯის გაწევა იმას ნიშნავს, რომ შენ მარტში ან აპრილში შეიძლება შეასრულო შემოსავლების გეგმა, მაგრამ წლის ბოლოს მოხდება ის, რაც მოხდა - 240 მილონამდე ლარი იქნება დავალიანება. თქვენ როგორ ფიქრობთ - ეს საკითხი შეუსწავლელი უნდა დარჩეს და ასეთი გადაწყვეტილების მიმღები ადამიანები დაუსჯელნი უნდა დარჩნენ?

შარშან მაისში აწყობილი მექანიზმივით დავტოვე ფინანსთა სამინისტრო და დამხვდა დანგრეული. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რა ხდებოდა მის თავს. მე საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს ხაზინაში მისვლა ავუკრძალე და თუ ვინმე მივა იქ, მოვხსნი, ვინც არ უნდა იყოს.

მესამე - საგადასახადო ან საბაჟო სამსახურების წარმომადგენლების მიერ საბანკო სექტორიდან არაფორმალური სესხის აღება ბიუჯეტის შემოსავლების აღების მიზნით. ჩვენ გვაქვს ფორმალური სესხებიც, სახაზინო ვალდებულებების სახით, და როცა ორი სისტემა მოქმედებს, სახაზინო ვალდებულებების განთავსება ბევრად უფრო მაღალ პროცენტში ხდება. მე ამის დაშვებას არ ვაპირებ.

მეოთხე - უნდა აიკრძალოს წინასწარი გადახდები, იმის მიუხედავად, თავად მეწარმე არის თუ არა მზად, წინასწარ გადაიხადოს. რაც შეეხება ოფიციალურ წინასწარ გადახდებს - დღგ-ს დაბრუნების მექანიზმი შეიქმნება ხაზინაში და ყველა, ვისაც კანონით ეკუთვნის თანხის დაბრუნება, ავტომატურ რეჟიმში დაიბრუნებს.

და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - აიკრძალება საგადასახადო აქტივებით ვაჭრობა. ამასთან, პირველ რიგში, გამოსაკვლევია ამ მრავალმილიონიანი აქტივების წარმოშობა და მე ამას ბოლომდე ჩავყვები.

- ბატონო ზურაბ, ამბობენ, რომ ამ ხუთი მეთოდით ხდებოდა ბიუჯეტის, მინიმუმ, 40 პროცენტის შევსება. არსებობს რეალური შემოსავლების 40 პროცენტით ზრდის წყარო ქვეყანაში? ხომ არ მოჰყვება ამას საგადასახადო შემოსავლების და, შესაბამისად, ბიუჯეტის ხარჯების გეგმის შემცირება მომავალ წელს?

- 2004 წლის ბიუჯეტის პროექტს ჩვენ გამოვითხოვთ. სავარაუდოდ, იანვრისთვის იქნება მზად ბიუჯეტის პროექტი, რომელსაც თებერვალში სავალუტო ფონდთან განვიხილავთ. თუ მოვასწარით, თებერვალშივე მივიღებთ მას. ბიუჯეტის მიღება აუცილებელია, როგორც მომავალი ეკონომიკური პროგრამის საბაზისო დოკუმენტის, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, არამედ - ქვეყნის გარეთ დონორებთან ურთიერთობისთვის. შეუძლებელია, ქვეყანა მუდმივად დეფოლტის წინაშე იდგას. ამიტომ, მომავალ წელს საგარეო ვალების რესტრუქტურიზება პარიზის კლუბში არის ჩვენი უმთავრესი მიზანი, რისთვისაც აუცილებელია სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენა. რაც შეეხება იმას, ეს ხომ არ გამოიწვევს საგადასახადო შემოსავლების კლებას - ამით დასტაბილურდება საგადასახადო შემოსავლები და თვის დასაწყისში შეგვეძლება დავგეგმოთ თვის რეალური შემოსავალი. ბიუჯეტის ხარჯები, სავარაუდოდ, არ შემცირდება, თუმცა ხარჯებში იქნება რეორგანიზაცია - უახლოეს პერიოდში ხარჯები რამდენიმე ძირითად პრიორიტეტს და სტრუქტურულ რეფორმებს უნდა მოხმარდეს.

- თავად სამინისტროში ცვლილებებს გეგმავთ?

- პირველ ეტაპზე, ზემოთ ნახსენები ხუთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების გარდა, მე პირადად ვიქნები უშუალო ზედამხედველი საგადასახადო და საბაჟო და, საერთოდ, ყველა სამსახურზე, რომელიც შემოსავლების მომტანი იქნება. გადანაწილებული იქნება სექტორები. ჩვენ უკვე ჩამოვაყალიბეთ გეგმა თამბაქოს ნაწილში, ცოტა ხანში წარვუდგენთ საზოგადოებას. სულ შვიდი სექტორი იქნება - ქვესექტორებად დაშლილი. შემდეგ დღის წესრიგში არის საბანკო სექტორი, ნავთობპროდუქტების სექტორი, ენერგოსექტორი, ავტომანქანები, ალკოჰოლური საწარმოები და სხვა... როცა დავრწმუნდებით, რომ სისტემა მუშაობს, შემდეგ გადავალთ ფუნქციების დელეგირებაზე. დღეს კი, სამწუხაროდ, საგანგებო რეჟიმში გვიწევს მუშაობა.

ჩვენ გვექნება შეხვედრები ამ სექტორების წარმომადგენლებთან, ზოგთან უკვე გვქონდა. გავაცნობთ მათ თამაშის ახალ წესებს, მივცემთ გარკვეულ დროს მათზე გადასასვლელად და შემდეგ მოვთხოვთ კანონის შესაბამისად.

- რამდენად რეალურია სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენა მომავალ წელს?

- ძალიან რეალურია და აუცილებლად აღდგება.

- აჭარის ხელისუფლებასთან სახელმწიფო ბიუჯეტს მუდმივად ჰქონდა პრობლემები. დღეს შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დამატებით პრობლემებს ხომ არ ელით და როგორ აპირებთ მათ დარეგულირებას?

- დამატებით პრობლემებს აჭარიდან არ ველი - რაც არის, ისიც უკვე სერიოზულია. აქვე მინდა ვთქვა: პრობლემა არ შედგება მხოლოდ ეკონომიკური კომპონენტისგან, მასში არის უფრო მეტი პოლიტიკური კომპონენტი. თუმცა გარწმუნებთ, რომ მომავალ წელს ეს პრობლემა დარეგულირდება.

- კადრებს რა კრიტერიუმებით არჩევთ?

- კადრები იქნა შერჩეული მათი პროფესიონალიზმისა და ხასიათის ნიშნით. ქვეყანას ამ ადგილებზე დღეს სჭირდება ადამიანები, რომელთაც აქვთ მტკიცე ხასიათ, იციან საქმე და შედარებით ნაკლებ პერიოდში შეძლებენ პრობლემების მოგვარებას.

- ანუ ის, რომ სისტემაში არიან ნამუშევარნი - მაგალითად, ლევან ქისტაური ერთხელ უკვე იყო საბაჟოს შეფი - უფრო დადებითი მომენტია, ვიდრე უარყოფითი?

- გარკვეულწილად, კი. დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმის ცოდნას და მტკიცე ხასიათს, რაც მოკლე დროში უნდა იყოს გამოვლენილი.

საქართველოში ერთიანი სარეგისტრაციო სისტემა ვერ ჩამოყალიბდა

მიწისა და სხვა უძრავი ქონების კერძო საკუთრებაში გადაცემას ბიუროკრატიული ბარიერები აფერხებს

ახალ ხელისუფლებას ყოფილისაგან უამრავი ეკონომიკური შინაარსის ხარვეზი და პრობლემა დახვდა, რომელთა გამოსწორებას რეალური დრო, ძალისხმევა და მუშაობა სჭირდება. შესასწორებელი ან სრულიად შესაცვლელი იქნება არაერთი კანონი. აქ მნიშვნელოვანია ყველა ინფორმაცია და ინიციატივა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზაციიდან ან უშუალოდ საზოგადოებისაგან წამოვა.

ნინო ნარჩემაშვილი

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის უცხოელი კონსულტანტი დონინგ დენიელსონი აღნიშნავს, რომ მიწის რეფორმა ეკონომიკური რეფორმის ძირითად კომპონენტს წარმოადგენს და მასში, გარდა ეკონომიკურისა, სოციალური, პოლიტიკური, ეთნიკური, გეოპოლიტიკური და სხვა საკითხებიც აისახება. ამდენად, იგი მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისათვის. რაც შეეხება უძრავი ქონების სწორად და სამართლიანად განაწილებას, მოსახლეობისათვის მის საკუთრებაში გადაცემას, შემდეგ კი განკარგვას, დენიელსონის შეფასებით, ამ პროცესებისათვის ყველაზე არსებითი მიწის რეგისტრაციის სამუშაოები გახლავთ, რომელსაც მსოფლიო ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) დაფინანსებით აწარმოებს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში მიმდინარე პროექტი - "მიწის რეგისტრაციის კომპონენტი".

მაგრამ აქაც (ისევე, როგორც სხვაგან) მრავალი ბიუროკრატიული თუ საკანონმდებლო წინააღმდეგობა არსებობს და ხელს უშლის (განსაკუთრებით, ეს სოფლისა და მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობისათვის არის მნიშვნელოვანი) სოფლად კერძო სამეურნეო სექტორის ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

პროექტის იურისტი სევერიან თურქია აღნიშნავს, რომ **"საქართველოში დღეისათვის არ არსებობს ერთიანი სარეგისტრაციო ბაზა, ანუ ის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია მიწასა და სხვა უძრავ ქონებაზე ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის უფლებების აღიარებაა. საჯარო რეესტრის სამსახური დაქსაქსულია. ცალკეა მიწის მართვის დეპარტამენტი, რომელსაც კანონმდებლობით რეგისტრაციის ძირითადი ფუნქციები ეკისრება, ასევე ცალ-ცალკე ფუნქციონირებენ ტექბიუროები და ნოტარიუსები."**

აღსანიშნავია, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მხოლოდ საქართველოში ვერ მოხერხდა ერთიანი სარეგისტრაციო სისტემის ჩამოყალიბება.

სევერიან თურქიას განმარტებით, უძრავი ქონების გაყიდვა არ შეიძლება, თუ ის საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული. ერთიანი სარეგისტრაციო ბაზის არარსებობამ შექმნა ორმაგი რეგისტრაციის აუცილებლობა. დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა მიწის ერთი ნაკვეთი რამდენჯერმე გაიყიდა სხვადასხვა პიროვნებაზე და მეტიც, მიწის თავდაპირველი მესაკუთრე აღებულ ფულთან ერთად მიიმალა. აქ მთავარი დამნაშავე ახლად აღორძინებული ტექბიუროები გახლავთ (დღეისათვის ტექბიუროები მერიის დაქვემდებარებაში შედის), რომლის გამოც მოსახლეობას პრობლემები ექმნება და არაეფექტურად უწევს დროისა თუ ფულის ხარჯვა. საქმეში ტექბიუროების ჩართვით თავი იჩინა საქართველოსათვის ტრადიციული, ე.წ. "იურიდიული ნიჰილიზმის" პრობლემამ, ანუ ეს ის შემთხვევაა, როცა კანონზე მაღლა სხვა ინტერესები დგება. ურბანული ანუ ქალაქის მიწების რეგისტრაციისათვის არანაირი საბუთის გაცემა არ ხდება ტექბიუროს ცნობის გარეშე, თანაც, უმეტეს შემთხვევაში, მოქალაქეებს ოფიციალურ გადასახადზე ბევრად მეტს ახდევინებენ. მსგავსი მდგომარეობაა ნოტარიუსების მომსახურებაშიც. საერთო ჯამში კი, სერიოზულად ფერხდება მიწისა თუ სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც პროექტის იურისტი აღნიშნავს, საჯარო რეესტრში არსებული ყველა ინფორმაციის საჯაროობა გახლავთ, რომელიც სამოქალაქო კოდექსისა და მიწის რეგისტრაციის კანონით არის ნებადართული. მისი თქმით, ასეთი სახის კომერციული ინფორმაციის საჯაროობას ძარცვის მიზნით იყენებენ კრიმინალური ელემენტებიც და მსგავსი პრეცედენტი უკვე არსებობს. სევერიან თურქია მიიჩნევს, რომ თუ გვსურს, ქვეყანაში მიწისა და სხვა უძრავი ქონების რეგისტრაციის სრულფასოვანი სისტემა დაინერგოს, ყველა საკითხი საბაზრო ეკონომიკის გათვალისწინებით უნდა იქნას განხილული და გადაწყვეტილი.

მოკლედ

მეანაბრეები შევარდნაძის ბრძანებულებების წინააღმდეგ

ათასობით მეანაბრე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ, 1995-2001 წლებში გამოცემული ბრძანებულებების, 8 ნორმატიული აქტის გაუქმებას საოლქო სასამართლოს ძალით მოითხოვს, რომელთა საფუძველზეც მეანაბრეებს შემნახველი სალაროების ანაბრის წიგნაკებში რიცხული თანხების გაცემაზე უარს უცხადებენ. ხვალ, საოლქო სასამართლოში აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, პროცესი 10.00 საათზე გაიმართება. სასამართლოში სარჩელი რამდენიმე მეანაბრემ შეიტანა. როგორც "ინტერ-პრესს" ერთ-ერთმა მოსარჩელემ ემზარ გრიგოლიამ განუცხადა, ათასობით მეანაბრე უკვე რამდენიმე წელია, აღნიშნული თანხის დაბრუნებას უშედეგოდ ცდილობს. მისი თქმით, მეანაბრეებს ერთ სსრკ მანეთზე 2 აშშ დოლარი ეკუთვნით. **ინტერ-პრესი**

ენერგომომარაგება კვლავ შეფერხებებით განხორციელდება

"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" დისპეტჩერიზაციის აღმასრულებელი დირექტორის ჟუან ლა გრანჟის განცხადებით, გასული ზამთრის მსგავსად, ქვეყნის ელექტრომომარაგება წელსაც შეფერხებით განხორციელდება. როგორც ლა გრანჟმა "ინტერ-პრესს" განუცხადა, **"თელასმა" თავისი საქმიანობა გამრიცხველიანებით დაიწყო. იგივეა გასაკეთებელი "სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაშიც", რათა მდგომარეობა გამოსწორდეს. ქვესადგურებში და სადისპეტჩეროში დისციპლინის ამაღლება კარგი გადამხდელისთვის ელექტროენერგიის მიწოდების გარანტიას გვაძლევს".** ლა გრანჟი თვლის, რომ მართვის სისტემის გაჯანსაღებისათვის საჭიროა კომპიუტერიზაცია ქსელური საინფორმაციო ბაზის - "სკადას" სისტემის დანერგვით. ასევე მნიშვნელოვანია ტელეკომუნიკაციის არხების სრულყოფა. "ამის განხორციელება მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტით იგეგმება," - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი**

არჩევნები 2003: "ყველას წინააღმდეგ!"

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

"რუსეთს ეძლევა უნიკალური შანსი, ხმა არ მისცეს ყავისფერ ბოლშევიზმს. თუ რუსი მემარჯვენეები პარლამენტს მიღმა დარჩებიან, მათ ადგილს როგოზინის ტიპის ულტრანაციონალისტები დაიკავებენ," - აცხადებს ირინა ხაკამადა. არჩევნების წინა დღეს საკუთარ საარჩევნო შტაბში თეთრი "კრასოვკებითა" და ჯინსებით მისული "ბიზნეს ვუმენ" უმალ უცხოელი ჟურნალისტების ალყაში ხვდება. "ვინ ემუქრება რუსეთში თავისუფალ პრესას, თავს დაჩაგრულად გრძნობენ მემარჯვენე პარტიები?" - ადგილიდან ყვირის რუსულ სინამდვილეში ნამდვილად ჩაუხედავი ფრანგი ჟურნალისტი. ხაკამადა მშვიდად პასუხობს, რომ არ არის დარწმუნებული, რომ მემარჯვენეთა პარტია ხუთპროცენტიან ბარიერს გადალახავს. "ჩუბაისი დუმაში დარჩენას არც აპირებს, მე და ნემცოვი კი ბრძოლის გაგრძელებაზე უარს არ ვიტყოდით," - იღიმება ხაკამადა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩუბაისი პარლამენტარი ვერ გახდება. ტყუილად არ დაიბარა არჩევნების წინა დღეს იგი პუტინმა. ასე რომ, მემარჯვენეთა ელექტორატის საარჩევნო ნევროზი შეიძლება მალე პესიმიზმმა შეცვალოს.

საპარლამენტო არჩევნების პირველი შედეგები 8 დეკემბრის შუადღისას გახდება ცნობილი. რუსეთის მოსახლეობის გამოკითხულთა დიდი ნაწილი ხმას საკუთარ პრეზიდენტს, სტაბილურობას და ძლიერ მუშტს აძლევს. ბევრმა არც იცის, ვის უნდა მისცეს ხმა. ამაღამ ვიფიქრებ და ხვალ შეიძლება ხმა არავის მივცე, - ასეთი პასუხი მხოლოდ ახალგაზრდებისაგან გაისმის, თუმცა, რუსი სტუდენტების დიდი ნაწილის სიმპათიები ხაკამადა-ნემცოვის მხარეზე იხრება. ამ დღეებში მათ ანატოლი ჩუბაისიც დაემატა, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ტელედებატებში აშკარად აჯობა დმიტრი როგოზინს. სახალხო-პატრიოტული კოალიცია უმწეო აღმოჩნდა. დებატები "ლიბერალური იმპერიის" მამამ ლამაზად მოიგო. რამდენიმე საათის შემდეგ ჩუბაისი პუტინმა სასაუბროდ მიიწვია. კრემლთან დაახლოებული წყაროების ცნობით, პრეზიდენტმა ჩუბაისს მხარდაჭერა სთხოვა, იმ შემთხვევაში, თუკი ამ დღეებში რუსეთში კომუნისტებისა და ოლიგარქების რევანშის საფრთხე გაჩნდება. მოსკოვში ამტკიცებენ, რომ ბორის ბერეზოვსკიმ ზიუგანოვის პარტიაში სერიოზული კაპიტალდაბანდება მოახდინა. ალბათ, იცის, რომ ერთი-ასად დაუბრუნდება. ამიტომ მოსკოვი, ტერაქტების შიშით, ერთ დიდ "კონცლაგერს" ემსგავსება.

პოლიტოლოგების ვარაუდით, ასეთი სცენარი ნაკლებ სავარაუდოა, რადგანაც ხელისუფლების პარტია საკუთარ პრეზიდენტს ასე ადვილად არ ჩააბარებს დემოკრატებს.

"საპარლამენტო არჩევნებში ბიუროკრატიული იმიჯის მქონე ხელისუფლების პარტია "ერთიანი რუსეთი" გაიმარჯვებს, არჩევნები პოლიტიკური დრამის გარეშე ჩაივლის. ამიტომ იგი ერთი დიდი ფარსი იქნება, - ამბობს პოლიტოლოგი ნიკონოვი, - ძველი დუმა პარლამენტის პაროდია იყო, ხალხს კი სტალინი მოენატრა და მთელ იმედებს პუტინზე ამყარებს".

წინა დღეების სოციოლოგიური გამოკითხვები უჩვენებენ, რომ არჩევნებზე მისული ახალგაზრდობის უდიდესი ნაწილი, და არა მარტო ახალგაზრდობისა, ხმას ყველას წინააღმდეგ აძლევს. მონოპოლიზებული პრესა და ტელევიზია ამ კატეგორიის პროტესტს იწვევს. პოლიტიკური ელიტაც პრეზიდენტის მხარესაა. ანუ იქმნება გენიალური სურათი: ვამბობთ პუტინი და ვგულისხმობთ "ერთიან რუსეთს", ან პირიქით - ახალგაზრდა პრეზიდენტს ოპოზიცია არ ჰყავს.

მემარჯვენეთა პასიური ელექტორატი ნაციონალ-სოციალიზმზე ლაპარაკით დაიღალა. თუ მათი პესიმისტური სცენარი გამართლდა, შეიძლება პოპულისტური პიარკამპანიით "ნაკეთებმა" პარტიებმა პარლამენტში შეაღწიონ, ხოლო მემარჯვენეები და დემოკრატები დამარცხდნენ.

მთელი უბედურება ის არის, რომ ნაციონალ-ბოლშევიზმი რუსი ამომრჩევლის ორგანული თვისებაა. ეროვნულ ხასიათს კი არ უყვარს მდიდრები - მას ეზიზღება ჩუბაისი. სამაგიეროდ, უყვარს ჟირინოვსკი, რომელმაც წინასაარჩევნო პიარი ბომჟების გამოთრობით, მიტინგებზე არყის ბოთლების დარიგებით ააგო. სხვა რამეზე რომ არფერი ვთქვათ.

ორი სიტყვით

ჩინეთი. ჩინეთის პრემიერ-მინისტრი ვენ ცზიაბაო აშშ-ს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა. იგი ჯერ გაერო-ს შტაბბინას ესტუმრება ნიუ-იორკში, ხოლო ხვალ თეთრ სახლში ჯორჯ ბუშთან გამართავს შეხვედრას. ამერიკის ხელისუფლებასთან საუბრების ძირითადი თემა ტაივანი იქნება. პეკინი ცდილობს, რომ ამერიკელებმა ცალსახად აღიარონ ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობა და ტაივანისათვის იარაღის მიწოდება შეწყვიტონ. თუმცა, ამის მიღწევა საკმაოდ რთული იქნება, რადგან ოფიციალური ვაშინგტონი ტაივანისათვის დახმარების შეწყვეტას არ აპირებს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური, მათ შორის, სავაჭრო თანამშრომლობის თემაც.

დემოკრატიის მომავალი რუსეთში



ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

თვლიდნენ, რომ არჩევნების ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, კერძოდ, პირველ ადგილზე – "ერთიანი რუსეთი," ხოლო მეორეზე რუსეთის კომპარტია გავიდოდა. უცხოელი დამკვირვებლების ვარაუდით, ახალ დუმაში პუტინის მომხრეების აბსოლუტური უმრავლესობა იქნება, რითაც საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ამჟამინდელ პრეზიდენტს მყარი და შეურყეველი ნიადაგი შეექმნება. უცხოელი ექსპერტები არც იმას გამორიცხავენ, რომ სახელმწიფო დუმაში პუტინის პარტიამ – "ერთიანმა რუსეთმა" საკონსტიტუციო უმრავლესობაც მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში კი მათ თავისუფლად შეეძლებათ კონსტიტუციის შეცვლა, რაც პუტინს შესაძლებლობას მისცემს, მესამე ვადითაც იყაროს კენჭი.

საკმაოდ მყარი და არგუმენტირებული წინასწარი პროგნოზის მიუხედავად, არჩევნების შედეგები მაინც დიდ ინტერესს იწვევს. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ალექსანდრ ვეშნიაკოვის განცხადებით, წინასწარი შედეგები არჩევნების დასრულებიდან 24 საათში გახდება ცნობილი, ხოლო საბოლოო შედეგი კი 19 დეკემბერს გამოქვეყნდება.

მართალია, "ერთიანი რუსეთის" გამარჯვება პრეზიდენტ პუტინის პოლიტიკური ტრიუმფის მანიშნებელია, მაგრამ საერთაშორისო ანალიტიკურ წრეებში უკვე საუბრობენ რუსეთის პირველი პირის მიერ აშკარად გამოვლენილ ემოციებზე.

"ვლადიმირ პუტინმა მიკროფონზე დააკაკუნა, რომ მინისტრების ყურადღება მიეპყრო: "აქეთ იყურეთ და მომისმინეთ, როდესაც მე ვლაპარაკობ, და თუ არ გაინტერესებთ...." - მან კარებისკენ მიანიშნა, რითაც უშიშროების საბჭოს სხდომაზე შეკრებილ მაღალი თანამდებობის პირებს გააგებინა, რომ შეუძლიათ წავიდნენ. ეს აღარ არის ერთ დროს მშვიდი და ავტორიტეტული პრეზიდენტი, როგორიც ადრე პუტინი ჩანდა. უკანასკნელ დროს ის ხშირად ნერვიულობს. გასულ კვირას რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას, მან "კლანური ბრძოლის" შესახებ გააკეთა განცხადება, რაც დუმაში 7 დეკემბრის არჩევნების შემდეგ შეიძლება დაიწყოს," - წერს პოლ ქუინ ჯაჯი ამერიკულ გავლენიან გამოცემაში "ტაიმი."

თუმცა, პუტინის ნერვიულობა საკმაოდ უცნაურია. ნავთობმაგნატსა და რუსეთის უმდიდრეს ადამიანზე, მიხაილ ხოდორკოვსკიზე განხორციელებული იერიშის შემდეგ ხომ პუტინის რეიტინგმა 82 პროცენტამდე აიწია. **"რუსეთში უყვართ, როდესაც მილიარდერებს მიწდებიან ხოლმე. რუსებს ხოდორკოვსკის კომპანია "იუკოსზე" მორიგი შეტევაც მოეწონათ, როდესაც ერთ-ერთმა მსხვილმა რუსულმა ნავთობკომპანია "სიბნეფტმა" "იუკოსთან" გაერთიანებაზე უარი განაცხადა,"** - აცხადებს ქუინ ჯაჯი.

ასეთი მაღალი რეიტინგის მიუხედავად, რუსეთის პირველი პირი მაინც ავლენს წინასაარჩევნო ემოციებს. შესაძლოა, მისი ნერვიულობა იმ ბალანსის დარღვევას უკავშირდებოდეს, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის ელცინის ოლიგარქიულ "ოჯახს" და პუტინის ძალოვნებს შორის ხოდორკოვსკის დაპატიმრებამდე არსებობდა. "იუკოსის" შეფის დაპატიმრებამ კი ეს წონასწორობა უხეშად დაარღვია, რაც კრემლში ელცინის "ოჯახის" ბოლო წარმომადგენლის, ვოლოშინის გადადგომამ კიდევ უფრო გააღრმავა. სწორედ ამ საერთო სცენარში მოიაზრება პრემიერ-მინისტრ კასიანოვსა და პუტინს შორის ბოლო დროს გაჩენილი პრობლემები. დამკვირვებლები უკვე ღიად მიუთითებენ, რომ კასიანოვის გადადგომა დროის ამბავია. ასევე დადის ხმები იმის თაობაზე, რომ კასიანოვი შესაძლოა, ოპოზიციაში გადაბარგდეს და მარტის საპრეზიდენტო არჩევნებში პუტინის რეალურ კონკურენტადაც იქცეს. სწორედ ამიტომ პუტინს დუმის არჩევნების სუფთად მოგება სჭირდება. ამისათვის არის, რომ კრემლმა საინფორმაციო საშუალებებზე კონტროლი გააასკეცა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ გაზეთ "იზვესტიას" მთავარი რედაქტორი მიხაილ კოჟოკინი, რომელიც პუტინს ფრთხილად აკრიტიკებდა, არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე თანამდებობიდან გადადგა. ხოლო ერთ დროს თავისუფალი მასმედიის ფლაგმანად წოდებული ტელეკომპანია "ნტვ" გადაცემა "თავისუფალ სიტყვას" რამდენიმე დღით ადრე იწერს.

მართალია, პრეზიდენტი ნერვიულობს, მაგრამ მისი ფავორიტის - "ერთიანი რუსეთის" გამარჯვებაში ეჭვი არავის ეპარება. ამ პარტიის უკან ხომ პუტინის მთელი სახელმწიფო დგას. კომპარტია, ალბათ, მეორე ადგილს დაიკავებს. რაც შეეხება ოპოზიციას, ის გახლეჩილი და დანაწევრებულია. ლიბერალური რუსეთის საშუალო ფენა კი ორი პარტიით – ნემცოვ-ხაკამადას "მემარჯვენე ძალთა გაერთიანებით" და იავლინსკის "იაბლოკოთია" წარმოდგენილი. დასავლეთის პრესა უკვე აკეთებს პროგნოზს, რომ ამ ორმა პარტიამ, შესაძლოა, 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახოს. **"მოსკოვსა და პეტერბურგში ხმების 2-5 პროცენტს აყალბებენ, ზოგიერთ რეგიონში კი ისინი 50-პროცენტიან გაყალბებასაც ახორციელებენ,"** - განუცხადა გრიგორ იავლინსკიმ "ტაიმ"-ს.

დამკვირვებლები და ანალიტიკოსები თითქმის ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ დაწესებული ბარიერის გადალახვას კომუნისტური ჟირინოვსკის "ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია" უპრობლემოდ მოახერხებს. თუ არა და, რა პრობლემაა... მეგობრები კრემლიდან ჟირინოვსკის აუცილებლად დაეხმარებიან.

დასავლელი ჟურნალისტების ცნობით, პრეზიდენტის მთელი ადმინისტრაცია დუმის არჩევნების მოსაგებად არის მობილიზებული. ამ ადმინისტრაციის უკან კი ძლიერი სახელმწიფო აპარატი დგას, რომელიც რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე ერთი მიზნით – პუტინის პარტიის და მისი მეგობრების გამარჯვებისათვის მოქმედებს.

"იაბლოკო" და "მემარჯვენე ძალთა გაერთიანება" პარლამენტში რომ ვერ მოხვდნენ, 450-კაციანი დუმა, ძირითადად, პუტინელებით, კომუნისტებით და მათი მოკაშირეებით, მათ შორის - ჟირინოვსკელებით, დაკომპლექტდება.

"თუკი ჩვენ ქმედითუნარიანი დუმა გვეყოლება, პარლამენტი და პრეზიდენტი ერთად ბევრი რამის გაკეთებას შეძლებენ. მაგრამ თუკი დუმას საშინაო გარჩევების მოყვარულები შეავსებენ, პრეზიდენტი ხელფეხშეკრული დარჩება," - განუცხადა რუსეთის მოქალაქეებს ტელევიზიით გამოსულმა პუტინმა. პარლამენტში მხოლოდ "ერთიანი რუსეთის," კომპარტიის, ლიბერალ-დემოკრატების შესვლის შემთხვევაში კი პუტინი ხელფეხშეკრული ნამდვილად არ იქნება. პირიქით, ასეთ შემთხვევაში მასზე თავისუფალი და უკონტროლო პრეზიდენტი მსოფლიოში, ალბათ, ცოტა თუ მოიძებნება. მაგრამ საეჭვოა, რომ ასეთი ვითარებით დასავლეთი და განსკუთრებით ევროკავშირი კმაყოფილნი დარჩნენ. ძალთა ასეთი განლაგებით, არ არის გამორიცხული, რომ პუტინის ბოლოდროინდელი სწრაფვა ევროკავშირისაკენ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს.

რასაკვირველია, ყოფილ "კაგებეშნიკს" მოვლენების ასეთ განვითარებაც საგრძნობლად აღელვებს. თანაც, რეგიონებში მისმა ქვეშევრდომებმა შესაძლოა, ძალზე "განირონ" თავი და პრეზიდენტს ერთგულება აშკარად არარეალური ხმებით დაუმტკიცონ, როგორც ეს საქართველოში მოხდა, როდესაც 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ერთ-ერთმა მაშინდელმა გუბერნატორმა პრეზიდენტს 100 პროცენტზე მეტი ამომრჩევლის ხმა მიაღებინა. თუმცა, ამის შემდეგ, სამ წელიწადში ჩვენთან ხავერდოვანი სახალხო რევოლუცია მოხდა, რაც რუსეთში, რიგი ობიექტური მიზეზების გამო, უახლოეს ათ-თხუთმეტ წელიწადში წარმოუდგენელია. და მაინც, პრეზიდენტ პუტინს სანერვიულო აშკარად აქვს. პარლამენტს გარეთ დარჩენის შემთხვევაშიც კი, დემოკრატიული და ლიბერალური სახელმწიფოს იდეის ერთგული რუსები დანებებას მაინც არ აპირებენ.

თუმცა, ეს ყველაფერი მხოლოდ ვარაუდი და პროგნოზია. წინასწარი შედეგები დღეს გახდება ცნობილი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოქმედების რა ტაქტიკას აირჩევენ დემოკრატები. მათ კი ორი გზა აქვთ: ავტორიტარიზმთან შეგუება ან მასთან ბრძოლა.

ერთიანი ევროპის კონსტიტუციას ისევ საფრთხე ემუქრება

ვალერი ჟისკარ დ`ესტენი კომპრომისებს ეჭვით უყურებს.

12 დეკემბერს ბრიუსელში ევროკავშირის სამიტი გაიმართება, სადაც უმთავრესი თემა ევროკავშირის კონსტიტუციის განხილვა იქნება. ახლახან, ნეაპოლში გამართული ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი შეხვედრები სწორედ ევროპის კონსტიტუციის მიღების გზაზე არსებული ძირითადი უთანხმოებების მოგვარებას ეძღვნებოდა. დღემდე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ევროპულ ინსტიტუტებში ხმებისა და ადგილების განაწილების პრინციპია. თითოეულ ქვეყანას სურს, რომ ევროკავშირში გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე გავლენა შეძლებისდაგვარად შეინარჩუნოს.

ამ მხრივ, ყველაზე პრობლემატურია პოლონეთისა და ესპანეთის პოზიცია. ეს ორი ქვეყანა 2000 წლის ნიცის შეთანხმების პრინციპების ძალაში დატოვებას ითხოვს, რაც მათ ევროპულ საბჭოში, შესაბამისად, 27-27 ხმას აძლევს, მაშინ, როცა მოსახლეობით ყველაზე დიდ გერმანიას მხოლოდ 29 ხმა უნდა ერგოს. არადა, ესპანეთისა და პოლონეთის მოსახლეობა, ერთად აღებული, გერმანიის მოსახლეობას არ აღემატება. შედეგად, ესპანეთსა და პოლონეთს ერთად ევროკავშირის მინისტრთა საბჭოში ხმების ის რაოდენობა ექნებოდათ, რაც ნებისმიერი გადაწყვეტილების შესაჩერებლად საკმარისია. გერმანია და სხვა ქვეყნები კი ემხრობიან ახალ ფორმულას, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის აბსოლუტური მაჩვენებლები და ევროკავშირის მოსახლეობის მთლიან რაოდენობაში ცალკეული ქვეყნის პროცენტული წილი. ხმების კუთხით, შემოვა ე.წ. "ორმაგი ფორმულა", რომლის მიხედვითაც, თითოეულ ქვეყანას აქვს ერთი ხმა, ხოლო უმრავლესობა შედგება მაშინ, როცა 25 ქვეყნიდან გადაწყვეტილებას ემხრობა 13 ქვეყანა, სადაც ევროკავშირის საერთო მოსახლეობის, სულ მცირე, 60 პროცენტი ცხოვრობს. ამგვარად დაცული იქნებოდა როგორც სახელმწიფოს სუვერენული ინტერესები, ასევე მოსახლეობის წარმომადგენლობითობის პრინციპი.

"ცუდი კონსტიტუციის მიღებას სჯობს, საერთოდ არ მივიღოთ იგი," - თქვა საკონსტიტუციო კონვენტის თავმჯდომარემ, საფრანგეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, ვალერი ჟისკარ დ`ესტენმა. დ`ესტენის კონვენტმა, სადაც ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების წარმომადგენლები შედიოდნენ, 18 თვის ვადაში შეიმუშავა კონსტიტუციის პროექტი. მისი მიღების პრეროგატივა კი მხოლოდ სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა კონფერენციის ხელშია, სადაც ევროკავშირის ახლანდელი და მომავალი 25 წევრი ქვეყანაა წარმოდგენილი. კონვენტის პრეზიდენტისა და წევრების აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ, ქვეყნებს შორის კომპრომისების საფუძველზე, კონსტიტუცია პირველად სახეს კარგავს და სულ უფრო ამორფული ხდება. მათი აზრით, ასეთი კომპრომისები კონსტიტუციას მკვდრადშობილს ხდის.

ბრიუსელის სამიტამდე, როგორც ჩანს, ქვეყნებს შორის კომპრომისის მიღწევა არ მოხერხდება. დღეისათვის შეუთანხმებელი რჩება ათეულობით მცირე თუ მნიშვნელოვანი დეტალი. იტალია, რომელიც დღეისათვის ევროკავშირში პრეზიდენტი ქვეყანაა, 12 დეკემბრისათვის კონსტიტუციის შეთანხმებული ტექსტის შემუშავებას ამაოდ ცდილობდა. თუმცა, იტალიელი დიპლომატები აღნიშნავენ, რომ ბრიუსელის სამიტზე საფუძვლად უნდა აიღონ კონვენტის მიერ შემოთავაზებული ტექსტი და კომპრომისები მხოლოდ ამ ჩარჩოებშია შესაძლებელი. ამით იტალიელებმა ესპანელებსა და პოლონელებს მიანიშნეს, რომ მათი მოთხოვნები შესაძლებლის ზღვარს სცილდება. იმავდროულად, მადრიდი და ვარშავა, როგორც ჩანს, ჯერ პოზიციის შეცვლას არ აპირებენ. ასეთ შემთხვევაში ევროკონსტიტუციას ჩავარდნა ემუქრება. ეს კი ევროკავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის დასაწყისად შეიძლება იქცეს.

რამსფელდის ვიზიტი ერაყში

აშშ-ს თავდაცვის მდივანი დონალდ რამსფელდი, ავღანეთსა და სამხრეთ კავკასიაში ვოიაჟის შემდეგ, შაბათს ერაყში ჩავიდა. მისი ვიზიტი ერაყის ჩრდილოეთში მდებარე სანავთობო ცენტრიდან, კირკუკიდან დაიწყო. კირკუკის მიმდებარე რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობას ქურთები შეადგენენ, რომლებიც ქვეყანაში აშშ-ს ყველაზე საიმედო მოკავშირეებად ითვლებიან. თუმცა, ვითარება არც ამ რეგიონშია სტაბილური. კირკუკიდან რამსფელდი ერაყის დედაქალაქში ჩავიდა, სადაც ერაყში ამერიკის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, პოლ ბრემერს შეხვდა. რამსფელდმა გამართა შეხვედრა დროებითი მმართველი საბჭოს ხელმძღვანელთან, აბდელ აზიზ ალ-ჰაქიმთანაც. მან ერაყის მმართველ საბჭოს მოუწოდა, გააქტიუროს მუშაობა და ნელ-ნელა თავის თავზე აიღოს ქვეყნის მართვის სადავეები. რამსფელდს სურს, რომ ახალი ერაყის შეიარაღებული ძალები მოკლე დროში გახდნენ ეფექტურნი და ქვეყნის შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღონ. ამასთან, რამსფელდმა არსებული მიღწევები დადებითად შეაფასა. "დარწმუნებული ვარ, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ. თანდათანობით ვითარება ქვეყანაში შეიცვლება ისე, რომ ერაყის უსაფრთხოების პასუხისმგებლობა სხვადასხვა ძალებმა თავის თავზე აიღონ," – ოპტიმისტური იყო თავდაცვის მდივნის შეფასება.

რამსფელდი ქვეყანაში დისლოცირებულ ამერიკელ სამხედროებსაც შეხვდა და საკუთარი თვალით ნახა, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში უსაფრთხოების კუთხით. შეხვედრებზე საუბარი იყო ქვეყანაში ბოლო დროს გახშირებულ სისხლიან შეტაკებებზე, რომლის უკან, სავარაუდოდ, ჰუსეინის ახლო თანამებრძოლები დგანან. რამსფელდის ვიზიტის წინა დღეს ბაღდადში კიდევ ერთი თავდასხმა მოხდა ამერიკულ სამხედრო კოლონაზე, რის შედეგადაც ერთი ამერიკელი და სამი ერაყელი დაიღუპა, ხოლო 16 ადამიანი დაიჭრა. კვირას კი, ქალაქ მოსულში მომხდარი აფეთქების შედეგად კიდევ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და ორი დაიჭრა. 2003 წლის მაისიდან, მას მერე, რაც აქტიური სამხედრო მოქმედებების ფაზა დასრულებულად გამოცხადდა, ერაყში 191 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა. ბოლო ხანებში იმატა მსხვერპლმა აშშ-ს მოკავშირეებსა და ერაყის მშვიდობიან მოსახლეობაში. სადამ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ეს დონალდ რამსფელდის მესამე ვიზიტი იყო ერაყში.

ზღვარზე

რა სარგებლობა მოაქვს ოპტიმიზაციას

ნაწილი მეორე

ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 270-მდე საავადმყოფოა. ოპტიმიზაციის გეგმით, თბილისისთვის საკმარისი უნდა იყოს 13 საავადმყოფო, ხოლო ქვეყნის სხვა რეგიონებისთვის – 92 (სულ 105 საავადმყოფო). თემურ დოლიძის განცხადებით, ოპტიმიზაციის შედეგად მედპერსონალის რაოდენობა, დაახლოებით, 5-6 ათასით შემცირდება. დღეს მათი რიცხვი 21 ათასამდეა. უკანასკნელი მონაცემებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დღემდე 48 სამედიცინო ობიექტის გაერთიანება მოხდა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა 15 სამედიცინო დაწესებულება. სულ გათავისუფლებულია მედიცინის 670 მუშაკი. მათზე გაცემულია 660.494 ლარი. საკომპენსაციო პაკეტი, რომელიც ოპტიმიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებულ თანამშრომლებს ურიგდებათ, გარდა კომპენსაციისა, მოიცავს ძველ სახელფასო დავალიანებასაც. კომპენსაციის რაოდენობა, რომელიც სპეციალური ფორმულით გამოითვლება, სოციალურ დახმარებას და პროფესიონალურ გადამზადებასაც გულისხმობს. კომპენსაციის საშუალო ოდენობა 1000 ლარია, მაქსიმუმი – 2500ლარი.

ეთერ მამულაშვილი

დღეისათვის დედაქალაქსა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ოპტიმიზაციის პროცესი, თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებისა და საოლქო სასამართლოში შეტანილი რამდენიმე სარჩელის საფუძველზე, დროებით შეჩერებულია. ოპონენტთა ერთი ნაწილი ოპტიმიზაციის პროცესს არსებული ფორმით არ ეთანხმება და იმ პროგრამის და ნორმატიული აქტების ბათილად ცნობას მოითხოვს, რომლის მიხედვითაც, ქვეყნაში, უკანასკნელი სამი წელია, მიმდინარეობდა რესტუქტურიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესი. სხვათა შორის, ხსენებული პროგრამის მოსამზადებლად, რომელსაც მთლიანად მსოფლიო ბანკი აფინანსებდა, სერიოზული თანხები დაიხარჯა. სამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად კვლევას რამდენიმე ადგილობრივი სპეციალისტი და არასამთავრობო ორგანიზაციაც ატარებდა.

ოპტიმიზაციის პროცესის ოპონენტები ირწმუნებიან, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ კვლევაში ჩადებული ფული და შრომა წყალში გადაყრილია, რადგან ის არასწორად და ტენდენციურად ჩატარდა. ისინი ბრალს ჯანდაცვის სამინისტროს სდებენ. თბილისის საკრებულოს წევრი ლევან მეტრეველი, რომელიც დედაქალაქში მიმდინარე რესტუქტურიზაცია-ოპტიმიზაციის პროცესს, უკანასკნელი ერთი წელია, სწავლობს, აცხადებს, რომ კვლევაში ჩართულმა არასამთავრობოებმა ჯანდაცვის ობიექტების შესახებ არსებული მონაცემები მიზანმიმართულად გააყალბეს. "ესენი იყვნენ სამინისტროს სატელიტი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ. ჩვენ გვაქვს დოკუმენტური მასალა, თუ როგორ აყალბებდნენ ცალკეული არასამთავრობოები ჯანდაცვის სისტემაში შექმნილ რეალურ ვითარებას. მაგალითად, ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციას აინტერესებდა, თუ რა ჯდებოდა ერთი კვადრატული მეტრის რეაბილიტაცია. ბუნებრივია, გულისხმობდნენ ჯანდაცვის ობიექტებს. ერთ-ერთმა ორგანიზაციამ მათ მისწერა, რომ ფასი 200 ამერიკულ დოლარს უდრიდა; ეს მაშინ, როცა ნებისმიერი ბინათმშენებლობით დაკავებული ფირმა თბილისში, დაახლოებით, 200 დოლარად ყიდის ერთ კვადრატულ მეტრს ახლადაშენებულ სახლში. საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი – დააკვირდით, რომელი შენობები განირეს დასახურად და უძრავ ქონებად გასაყიდად; თითქმის, ყველა ეს შენობა მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში, სადაც სარფიანი ბიზნესის წამოწყება შეიძლება. ეს შენობებიც კი ჩალის ფასადაა გაყიდული. მათი ფასი შემცირებულია ხელოვნურად. გასაყიდ შენობაზე აუქციონი და ტენდერი ისე ცხადდებოდა, რომ, მყიდველის გარდა, ეს არავინ იცოდა. გაზეთის მთელ ტირაჟს, რომელიც ამის შესახებ იუწყებოდა, გამოსვლისთანავე დაინტერესებული პირი იძენდა და მერე ათასობით მეტრის კვადრატულ შენობას კაპიკებად ყიდულობდა", - ამბობს ლევან მეტრეველი და ირწმუნება, რომ მას ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა აქვს.

ლევან მეტრეველი და ოპონენტთა ერთი ნაწილი აღიარებენ, რომ დღეს ქართული ჯანდაცვის სისტემა, მართლაც, საჭიროებს ოპტიმიზაციას, მაგრამ არა იმ ფორმით, როგორც ის დღეს მიმდინარეობს. პროფესიით ექიმი, სამედიცინო უნივერსიტეტის ლექტორი და საკრებულოს წევრი ლევან მეტრეველი ამბობს: "კატეგორიულად ვეწინააღმდეგები იმას, რასაც ჯანდაცვის მინისტრი რესტუქტურიზაციას ეძახის. თუ ეს პროცესი განხორციელდება იმ ფორმით, როგორც ეს გეგმით არის გათვალისწინებული, ძალიან ცუდ შედეგებს მივიღებთ. ამ გეგმით, უნდა დაიხუროს ათარბეგოვზე მდებარე ბავშვთა საავადმყოფო. სამგორში რომ ბავშვი ცუდად გახდეს, სასწრაფომ მთელი თბილისი უნდა გაიაროს, დიღმამდე მისაღწევად (რესტუქტურიზაცია-ოპტიმიზაციის გეგმით, თბილისში ერთი ბავშვთა საავადმყოფო უნდა დარჩეს). საშუალო დრო გადაუდებელი შემთხვევებისთვის 8 წუთია. ეს დრო კი, ცხადია, სამგორიდან დიღომში მისასვლელად არ არის საკმარისი."

ოპტიმიზაციის პროცესის დროს დაშვებული შეცდომების არსებობას ჯანდაცვის სამინისტროშიც აღიარებენ. თუმცა, ეს ის შეცდომები არ არის, რაზეც მათ ოპონენტები მიუთითებენ - მაგალითად, კონკურსი, რომელიც ტარდება ოპტიმიზებულ დაწესებულებებში ავლენს საუკეთესო მედპერსონალს. დასაწყისში კონკურსში მონაწილეობის ასაკობრივი ცენზი იყო გათვალისწინებული, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამოცი წლის ზევით ასაკის ადამიანებს არ ჰქონდათ კონკურსში მონაწილეობის უფლება. ამან ექიმთა ერთი ნაწილის სერიოზული და სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. რამდენიმე მათგანმა სასამართლოსაც მიმართა და კონკურსის წესდება გაასაჩივრა. სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ასაკობრივი ცენზი ჯანდაცვის სამინისტრომ გააუქმა. სამინისტროში მაინც ფიქრობენ, რომ მათ, შეცდომების გარდა, კარგი და საშვილიშვილო საქმეების გაკეთებაც მოასწრეს – სიამაყით ასახელებენ, თუნდაც, ღუდუშაურის სახელობის მრავალპროფილიან საავადმყოფოს, რომელიც ოთხი სამედიცინო დაწესებულების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებსა და მოთხოვნებს აბსოლუტურად აკმაყოფილებს.

პუბლიკაციათა ეს ციკლი "24 საათმა" მოამზადა ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოსგან (IREX) მიღებული გრანტის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, მხოლოდ "24 საათი" აგებს პასუხს მათ შინაარსზე. პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX), კავკასიაში ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID/Caucasus MIssion) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას.

ორი სიტყვით

ქუთაისი. 6 დეკემბერს ქუთაისში კიევის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გადაასვენეს, რომელიც, რამდენიმე დღეა, საქართველოში იმყოფება. ღვთისმშობლის ხატმა 150 წლის მანძილზე პირველად დატოვა უკრაინის ტერიტორია. ხატს ქუთაისის ხარების ეკლესიაში დიდი რაოდენობით მრევლი დახვდა. მეორე დღეს წმინდა ხატი გელათის სამონასტრო კომპლექსში მიაბრძანეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ფოთში მცხოვრები 33 წლის მამაკაცი, ტეტანუსის დიაგნოზით, ქუთაისში ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადის მკურნალობას. ტეტანუსი განვითარდა კვებითი მძიმე ინტოქსიკაციის საფუძველზე. პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, ვინაიდან 1999 წელს მას ტეტანუსის მასიური აცრებისას შესაბამისი ვაქცინაცია ჩატარებული აქვს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფონდი "ქართული ხარისხი" უახლოეს მომავალში საუკეთესო მომსახურებისათვის დედაქალაქში ერთ-ერთი კაფეს საუკეთესო ხარისხის ნიშანს მიანიჭებს. ხარისხის ნიშანი კაფე "მსოფლიო სპორტს" მიენიჭება, რადგან იგი ერთადერთია, რომელიც მუზეუმსაც წარმოადგენს და საუკეთესო მომსახურებით გამოირჩევა. ფონდი "ქართული ხარისხი" აღნიშნულ დაწესებულებას ერთი თვის განმავლობაში ამოწმებდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სს „თბილგაზი" ხვალიდან ბუნებრივი აირის საფასურის არგადამხდელ აბონენტებს და საწარმოებს აირის მიწოდებას შეუწყვეტს. კომპანიამ ურჩი გადამხდელები ამის შესახებ ერთი კვირის წინათ გააფრთხილა. როგორც „თბილგაზში" აცხადებენ, მომხმარებლებისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის ამოუღებლობის შემთხვევაში, კომპანიას პრობლემები შეექმნება აირის მომწოდებელთან, რუსულ კომპანია „გაზექსპორტთან". შეგახსენებთ, რომ „თბილგაზი" ბუნებრივ აირს „გაზექსპორტისაგან" მიმდინარე წლის ოქტომბრიდან იღებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ქართველოლოგიის ტრადიციული დღე ჩატარდება 12 დეკემბერს ლონდონში, დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოში. ქართული დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის თემურ მამაცაშვილის ცნობით, ეს დღე უკვე მეთოთხმეტედ ტარდება. საელჩოში მიწვეულები იქნებიან ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები. თემურ მამაცაშვილის ინფორმაციით, სტუმრებს გააცნობენ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის გადადგომის შემდეგ საქართველოში შექმნილ ახალ რეალიებს და 4 იანვარს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

ახმეტა. რაიონის მცხოვრებ 31 წლის მამაკაცს ცოფის დიაგნოზი დაუდასტურდა და მისი გადარჩენის შანსი უკვე აღარ არსებობს. დაავადებული მწყემსია და, აქედან გამომდინარე, შეუძლებელია დადგინდეს, კონკრეტულად როდის და როგორ მოხდა მისი დაინფიცირება. პარასკევს პაციენტი უკვე მძიმე მდგომარეობაში გადაიყვანეს ინფექციური პათოლოგიის ცენტრში. მას მკურნალობა მაინც უტარდება, თუმცა გადარჩენის შანსი მინიმალურია. წელს ადამიანის ცოფით ინფიცირების ეს უკვე მე-11 შემთხვევაა. **ინტერ-პრესი**

ამაღლება და გაბრწყინება

შაბათს, ნაშუადღევს წმინდა სამების ტაძრის გუმბათზე ბრწყინვალე ჯვარი აღიმართა. იმ დღეს მზიანი ამინდი იყო, მაგრამ ჯვრის აზიდვის დროს ციური მნათობი პატარა ღრუბელს მიეფარა, - თითქოს, მემონტაჟეთათვის ხელის შეშლა არ უნდაო.
დაიდგა თუ არა ჯვარი გუმბათზე, მზემაც გამოანათა და ჯვარიც გაბრწყინდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ხმამაღლა გუგუნებდა სამების სამრეკლოს 10 ზარი.

ნინო ნარჩემაშვილი

წმინდა სამების ჯვრის კონსტრუქცია რუსთავის მექანიკურ ქარხანაში შეიქმნა. მისი ბრწყინვალე შემოსვა კი "ჯვრის მამის" ტაძარში მოხდა. ამ საქმეს ემსახურებოდნენ საეკლესიო სახელოსნოების ხელმძღვანელი მამა ტარიელი და საპატრიარქოს მხატვარი გიორგი ღუდუშაური. პრობლემებიც იყო, მაგრამ, ღმერთის მადლით, გამოჩნდა საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი კაცი, რომლის ფინანსური შეწევნის შედეგად საქმე კეთილად გასრულდა (მის ვინაობას ქვემოთ მოგახსენებთ).

ბრწყინვალე ჯვარი სამების ტაძართან მორწმუნე მრევლმა პარასკევს მიაბრძანა, მაგრამ, თაყვანისმცემელთა სიმრავლის გამო, ჯვარზე მთხვევა ყველამ ვერც მოასწრო.

"წმინდა სამების საკათედრო ტაძარს ჩვენ ვადგამთ ბრწყინვალე ჯვარს. უფალი ქართველ ხალხს მშვიდობის გვირგვინს დაადგამს. ეს ჯვარი მოგვცემს ძალას, რომ გავვლოთ ეს მძიმე პერიოდი. საქართველო აუცილებლად გავა სამშვიდობო გზაზე," - ბრძანა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, რომელმაც კმაყოფილება გამოთქვა იმითაც, რომ საზეიმო ცერემონიალს მიხეილ სააკაშვილიც ესწრებოდა.

"მართალია, ჩვენი ეპოქის მამებს უნდოდათ, რომ ეს მათ დროს მომხდარიყო, მაგრამ ღმერთმა მათ ეს არ აცალა, რაც ჩემთვის ძალზედ მნიშვნელოვანია," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც დარწმუნებულია, რომ ტაძარი აუცილებლად დასრულდება და მას ქართველი ხალხი თავისი ხელით ააშენებს.

ოქროთი და ვერცხლით დაფერილი ჯვარი პატიოსანი, რომლის სიმაღლე შვიდნახევარი მეტრი, წონა კი ორი ტონაა (საპირწონე ტვირთიც მისი ტოლია) მიწის ზედაპირიდან 77 მეტრის სიმაღლის გუმბათზე დაბრძანდა. ჯვრის დამაგრებაში მშენებლებს ჩვენი სახელოვანი ალპინისტი ბიძინა გუჯაბიძეც ეხმარებოდა. მიწის ქვემოთ ტაძრის კიდევ 14,5-მეტრიანი ორი სართულია განლაგებული და მისი სიმაღლე ჯვრიანად უკვე 99 მეტრს აღწევს. ტაძრის მშენებლობის დასრულება ჯვრის აღმართვიდან წელიწადნახევრის შემდეგ არის დაგეგმილი.

სამების ტაძარზე აღმართული ჯვარი რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენის მამუკა ჯინჭარაძის საჩუქარია. მამუკა ჯინჭარაძე დღეს რუსეთის მოქალაქე და ნიჟნევორტოვსკის დუმის დეპუტატია. ჯვარი პატიოსანი ქართველი ხალხისათვის მისი ერთადერთი საჩუქარი არ გახლავთ. მამუკა ჯინჭარაძის სახსრებით ბეთლემში, წმინდა მიწაზე კეთილმოწყობილი შენობა და მიწის ნაკვეთი უკვე საქართველოს საპატრიარქოს გადაეცა საკუთრებაში, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ბიზნესმენმა და მისმა მეუღლემ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს სამების ტაძართან ჯვრის კურთხევის დროს გადასცეს. მამუკა ჯინჭარაძემ საქართველოს საპატრიარქოს საუკეთესო გალვანური ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოც შეუძინა (ასეთი საწარმო საქართველოში დღემდე არ არსებობდა და აღსანიშნავია, რომ სწორედ იქ დაიფერა სამების ტაძარზე აღმართული შვიდმეტრიანი ჯვარი). **"მე, უბრალოდ, ბედნიერი ვიქნები, თუკი შევძლებ, რამით დავეხმარო საქართველოს,"** - განაცხადა მამუკა ჯინჭარაძემ და ისიც დასძინა, რომ სამომავლოდ კიდევ ბევრი ჩანაფიქრი აქვს.

დაიდგა თუ არა ჯვარი გუმბათზე, მზემაც გამოანათა და ჯვარიც გაბრწყინდა.



კურთხევა

კავშირი ადამიანებისათვის, განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ

1999 წელს გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში განვითარების შეფერხების მქონე ადამიანთა სახელოსნოში მომიწია სტუმრობა. მართალია, სენტიმენტალური ადამიანი არა ვარ, მაგრამ, მაშინ მეტირებოდა. არა, იქ სატირალი არაფერი ხდებოდა. პირიქით, სასიხარულო იყო იმის ნახვა, თუ როგორ შრომობენ და როგორ ურთიერთობენ უნარშეზღუდული ადამიანები, როგორ აკეთებენ სასარგებლო საქმეს და როგორ გრძნობენ ამის გამო თავს საზოგადოების სრულყოფილ წევრებად. მე, უბრალოდ გული მწყდებოდა, რომ ჩემს სამშობლოში ამის მსგავსი არაფერი ხდებოდა და ვფიქრობდი რომ ამის იმედი კიდევ დიდხანს არ უნდა მქონოდა. თურმე, ვცდებოდი...
გასული კვირის ბოლოს "თერაპიის სახლში" საშობაო ბაზრობის დასკვნითი გამოფენა გაიმართა, რომელიც უკვე რამოდენიმე დღეა გრძელდება. ხუთი სახელოსნოს თანამშრომლებს თავიანთი ნამუშევრები ჰქონდათ გამოფენილი: სურნელოვანი სხვადასხვა ფერისა და ფორმის საშობაო სანთლები და საპნები, ხის სათამაშოები და სამზარეულოს ნივთები, ლამაზ-ლამაზი ნაქსოვები - ჭრელი წინდები და ქუდები, თექები, გობელენები და ხელთათმანები, აქვე იყო "სახლის" საამკინძაოში აწყობილი სახატავი რვეულები, ბროშურები და წიგნები. ყველა ეს ნივთი განვითარების შეფერხების მქონე ადამიანის მიერ იყო დამზადებული...

ნინო ცინცაძე

კეთილი საქმის შედეგიანად კეთებას მხოლოდ კეთილი გული არ ყოფნის. ამას ცოდნა და კულტურა სჭირდება. ევროპულ ქვეყნებში ამგვარი საქმის კეთების ტრადიცია არსებობს. იქაური ეკლესიები, თუ რელიგიური გაერთიანებები, უნარშეზღუდული ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირების საქმეს თავიანთ პირდაპირ მოვალეობად მიიჩნევენ. იქ ყოველ კუთხეში ეკლესიებს არ აშენებენ, სამაგიეროდ, საქველმოქმედო ფონდებისა და სახელმწიფოს დახმარებით, ხსნიან სკოლებსა და თავშესაფრებს, სახლებსა, თუ სახელოსნოებს, სადაც სოციალური თერაპევტები ასეთ ადამიანთა რეაბილიტაციაზე მუშაობენ. განვითარების შეზღუდვის მქონე ადამიანებთან მუშაობის მეთოდი ყველა განვითარებულ ქვეყანაში ერთმანეთის მსგავსია: ისინი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაქსიმალურად უნდა იყვნენ ჩართულნი.

საბედნიეროდ, ამგვარი ტრადიცია ჩვენთანაც მკვიდრდება. მართალია, სახელმწიფო და საზოგადოების უდიდესი ნაწილი ამაში არავითარ მონაწილეობას არ იღებს, მაგრამ რამოდენიმე ქართველი ენთუზიასტის მრავალწლიანი შრომისა და ევროპული ფონდების დახმარებით თბილისში დღეს ერთი ასეთი სახლი - "თერაპიის სახლი" არსებობს. **-"ეს საქმე 87 წელს დავიწყეთ, სულ ორნი ვიყავით, ფსიქოლოგები. სამ ადამიანთან დავდიოდით სახლში და ვავარჯიშობდით. შემდეგ მივხვდით, რომ ეს საკმარისი არ არის. ადამიანმა თავი საზოგადოების წევრად რომ იგრძნოს, უნდა შრომობდეს, საქმეში უნდა იყოს ჩართული. დავიწყეთ სიარული სამინისტროდან სამინისტროში... ბოლოს, როგორც იქნა, 1990 წელს ერთი ოთახი იჯარით გადმოგვცეს კახეთის გზატკეცილზე. მაშინ ხუთი ადამიანი მოდიოდა და ჩვენც ხუთნი ვიყავით. როდესაც 1998 წელს ეს შენობა ჰოლანდიურმა საქველმოქმედო ფირმამ შეგვიძინა და აქ გადმოვედით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 15 ადამიანი გვყავდა, დღეს ისინი ორმოცნი არიან"**- ამბობს კავშირის თავმჯდომარე, ქალბატონი მარინა ბულია.

ავლაბარში ერთ-ერთ მყუდრო ქუჩაზე მყუდრო სახლი დგას. სახლს ლამაზი ეზო აქვს და დიდი მანსარდა. აქ სხვადასხვა დარბაზებში სახელოსნოებია მოწყობილი: სადურგლო, საქსოვი, სანთლების საამქრო და მინი სტამბა-საამკინძაო. ამ სახლში ყოველდღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორმოცი ადამიანი იკრიბება. მთელი დღის განმავლობაში ისინი სოციალურ თერაპევტებთან ერთად სხვადასხვა სახელოსნოებში მუშაობენ, აქვე სადილობენ, ხატავენ, ძერწავენ და დღის ბოლოს ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ. "თერაპიის სახლი" მათი ცხოვრების არსია. სანამ ეს შესაძლებლობა არ გაჩნდებოდა, ბევრი მათგანი, წლების მანძილზე სახლიდან საერთოდ არ გამოდიოდა. დღეს ისინი შრომობენ და ბედნიერები არიან. თანაც თავიანთ ნაშრომს საქველმოქმედო მიზნებისთვისაც იყენებენ.

ამ წლებში "თერაპიის სახლის" მინისტამბა-საამკინძაომ 36800 სასკოლო რვეული დაუმზადა და უსასყიდლოდ გადასცა საქართველოს ორმოცდაექვსი სპეციალური სკოლისა და სკოლა-ინტერნატის 4600 ობოლ და შეფერხების მქონე ბავშვს. "სახლის" ყველა სახელოსნო საახალწლო საჩუქრებს უმზადებდა თბილისისა და მისი შემოგარენის 3000 ობოლ ბავშვს. "სახლის" წევრი ხანდაზმული ქალბატონები თეთრეულის კომპლექტს უკრავენ მძიმე შეფერხების მქონე ას ბავშვს, რომელთა მშობლები სიდუხჭირეში ცხოვრობენ. წელს "სახლის" მინისტამბა თბილისის ლოგოპედიური სკოლებისათვის ოთხი სახის სახელმძღვანელოს ამზადებს.

"იმ ფულს, რაც ბაზრობის შემდეგ გროვდება ისევ მასალის შესაძენად ვიყენებთ. სურნელოვან ეთერზეთებს, პარაფინს და ბუნებრივ საღებავებს გერმანიიდან ვიწერთ. ეს მასალა საკმაოდ ძვირია. ჩვენი პროდუქციისთვის რუსთაველზე დახლი გვინდოდა გაგვეხსნა, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. გადასახადების გადახდისა და დაბეგვრის თვალსაზრისით შეღავათებს არავინ გვიწევს. სამაგიეროდ უცხოელები არიან ქველმოქმედების იმპულსებით ძალიან დაჯილდოებულები. საშობაო საჩუქრებს ისინი ძირითადად აქ ყიდულობენ", -გვითხრა სანთლების სახელოსნოს ხელმძღვანელმა ლია ასანიშვილმა. სხვათაშორის, საჩუქრებს აქ რომ ყიდულობენ, უცხოელები წაგებაში სულაც არ რჩებიან. აქ დამზადებული პროდუქცია მართლაც ხარისხიანი და კარგია.

დილას ათ საათზე მოსული სახლის ბინადრები მანსარდაზე იკრიბებიან და დღის გეგმაზე საუბრობენ, შემდეგ სახელოსნოებში ნაწილდებიან. იქ თავის საქმეს ყველა შესაძლებლობების ფარგლებში აკეთებს. საამკინძაოში, მაგალითად, ზოგი ფურცლებს კეცავს, ვისაც ანგარიში შეუძლია ამ ფურცლებს ითვლის, სხვები კი ერთმანეთში დებენ. სანთლების საამქროში ვის სანთლების შეღებვა ურჩევნია, ვისთვის კი ძერწვაა უფრო სახალისო. "სახლის" რამდენიმე მობინადრე მებაღეობითაა გატაცებული და ეზოს უვლის, ზოგს კი სამზარეულოში ფუსფუსი ურჩევნია. საღამოს სახლის წევრები ისევ მანსარდაზე იკრიბებიან და განვლილ დღეს აჯამებენ. –**"ღამე დარჩენის შესაძლებლობა რომ არსებობდეს, დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა მათგანი დარჩებოდა, იმდენად კარგად და კომფორტულად გრძნობენ აქ თავს"**, –ამბობს "თერაპიის სახლის" პროექტების მენეჯერი თამუნა მახარაძე:

"დღის პირველ ნახევარში სანთლებს და საპნებს ვაკეთებთ, მერე ვმხიარულობთ, ვერთობით, ტელევიზორს ვუყურებთ, ერთმანეთს ამბებს ვუყვებით. ორი წელია აქ მოვედი. ჩემთვის ეს დიდი შვება იყო. მანამდე სამი წელია სულ სახლში ვიჯექი. ახლა ბედნიერი ვარ, რომ საქმის კეთება შემიძლია, თანაც ასეთის", – გვეუბნებოდა სახლის ერთ-ერთი ბინადარი ლევანი.

განსაკუთრებული ზრუნვის გარემოში.

P.S. გერმანიაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები ამგვარ შრომაში იმდენ ხელფასს იღებდნენ, რომ თავიანთი თავის შენახვა შეუძლიათ. ჩვენს შემთხვევაში, ამაზე ლაპარაკი ჯერ ძალიან ადრეა. ლევანი და მისი მეგობრები იმითაც ძალიან კმაყოფილები არიან, რაც გააჩნიათ. მაგრამ, იმედია, დადგება დრო, როდესაც მათი შრომა რეალურად დაფასდება. მანამდე კი "სახლში" მოხვედრის შესაძლებლობას კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი ელოდება. მომლოდინეთა სია დიდია. გაფართოება კი ვერ ხერხდება. უცხოელები ამბობენ, ჩვენ ერთი სახლი დავაფინანსეთ, ახლა თქვენს თანამოქალაქეებს ცოტა თქვენმა მთავრობამ და საზოგადოებამაც მიხედოსო.

— ორი სიტყვით —

თბილისი. გუშინ დილით, „ტოიოტას" მარკის 4 ავტომობილი გაიტაცეს თბილისში, დიღომში მდებარე საავტომობილო ფირმის "DTS"-ის ტერიტორიიდან.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, ექვსი შეიარაღებული პირი ფირმის კუთვნილ ტერიტორიაზე შეიჭრა და იქიდან ოთხი ავტომანქანა გაიტაცა.

მიმდინარეობს გატაცებული მანქანებისა და ბოროტმოქმედების ძებნა. ჯერჯერობით, მათი ვინაობა დაუდგენელია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ, ქვემო ქართლის სოფელ ჯანდარასთან ახლოს საბაჟო დეპარტამენტის საგამოძიებო კრიმინალური სამსახურის თანამშრომლებმა ორი სატვირთო ავტომანქანა დააკავეს, რომლებსაც დაახლოებით 15 ტონა დიზელის საწვავი გადაჰქონდათ. როგორც კარიმინალური სამსახურის უფროსმა დავით გელაძემ განაცხადა, საწვავის გადმოტანა საქართველოს ტერიტორიაზე საბაჟოს წესების სრული იგნორირებით ხდებოდა. ავტომანქანების მძღოლებს არ გააჩნდათ საჭირო დოკუმენტაცია. ამ დროისათვის კრიმინალური სამსახური მოკვლევას აწარმოებს და დგინდება, ვის ეკუთვნოდა ეს უკანონო ტვირთი. ორივე ავტომანქანა წარდგენილია „ლილოს" ტერმინალში. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ცხინვალიდან გორისკენ მიმავალი, ხორბლით დატვირთული სამი სატვირთო ავტომობილი, რომელიც გუშინწინ საღამოს დააკავეს, რეგიონული საბაჟოს ტერმინალშია დალუქული. კონტრაბანდული ტვირთის შემოტანის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე გუშინ აღიძრა, რომელიც გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს გადაეცემა.

დოკუმენტების თანახმად, ტვირთის მფლობელია რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით ოსი ვალერი ლოლოევი. სატვირთო ავტომანქანების მძღოლების განმარტებით, მათ ხორბალი რუსეთიდან შემოიტანეს. ტვირთის მფლობელმა ისინი საზღვრამდე მოაცილა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, არავინ დაუპატიმრებიათ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. შიდა ქართლის რეგიონული პოლიციის თანამშრომლებმა დღეს ცხინვალიდან გორისკენ მიმავალ სამარშრუტო ტაქსის მგზავრს, ვინმე ყაზარაშვილს 7 კგ ყაყაჩოს თესლი ჩამოართვეს. ყაზარაშვილის განმარტებით, მას ყაყაჩოს თესლი ცხინვალიდან გორში სარეალიზაციოდ მიჰქონდა.

როგორც შიდა ქართლის რეგიონული პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი აცხადებს, ყაზარაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი

არ დადგება, ვინაიდან კანონით ეს გათვალისწინებული არ არის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ქუთაისი. ხონის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ საწულუკიძეოში წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო გზაზე მომხდარ რამდენიმე ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი 27 წლის შმაგი ჯაჯაია და 28 წლის შოთა კუხალაშვილი დააკავეს.

დამნაშავეები პოლიციამ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავა.

პოლიციის ინფორმაციით, ეს პიროვნებები, სხვა თანამზრახველებთან ერთად, გზატკეცილებზე ნიღბებით ყაჩაღობდნენ. ახლა სამართალდამცველები დანარჩენი ბანდის წევრებს ადგენენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. 6 დეკემბერს საღამოს, 21.30 საათზე სამტრედიაში სამართალდამცველების მიერ დაკავებული იქნა ადგილობრივი დავით მიქელაძე, რომელსაც დაკავებისას "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი აღმოაჩნდა.

მიქელაძე წარსულში ადამიანის მკვლელობისთვის არის ნასამართლევი. როგორც სამტრედიის პოლიციის უფროსი ავთანდილ ვასაძე აცხადებს, მიქელაძე მოუხელთებელი და საშიში დამნაშავეა. იგი ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდა და ახლა მას უკანონოდ ცეცხლსასროლი იარაღის ტარებისათვის გაასამართლებენ.

კანონმდებლობით, მიქელაძეს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ელოდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. გუშინ დილით, წყნეთის სატყეო მეურნეობის ყოფილი დირექტორის შოთა მეფარიძის ვაჟის, გივი მეფარიძის სახლის ფანჯარას ჯერჯერობით დაუდგენელმა პირმა ტყვია ესროლა. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ერთი მასრა. სროლის შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. ტყვია გივი მეფარიძის შვილების საძინებელი ოთხის ფანჯარას მოხვდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო ნაწილში აღიძრა.

გივი მეფარიძე მის მიმართ განხორციელებული ინციდენტის დამკვეთებად წყნეთის გამგეობის წევრებს ასახელებს.

როგორც გივი მეფარიძე აცხადებს, აღნიშნული ინციდენტი გამოწვეულია იმით, რომ რამდენიმე წლის წინ, გამგეობასა და წყნეთის სატყეო მეურნეობის დირექციას შორის დაიწყო დავა, რომელიც მოგვიანებით პირად კონფლიქტშიც კი გადაიზარდა.

გივი მეფარიძის განმარტებით, მისთვის გაუგებარია, ამ დროისთვის კონკრეტულად რა საკითხებზეა დავა, რადგან მისი მამა, შოთა მეფარიძე, წელიწადზეა მეტია, თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი აღარ არის. **ინტერ-პრესი**

ძალოვანთა გუნდური მუშაობის შედეგები

პირველი გვერდიდან

სამსახურის უფროსმა გიორგი არველაძემ უშიშროების საბჭოს წევრების შინაგან საქმეთა სამინისტროში შეხვედრას.

გუნდურმა და კოორდინირებულმა მუშაობამ კი მნიშვნელოვანი შედეგები ბოლო რამდენიმე დღეში უკვე გამოიღო. გუშინ ძალოვანმა მინისტრებმა სწორედ ამ შედეგებზე ისაუბრეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის გიორგი ბარამიძის ინფორმაციით, დაპატიმრებულია შეიარაღებული ჯგუფის რამდენიმე წევრი, რომლებიც ეროვნული სტადიონის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარის მოადგილის, ირაკლი ქორიძის გატაცებაში ეჭვმიტანილნი არიან. ქორიძე ფულის გამოძალვის მიზნით 28 ოქტომბერს გაიტაცეს. ბარამიძის თქმით, ჯგუფის ერთი წევრი პოლიციის თანამშრომელია, თუმცა მისი ვინაობა მინისტრს არ დაუკონკრეტებია. სამაგიეროდ, ბრიფინგზე დასახელდა გატაცებაში ეჭვმიტანილი გიორგი გერსამიას და ავთანდილ ბარათაშვილის გვარები, რომელთა ბინების ჩხრეკისას სამართალდამცველებმა დიდძალი იარაღი ამოიღეს. კერძოდ, „კალაშნიკოვის" სისტემის ორი ავტომატი, ხუთი პისტოლეტი, ხუთი სანადირო თოფი და ერთიც შაშხანა თავისი მჭიდებით.

ძალოვანი მინისტრები კონკრეტულ შედეგებზე საუბრობენ.

ქორიძის გატაცების საქმისგან განსხვავებით, გიორგი ბარამიძე თამაზ მაღლაკელიძის გატაცებასთან დაკავშირებით საუბრისას, გასაგები მიზეზების გამო, შედარებით თავშეკავებული იყო. თუმცა, ახალი მინისტრი, როგორც ჩანს, აღნიშნული დანაშაულის გახსნასაც იმედიანად უყურებს.

„გარკვეული ინფორმაციები უკვე გაგვაჩნია, რაზეც ამ ეტაპზე ვერ ვისაუბრებთ. თუმცა, მინდა ვთქვა, რომ დეტალები ზუსტდება და დამნაშავეთა წრეც უფრო ვიწროვდება," - განაცხადა გიორგი ბარამიძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, „გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარის გატაცებასთან დაკავშირებით, შედარებით კონკრეტულია უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რომელიც გატაცებას ცნობილი ავტორიტეტის, მევლუდ (შოთა) ჭიჭიაშვილის ჯგუფს უკავშირებს. პიტერ შოუს და ესპანელი ბიზნესმენების გატაცებაში ბრალდებული პანკისელი ჭიჭიაშვილი რამდენიმე თვეა, რაც მოსკოვის ციხეში იმყოფება, მაგრამ როგორც ჩანს, ქართველი სამართალდამცველებისათვის იგი კიდევ დიდხანს იქნება პრობლემა. მით უმეტეს, რომ მის გადმოცემას რუსი კოლეგები რატომღაც არ ჩქარობენ. ამასთან, დღემდე არ არიან გამოვლენილნი თანამდებობის პირები, რომლებსაც ჭიჭიაშვილის მფარველობაში „ადანაშაულებენ". ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრების დიდი ნაწილი კი დღესაც თავისუფალია და მათი გამოყენება კონკრეტული დავალების შესასრულებლად არც ისე ძნელი იქნება.

„თამაზ მაღლაკელიძის გატაცების ხელწერა მართლაც ჰგავს ბრიტანელი ბიზნესმენების და პიტერ შოუს გატაცებას, ხოლო მარშრუტი - ესპანელების გატაცების დროს შემუშავებულ გეგმას. არ არის გამორიცხული, რომ მაღლაკელიძის გატაცებაში სწორედ ჭიჭიაშვილის ჯგუფის ნარჩენებთან გვქონდეს საქმე," - ამბობს უშიშროების მინისტრი, რომელმაც ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრებთან ბრძოლა ჯერ კიდევ წლების წინ დაიწყო და რამდენიმე მათგანი დააკავა კიდეც.

გუშინ ხაბურძანიამ ჟურნალისტებს გამტაცებელთა ცნობილი ჯგუფის კიდევ ერთი წევრის დაკავების შესახებ ამცნო. უშიშროების მინისტრის განცხადებით, პანკისის ხეობაში დაკავებულია ორი დამნაშავე, აქედან ერთი - ჭიჭიაშვილის ჯგუფის წევრი თენგიზ ხანგოშვილია. აქვს თუ არა კავშირი ხანგოშვილს მაღლაკელიძის გატაცებასთან, ჯერჯერობით უცნობია, რადგან ბრიფინგის მსვლელობის პერიოდში, უშიშროების სამინისტროში მისი დაკითხვა მიმდინარეობდა.

შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრების მიერ კონკრეტული დამნაშავეების დასახელების შემდეგ გენერალურმა პროკურორმა, ზოგადად, კორუფციული საქმეების გამოძიებაზე ისაუბრა.

„კონკრეტული დამნაშავეების გვარებს ამ ეტაპზე ვერ დავასახელებთ. გამოძიება გრძელდება და ვიდრე ცალკეული პიროვნებების ბრალეულობის საკითხი არ დადგება, მათ ვინაობას ვერ ვიტყვით. ჩვენ უნდა დავიცვათ ადამიანის კონსტიტუციური და კანონიერი უფლებები," - ასეთია გენპროკურორის პოზიცია.

ნუგზარ გაბრიჩიძის განცხადებით, ამ დღეებში გადაწყდება რკინიგზის დეპარტამენტთან დაკავშირებულ მასალებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი. თუმცა, მთავარი სამართალდამცველი იმასაც გვპირდება, რომ უახლოეს მომავალში რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი საქმეც ცნობილი გახდება.

გუშინდელ ბრიფინგზე შინაგან საქმეთა მინისტრმა სამინისტროში მიმდინარე კიდევ ორ საკადრო ცვლილებაზე ისაუბრა.

შინაგანი ჯარების სარდლად დაინიშნა შს მინისტრის მოადგილე, გენერალ-მაიორი გოგი თათუხაშვილი, ხოლო შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი გია შერვაშიძე სამუშაოდ დაცვის დეპარტამენტში გადაიყვანეს.

მინისტრის დაპირებით, სამინისტროში საკადრო ცვლილება კიდევ გაგრძელდება, ვიდრე სისტემა არ გათავისუფლდება იმ პირებისგან, რომელთაც არ აქვთ მორალური უფლება, რომ შს სამინისტროს ორგანოებში იმუშაონ.

ერთი სიტყვით, ძალოვანი მინისტრები კოორდინირებულ მუშაობას აგრძელებენ და შედეგებსაც ყოველდღიურად გვპირდებიან. დღეს ანალოგიური შეხვედრა უშიშროების სამინისტროში შედგება. ვნახოთ, რის გაკეთებას მოასწრებენ ქართველი ძალოვნები ერთ დღეში.

სოფიკო ჩხაიძის სვეტი

დესტაბილიზაციის დემონსტრირება დეკლარირებული სტაბილურობის საპირწონედ

ორიოდ დღის წინ, დიდუბის ბაზრობის ხალხმრავალ დახლებთან მოვაჭრე ქალების საუბარს შევესწარი:
„რამე უბედურებას გადაგვყრიან, ასე არ გაჩერდებიან"...
„სააკაშვილს არ უქნან რამე, არ მოკლან, მაგის მეშინია, თორემ" ...
„იქნებ ჯობდეს, ცოტა ხნით წავიდეს, ჩვენ ხომ არ უნდა შეგვეწიროს, ჩვენი გულისთვის თავი ხომ არ უნდა შეაკლას ამათ" ...

ზამთრის სიცივეში ბაზრობის დახლთან დალხინებული არავინ დგას. ამ გაჭირვებული ადამიანებისთვის ხავერდოვანი რევოლუციის გამარჯვება, ისეთი მაღალი იდეალების გარდა, როგორიც დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაა, წესიერი მთავრობის ხელში ათასი პრობლემის მოგვარებასთან, პირად კეთილდღეობასთანაც იგივდება და მაინც... ისინი მზად არიან, კიდევ ცოტა ხნით მოითმინონ, არა საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების შიშით, არამედ ლიდერში დანახული მომავლის იმედის გადასარჩენად.

რა მოუტანა საქართველოს რიგით მოქალაქეებს ხავერდოვანმა რევოლუციამ? ფაქტია, რომ მათ ჯერ არც დანაპირები ხელფასები და პენსიები მიუღიათ, არც გადასახადები შეუმცირებია და გაუუქმებია ვინმეს, არც ახალი სამუშაო ადგილები შექმნილა, არც ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესებულა და არც ხელისუფლებაში მყოფი ის კრიმინალები დასჯილან, რომელთაც ხალხის ხარჯზე მილიონები იშოვეს. ყველაფერ ამის მოსაგვარებლად ჯერ ძალზე ცოტა დროა გასული. თუმცა, ეს დრო საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ხალხს დაებრუნებინა ის, რაც ყოფილი ხელისუფლების მმართველობის პირობებში ხელიდან გამოეცალა. ხავერდოვანმა რევოლუციამ ხალხს მომავლის იმედი დაუბრუნა. დღეს კი სწორედ ამ მონაპოვრის საფრთხის ქვეშ დაყენებას ცდილობენ. როგორ? მეთოდი ნაცნობი და მოძველებულიც კია – სტაბილიზაციის ხიბლის დესტაბილიზაციის საშიშროებასთან თვალნათლივ დაპირისპირება.

ამ არჩევანის წინაშე ხალხის დაყენება გასულ კვირას ნამდვილად სცადეს. რევოლუციის შემდგომ დაწყებული კრიმინალური შეტევა, რომლის პირველი ორი ნიშანიც ჟურნალისტ ლუბა ელიაშვილის ფანჯარას მოხვედრილი ტყვია და ლეიბორისტული პარტიის ოფისთან აფეთქებული ხელყუმბარა გახლდათ, გასულ კვირას განსაკუთრებულად გააქტიურდა. ამასთან, აშკარაა, რომ ეს შეტევა გამორჩევით ხორციელდება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ძალებზე. ამასთან, თუ ზემოთნახსენებ ორ შემთხვევაში, დანაშაულის ჩადენის გარემოებათა გამო, მომხდარი შესაძლებელი იყო ნასვამი გამვლელისთვისაც მიეწერათ, ახლა უკვე მიზანმიმართულად კეთდება აქცენტი კონკრეტული ძალების მიერ ორგანიზებულ დანაშაულზე. კერძოდ, ირინა სარიშვილის ფანჯრისთვის ოპტიკური სამიზნის მქონე, მაყუჩიანი იარაღით სროლა შეკვეთილი მკვლელობის მცდელობის სურათს ქმნიდა, რჩეულიშვილების ოჯახის კუთვნილი „ცენტრ-პოინტის" ჩამსხვრეულ მინებზე „კმარა"-ს მოხსენიებითა და ამავე სახელწოდების კარგად ნაცნობი მოძრაობის წევრების სტილში გაკეთებული წარწერაც ნამდვილად არ გახლდათ მხოლოდ „გამგებისთვის" დატოვებული. ამის შემდეგ მაინცდამაინც სახელმწიფო ტელევიზიასთან მომხდარი აფეთქება და მაინცდამაინც ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი საინფორმაციო საშუალებების შენობაში ჩადებული ბომბის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაც არ უნდა იყოს უბრალო დამთხვევა. აღარაფერს ვიტყვით, ჩვეულებრივად აღქმულ კრიმინალზე – ყაჩაღობასა თუ მკვლელობებზე და გასული კვირა კვლავაც ყოფილი ხელისუფლების გულშემატკივარი ფინანსური კლანის წარმომადგენლის, „გაერთიანებული ქართული ბანკის" თანათავმჯდომარის თამაზ მაღლაკელიძის გატაცებით დასრულდა. სხვათა შორის, საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გატაცებიდან მესამე დღე გავიდა და ჯერ გამოსასყიდი არავის მოუთხოვია. გუშინ კიდევ ერთ კრიმინალურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: უცნობმა პირმა იმ შოთა მეფარიძის ვაჟის სახლს ესროლა, რომელიც თავის დროზე, მის ეზოში მისულ მიხეილ სააკაშვილს თოფით გამოუვარდა. უბრალოდ, ამ შემთხვევაში თავად დაზარალებულმა გამორიცხა მომხდარის კავშირი მის ოჯახსა და სააკაშვილს შორის რამდენიმე წლის წინ არსებულ დაპირისპირებასთან.

და ბოლოს, არც ერთი, ახალი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში მომხდარი სერიოზული კრიმინალი გახსნილი არ არის.

რით არ გამოდგება ყოველივე ზემოთთქმული რევოლუციისშემდგომ საქართველოში დესტაბილიზაციის დემონსტრირებისთვის, რის გამოც პასუხისმგებლობას, რასაკვირველია, დღევანდელ ხელისუფლებას დააკისრებენ?

ამას ყველაფერს გენერალური პროკურატურის მიერ დასაპატიმრებლად გამეტებული ლევან მამალაძის განცხადებები ემატება, დღევანდელი ხელისუფლების რეპრესიული ხასიათის შესახებ. ცხადია, მსგავსი შეფასებები გაკეთდება, დაახლოებით, მისივე მდგომარეობაში ჩავარდნის საშიშროების წინაშე მდგომი, ყოფილი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებისგანაც, რომლებზეც სხვადასხვა სამართალდამცველ ორგანოში სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ასეთები კი, როგორც გასულ კვირას გაირკვა, არიან დავით მირცხულავა, აკაკი ჩხაიძე, სულხან მოლაშვილი...

თუ სულ ცოტა ხნისწინანდელ წარსულს გავიხსენებთ, ცხადია, არავის გაუკვირდება უახლოეს მომავალში ამ სიის სერიოზულად შევსება შევარდნაძის ხელისუფლების მთავარი მოქმედი პირებით. საქართველოს აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტთან ერთად, სწორედ ისინი გახლდნენ იმ „სტაბილურობის" შემოქმედნი, რომლის ხალხისთვის თავს მოხვევა ბოლო რვა წლის მანძილზე მიზანმიმართულად ხდებოდა. ანუ ამ რვა წელიწადში, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ისევ კლავდნენ, ძარცვავდნენ, ყაჩაღობდნენ, ყოფილი ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანა, ფაქტობრივად, ბანკროტად აქცია, დაკარგა ტერიტორიები და ხალხი უკიდურეს სილატაკამდე მიიყვანა, მაინც კარგა ხანი კოზირად იყენებდა იმ ფაქტს, რომ ქუჩებიდან ავტომატიანი ხალხის გაქრობა სწორედ მისი მმართველობის პერიოდს დაემთხვა.

რეალურად კი, ყველას კარგად აქვს გაცნობიერებული შევარდნაძისდროინდელი სტაბილურობის არსი, რომლის პირველ ეტაპზე, ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებში კამუფლიაჟიანი ყაჩაღების ჰალსტუხიანი ყაჩაღებით ჩანაცვლება, შემდეგ მათი მართვის სადავეებთან მიყვანა მოხდა, ბოლოს კი, ეს მდგომარეობა, უძრაობის ხანის „საუკეთესო" ტრადიციებით, დაკანონდა კიდეც. ასეთი „სტაბილურობა" საქართველოსთვის მწარედ ნაცნობია. ორი კვირის წინ მთელი მსოფლიოს გასაგონად სწორედ ამ, უძრაობის ხანის სტაბილურობის სახით მიწოდებულ სატყუარაზე თქვა საქართველოს მოსახლეობამ სრულიად გააზრებული უარი. ასეთ სიტუაციაში კი მავანთათვის სასურველი დესტაბილიზაციის დემონსტრირება დასახულ მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევს, თუ მოსახლეობის პირდაპირი ნებით მოსული ახალი ხელისუფლება ხალხს იმედს გაუცრუებს.

უკანონო პატიმრობაში მყოფი დამკვირვებელი თავისუფალია

პროკურატურას ოფიციალურად გაუგზავნა.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მშვენიერაძის დაკავების მიზეზი მის მიერ არჩევნების დღეს აღმოჩენილი სერიოზული დარღვევები და ამ დარღვევებზე შედგენილი ოქმი გახლდათ. ქობულეთის პოლიციის მიერ დაკავებულ დამკვირვებელს, აჭარელმა სამართალდამცველებმა თავდაპირველად არჩევნებისთვის ხელის შეშლის ბრალდება წაუყენეს, რამდენიმე დღეში კი „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელს ბრალდება ხულიგნობის მუხლითაც დაუმძიმეს და წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. აჭარული კანონებით დაკავებული უდანაშაულო დამკვირვებელი, კარგა ხანს ქობულეთის პოლიციის განყოფილებაში ჰყავდათ. ბათუმის იზოლატორში ის მოგვიანებით გადაიყვანეს.

ერთი სიტყვით, აჭარული პროკურატურაც, რომელიც მშვენიერაძის გათავისუფლებაზე კარგა ხნის განმავლობაში კატეგორიულ უარს აცხადებდა, ბოლოს და ბოლოს, იძულებული გახდა, 21 წლის უდანაშაულო დამკვირვებლის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეეწყვიტა და ის უსამართლო პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა. დადგენილება მისი გათავისუფლების შესახებ, გუშინწინ გაფორმდა. "შეწყდეს სისხლის სამართლის საქმე სასშიშროების არ არსებობის გამო", - ასეთი გახლავთ ამ დადგენილების შინაარსი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცველები გიორგი მშვენიერაძის დაკავების და თვეზე მეტი ხნის განმავლობაში მისი პატიმრობაში დატოვების მიზეზებზე გუშინ კომენტარს არ აკეთებდნენ.

"მე 2 ნოემბრიდან დღემდე უკანონო პატიმარი ვიყავი, უკანონო პატიმრობას სასამართლოში გავასაჩივრებ", - აცხადებს გათავისუფლებული მშვენიერაძე.

მისივე თქმით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და მისი ადვოკატი სარჩელს ქობულეთის სასამართლოს წინააღმდეგ შეიტანენ. მშვენიერაძე თვლის, რომ მის გათავისუფლებას უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეუწყო ხელი, როცა ქვეყანაში 2 ნოემბრის პროპორციული არჩევნები ბათილად გამოცხადდა.

"წინასწარი დაკავების იზოლატორში კარგად მეპყრობოდნენ", - იხსენებს ყოფილი პატიმარი.

"ის ბრალდებები, რომლებიც ჩვენს დამკვირვებელს წაუყენეს, თავიდანვე არაარგუმენტირებული და მცდარი იყო. გამოძიების მასალებს, რომელიც მცდარი მტკიცებულებებითა და მცდარი ინფორმაციით იკვებებოდა, მკაცრად ეწინააღმდეგებოდა იმ საერთაშორისო დამკვირვებელთა ინფორმაცია და მონაცემები, რომლებიც მომხდარ ინციდენტს შეესწრნენ. გიორგი მშვენიერაძის სიმართლე ერთობლივმა ძალისხმევამ – უცხოელი დიპლომატების, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების, სტუდენტებისა და, საერთოდ, მთელი საზოგადოების მონდომებამ დაიცვა. 21 წლის უკანონო პატიმარი მთელი ამ ხნის განმავლობასი მორალურ სიმშვიდეს ინარჩუნებდა.

მსგავსი ინციდენტები, მსგავსი უკანონობა და უსამართლობა საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას. უკანონობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის კი საზოგადოება უკვე უკან აღარ დაიხევს," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას " ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ზაზა რუხაძემ.

„ხავერდოვანი რევოლუციის" სამართლებრივი შედეგი

„ხავერდოვანი რევოლუციის" შემდგომ სერიოზული ცვლილებები სასამართლო ხელისუფლებაშიც მოხდა. შევარდნაძის ხელისუფლების მიერ პოლიტიკური მოტივით შეკერილი საქმეები გარდამავალი ხელისუფლების არსებობის ეპოქაში ერთმანეთის მიყოლებით იშლება. "ხავერდოვანი რევოლუციის" სამართლებრივი შედეგების მაგალითები უკვე სახეზეა.

ინგა ალავიძე

რამდენიმე თვის წინ „ჭიათურმანგანუმის" საქმეზე ატეხილი სკანდალი, რომელიც, მოგვიანებით, პრეზიდენტ შევარდნაძის პოლიტიკური წნეხის ქვეშ აღმოჩნდა, ქვეყანაში განვითარებული პროცესების შემდეგ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცა, ანუ „ჭიათურმანგანუმის" 65-ტომიან საგამოძიებო საქმეს, რომელსაც საბოტაჟის კვალიფიკაცია მიეცა და რომლის შექმნასაც უშიშროების სამინისტრომ წელიწანდახევარი მოანდომა, სასამართლომ პოლიტიკური საფუძველი გამოაცალა და ერთმანეთის მიყოლებით დაპატიმრებული საწარმოს მაღალი თანამდებობის პირები მტკიცებულებების არარსებობის გამო პატიმრობიდან გაათავისუფლა.

ცოტა ხნის წინ თბილისის საოლქო სასამართლომ პატიმრობიდან უპირობოდ გაათავისუფლა შევარდნაძის ხელისუფლების ერთი ნაწილის კლანური ინტერესების მსხვერპლი, "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის მმართველი გიორგი ლეჟავა.

გუშინწინ კი ვაკე-საბურთალოს სასამართლომ ადვოკატ გიორგი ტურაზაშვილის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და ბიუჯეტისთვის დიდი რაოდენობით თანხების დამალვაში ბრალდებული საწარმოს ბუღალტერი სერგო გოგოლიძე პატიმრობიდან გაათავისუფლა; უფრო ზუსტად, აღმკვეთი ღონისძიება – პატიმრობა - პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა.

ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი სერგო გოგოლაძის მიმართ აღძრული საქმის შეწყვეტასა და უკანონო პატიმრობაში მყოფი ბრალდებულის გათავისუფლებას ითხოვდა. გიორგი ტურაზაშვილი აცხადებს, რომ უშიშროების სამინისტრომ საწარმოს ბუღალტერს (რეაბილიტაციის მმართველის გოგი ლეჟავას მსგავსად) დანაშაულში დასდო ბრალი, რაც არც იურიდიული და არც ფინანსური დოკუმენტაციით არ დასტურდება. მეტიც, უშიშროების სამინისტროს მტკიცება, რომ სერგო გოგოლაძემ ბიუჯეტს დიდი რაოდენობით გადასახადი - 94 ათასი ლარი დაუმალა, არსებული ფინანსური დოკუმენტაციის მიხედვით, სხვაგვარად დასტურდება, ანუ, ჭიათურის საგადასახადო სამსახურის მონაცემებით, სადავო 94 ათასი ლარი "ჭიათურმანგანუმმა" ბიუჯეტში 30 ივლისს გადაიხადა. არადა, გოგოლიძე 5 სექტემბერს ბიუჯეტისთვის გადახდილი ამ თანხის დამალვაში დაადანაშაულეს და დააკავეს კიდეც.

აღსანიშნავია, რომ ბუღალტრის პატიმრობიდან გათავისუფლების შესახებ ადვოკატის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას ბრალმდებელმაც დაუჭირა მხარი. ადვოკატი გიორგი ტურაზაშვილი დარწმუნებულია, რომ "ჭიათურმანგანუმის" საქმე უახლოეს მომავალში სამართლებრივი შედეგით დასრულდება – სერიოზული იურიდიული ხარვეზების საფუძველზე დაკავებულ ბრალდებულთა წინააღმდეგ საქმის ძიება შეწყდება.

სხვათა შორის, ადვიკატი გიორგი ტურაზაშვილი, რომელიც კიდევ ერთი გახმაურებულ საქმეში ("ისნის ამბოხების" სახელით ცნობილში) ბრალდებულებს იცავს და დარწმუნებულია, რომ ასევე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ ყოფილ გვარდიელებს თავად გენერალური პროკურატურა მოუხსნის პრეზიდენტ შევარდნაძის შეკვეთით დამძიმებულ ბრალდებებს. ვეტერან გვარდიელთა პროცესი სამშაბათს გაიმართება და სავარაუდოდ, ბრალდებული ვეტერანი გვარდიელები შესაძლოა სატუსაღოს დაემშვიდობონ.

ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მინისტრთა კაბინეტის შექმნით შეიძლება

წინამდებარე წერილის ავტორი, ქონების მართვის მინისტრის ყოფილი მოადგილე, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ გარაყანიძე საკმაოდ დიდხანს მუშაობდა კონტროლის პალატაში, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში, "ტასისი"-სა და გაეროს განვითარების პროგრამაში, რაც მას საშუალებას აძლევს, სახელისუფლებო სტრუქტურების მომავალი ცვლილებები საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით განიხილოს.

ზურაბ გარაყანიძე

საქართველოს უსაფრთხოებისათვის უმთავრესია მდგრადი განვითარების სამართლებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ეფექტიანი და სტაბილური სახელმწიფო სტრუქტურების ორგანიზება. ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტაც აქედან უნდა დავიწყოთ. ამ თვალსაზრისით თუ განვსაზღვრავთ ცნებას "სახელმწიფო", იგი მოცემული ერის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკური ორგანიზაციაა.

ამიტომ, კითხვაზე, თუ საიდან ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე ქვეყანას დღეს, პასუხი ალბათ უფრო ასეთი უნდა იყოს - არაეფექტური სახელმწიფო სტრუქტურებისა და აქ გამეფებული ბიუროკრატიზმისა და კორუფციისაგან. მაშასადამე, სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემასაც სრულყოფილად მხოლოდ მაშინ გადავწყვეტთ, როცა ამ საფრთხეს ავიცილებთ თავიდან. ამასთან დაკავშირებით, გვაქვს კონკრეტული წინადადებები და ზოგიერთი მოსაზრებები:

1. საჭიროა აღმასრულებელი ხელისუფლების რეორგანიზაცია მთელ მსოფლიოში აპრობირებული მინისტრთა კაბინეტის ფორმირებით. აუცილებელია მისი ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა, დღევანდელი პარალელიზმისა და დუბლირების ნაცვლად, სამინისტროთა რაოდენობის მინიმუმამდე შემცირება. აუცილებელია ეროვნული ცხოვრების თითოეულ სფეროზე კონკრეტული უწყებისა და კონკრეტული პიროვნების პასუხისმგებლობა ამა თუ იმ დარგში გატარებულ სახელმწიფო პოლიტიკაზე. როდესაც ერთი და იგივე პრობლემას რამოდენიმე სამინისტრო ებრძვის, იქ პიროვნული პასუხისმგებლობა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება შეუძლებელი ხდება. მაგალითად გამოდგება კონტრაბანდასა და დამალულ გადასახადებთან ბრძოლა, რასაც ერთნაირი "წარმატებით" ეწევიან ფინანსთა, უშიშროების, შინაგან საქმეთა სამინისტროები. ზოგიერთმა ხელმძღვანელმა დარგზე პასუხისმგებლობა მისი პირდაპირი მნიშვნელობით დარგის ბატონ-პატრონობად გაიგო. ვფიქრობთ, რომ ეს არის სწორედ კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, რომლის აღმოსაფხვრელად სამინისტროები უნდა ჩამოყალიბდეს "ბლოკურ-დარგობრივი" პრინციპით, როგორც ეს მსოფლიო პრაქტიკაშია მიღებული.

ახალ მინისტრთა კაბინეტში განსხვავებული ფუნქციებით უნდა იქნეს წარმოდგენილი ეკონომიკის, ენერგეტიკის, ურბანიზაციისა და ტრანსპორტის სამინისტრო. მან ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქციაც უნდა დაიბრუნოს.

2. ეროვნული ცხოვრების და სახელმწიფო მართვა-გამგეობის რიგი სფეროები მნიშვნელოვანად უნდა გადანაწილდეს ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობას შორის, რაც გარკვეულად შეამსუბუქებს ცენტრალური მმართველობის ტვირთსა და პასუხისმგებლობას ქვეყნის საერთო მართვა-გამგეობაში. უნიტარიზმისა და ფედერალიზმის პრინციპთა ერთმანეთთან გონივრული შერწყმა და ფუნქციათა ოპტიმალური გადანაწილება უნდა გახდეს მიმდინარე რეფორმებისა და სახელმწიფო მართვის სრულყოფის სტრატეგია. ეს აამოძრავებს და ბიძგს მისცემს ხალხის ენერგიას და თვითგამოხატვას, რის გარეშეც სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმატება შეუძლებელია.

3. მინისტრთა კაბინეტის შექმნის შემთხვევაში შესაძლებელია კანცელარიის გაუქმება და მის ნაცვლად პრეზიდენტის აპარატის შექმნა გაცილებით მცირე შტატებით. ამასთან, უნდა გაიზარდოს ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი - თავდაცვასა და უშიშროებასთან ერთად, მან კოორდინაცია უნდა გაუწიოს არასამხედრო - ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების ორგანოებს, და საერთოდ, ქვეყნის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს; აგრეთვე რეფორმის სწრაფ განხორციელებას სამართალდამცავ ორგანოებში, ანუ ე.წ. "ძალოვნების" მართვის ყველაზე კარგი ბერკეტი სწორედ ეროვნული უშიშროების საბჭო უნდა გახდეს. მართვის ასეთი სისტემა აპრობირებულია მრავალ სამართლებრივ სახელმწიფოში.

4. ეკონომიკის სფეროში მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განპირობებული უნდა იქნეს იმ ამოცანებით, რომელიც განვითარების დღევანდელ ეტაპზე დგას ქვეყნის წინაშე. ასეთი ამოცანის გამოყოფა აუცილებელია იმისათვის, რომ მომავალი კაბინეტის სტრუქტურა და მისი საქმიანობა დაექვემდებაროს ეკონომიკის რეალური სექტორის მყარი ზრდის ამოცანას. საქართველოში ჯერჯერობით არაა შექმნილი რეალური სექტორის ზრდის წინაპირობები. მონეტარიზმის პოსტულატების პოზიციებიდან გამომდინარე ინფლაციის ტემპების შემცირებამ და საფინანსო კონიუნქტურის შეცვლამ არ მიგვიყვანა ეკონომიკის გამოცოცხლებასთან.

პრაქტიკულად არ გამართლდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნიშნით გაწეული მუშაობა, ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოთხოვნების გაუთვალისწინებლად სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების პრივატიზების და მართვის უფლებით გადაცემის პროცესში არ გამოიკვეთა მყარი ეკონომიკური ზრდის ტენდენცია. მთლიანი შიდა პროდუქტის 1997 წელს მიღწეული დამაიმედებელი ზრდის ტემპის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკის წინაშე არსებული შიდა და გარე საფრთხეების გაუთვალისწინებლობამ ფაქტობრივად ქვეყანა საფინანსო კრიზისამდე მიიყვანა.

დღეს ეკონომიკური რეფორმის უმთავრესი ამოცანაა მისი მმართველობის უზრუნველყოფა. რეფორმის დაწყებიდან გასული წლების შემდეგ კვლავ დღის წესრიგშია ისეთი მმართველობითი სტრუქტურის შექმნის ამოცანა, რომელიც ახალი ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ეკონომიკური უწყებების და მათი ფუნქციების ფორმატის ხშირი ცვლა იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკის რეალური სექტორის ასამუშავებელი სამთავრობო ხანგრძლივმოქმედი პროგრამა, ჯერჯერობით, ქვეყანაში არ არსებობს, ისეთი პროგრამა, რომელიც განსაზღვრავდა მმართველობითი სტრუქტურების ხასიათს და ფუნქციებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ინტერესებია. ცალკეული რეგიონების, სოციალური ფენების, დარგების ინტერესები ფორმირდებიან ხელისუფლების შტოების, სახელმწიფო ორგანოების ლობისტურ ინტერესებად. ეს ობიექტური რეალობაა. თავდაცვის, უშიშროების, ჯანმრთელობის დაცვის და ა.შ. მინისტრებს ყველაზე ნაკლებად უნდა აღელვებდეს ბიუჯეტის დეფიციტის პრობლემა.

ეს ამ მინისტრების პირდაპირ მოვალეობებში ნამდვილად არ შედის. მათ მინისტრთა კაბინეტს უნდა დაუსაბუთონ მათი დარგების დაფინანსებისათვის საჭირო თანხები. ფინანსთა სამინისტრო კი პირიქით, - ბიუჯეტის არადეფიციტურობის ლობისტია. მან სხვა სამინისტროების ინფორმაციები უნდა მიიღოს ფულის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ. როგორც წესი ფინანსთა მინისტრი აცხადებს, რომ ფული არ არის, ეს ფინანსთა სამინისტროს არსებობის ფორმა, მისი აზროვნების სტილია. ამას ემატება ქვეყნის რეგიონების ლობირება თავთავისი სატრანსფერტო პრობლემებით. ვინ უნდა იპოვოს ყველა ამ ინტერესის ოპტიმალური თანაფარდობა, თუ არა მინისტრთა კაბინეტმა, რომელიც იქნება ავტორიტეტული ორგანო ყოველგვარი ლობისტური ინტერესების გარეშე. მისი მთავარი ფუნქცია უნდა იყოს ეკონომიკური ინტერესების დაბალანსება.

აქამდე, ერთი შეხედვით, ეკონომიკის სამინისტრო იყო ისეთი ორგანო, რომელსაც არ ჰქონდა ლობისტური ინტერესები. მაგრამ მასში მრეწველობის, ვაჭრობის და სახელმწიფო ქონების მართვის ფუნქციების გაერთიანებით მან შეიძინა თავისი საკუთარი ლობისტური ინტერესები: საგარეო-სავაჭრო ბალანსის და საკუთრებაში სახელმწიფოს წილის სახით.

ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ინტერესებია. ცალკეული რეგიონების, სოციალური ფენების, დარგების ინტერესები ფორმირდებიან ხელისუფლების შტოების, სახელმწიფო ორგანოების ლობისტურ ინტერესებად. ეს ობიექტური რეალობაა.

ერთიანი სახელმწიფო სახალხომეურნეობრივი გეგმის არ არსებობის პირობებში სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკის რეგულირების უმთავრეს ბერკეტად გადაიქცა ბიუჯეტი, რამაც განსაზღვრა ფინანსთა სამინისტროს როლის გაზრდა სხვა ეკონომიკური პროფილის სამინისტროებსა და უწყებებს შორის. ამის შედეგად ფინანსთა სამინისტროს ლობისტური ინტერესი - დეფიციტის მინიმიზაცია და აქედან გამომდინარე მონეტარისტული პოლიტიკა - გადაიქცა ეკონომიკაში ქვეყნის ეროვნულ ინტერესად (რაც დაემთხვა საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტების და ეროვნული ბანკის პოლიტიკასაც). ქვეყნის მთელი ეკონომიკური ცხოვრება დაექვემდებარა ამ ინტერესს. ამ პირობებში თითქმის იგნორირებულია უფრო მნიშვნელოვანი ინტერესები: მოსახლეობის ცხოვრების დონე, ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება და ა. შ. ამასთან, მონეტარიზმის პირობებში ქვეყანაში ბიუჯეტს პრაქტიკულად ორი პატრონი, ფინანსთა და ეკონომიკის (ძირითადი არასაგადასახადო შემოსავლით-დივიდენდით და პრივატიზებიდან შემოსავლებით, რომლითაც ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ხდება!) სამინისტრო ჰყავს, რაც ყველაზე არალოგიკურია.

უნდა გაიზარდოს ეროვნული უშიშროების საბჭოს როლი - თავდაცვასა და უშიშროებასთან ერთად, მან კოორდინაცია უნდა გაუწიოს არასამხედრო - ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების ორგანოებს. "ძალოვნების" მართვის ყველაზე კარგი ბერკეტი სწორედ ეროვნული უშიშროების საბჭო უნდა გახდეს.

ამრიგად, მინისტრთა კაბინეტის შექმნის ყველაზე უმთავრესი მიზანი უნდა იყოს განსხვავებული ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილების ფუნქცია. კრიზისული განვითარების პირობებში გარდაუვალია სახელმწიფოს მხრივ ეკონომიკაში მარეგულირებელი ჩარევის პრიორიტეტების წრის შეკვეცა ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული დარგების განვითარებით, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის დამოუკიდებელი და სტაბილური განვითარება მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებში. აღნიშნულიდან გამომდინარე მომავალი მინისტრთა კაბინეტის ფუნქციები ძირითადად კონცენტრირებული უნდა იქნეს ისეთ პრიორიტეტებზე, როგორიცაა:

ა) ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარება: ინფლაციასთან ბრძოლის პროცესში მიმოქცევაში ლარების მოცულობა გაუმართლებლადაა შემცირებული. ეროვნული ბანკის უაღრესად პასიური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პირობებში ქვეყანაში სახეზეა ეკონომიკის აშკარად დეკრედიტაცია და დოლარიზაცია. დღეს პრაქტიკულად ლარი ღირებულების საზომის და დაგროვების საშუალების ფუნქციას დოლარით ასრულებს, რაც ეკონომიკისათვის აშკარად საფრთხეს წარმოადგენს.

ბ) მთლიან შიდა პროდუქტში "ჩრდილოვანი ეკონომიკის" ხვედრითი წილი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით 40-45 %-ია, რაც ამ სექტორს სახელმწიფო ეკონომიკური კონტროლიდან გამოთიშავს: ბაზრობები და არარეგისტრირებული მეწარმეობა ისედაც დეფიციტური ნაღდი ფულადი მასის რეალური ბრუნვიდან ამოღებას იწვევს, რაც კიდევ უფრო ამწვავებს საგადამხდელო რესურსების დეფიციტს, წარმოშობს საბრუნავი საშუალებების "შიმშილს".

გ) ეკონომიკის სფეროში კორუფციის მაღალი დონეა: საქართველოში დღეს სერიოზული სამეწარმეო ინიციატივა წარმოუდგენელია მაღალჩინოსანთა მფარველობის გარეშე. კორუფციამ შექმნა სახელმწიფო რესურსების კერძო კაპიტალად გადაქცევის ტრანსფორმაციის მექანიზმი.

ეკონომიკის სფეროში კორუფციის მაღალი დონეა: საქართველოში დღეს სერიოზული სამეწარმეო ინიციატივა წარმოუდგენელია მაღალჩინოსანთა მფარველობის გარეშე. კორუფციამ შექმნა სახელმწიფო რესურსების კერძო კაპიტალად გადაქცევის ტრანსფორმაციის მექანიზმი.

დ) რეფორმებმა ვერ შეიძინა კოორდინირებული, სინქრონული ხასიათი: იმ პირობებში, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის უმეტესი ნაწილი უკვე კერძო სექტორში იქმნება, ამ სფეროს მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებაზე ჯერჯერობით მხოლოდ ვსაუბრობთ. არ არსებობს ერთიანი რეფორმატორული გუნდი თვით ეკონომიკური პროფილის სამინისტროებში და უწყებებშიც. ეს კიდევ ერთხელ დადასტურდა სახელმწიფო კანცელარიას, ერთის მხრივ, და სოფლის მეურნეობის და ფინანსთა სამინისტროებს შორის, მეორეს მხრივ, არსებული დაპირისპირებებით.

ე) რეფორმის მიმდინარეობის პროცესში მკვეთრად შეიზღუდა ცენტრალური ბიუჯეტის მარეგულირებელი როლი: აღნიშნული წინააღმდეგობა განსაკუთრებით რელიეფურად გამოვლინდა ცენტრისა და ავტონომიური რესპუბლიკების ურთიერთობებში. დესტაბილიზაცია აძლიერებს კანონით "სახელმწიფო გადასახადებიდან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების შესახებ" ზოგიერთი ტერიტორიული ერთეულისათვის მინიჭებული ასიმეტრიული პრივილეგიები.

გუნდურ ან კოალიციური პრინციპით დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტში ეკონომიკაზე პასუხისმგებელი ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღება ხელს შეუწყობს ბიუჯეტის ხარჯების განხილვას არა უწყებრივი ლობირების კუთხით, არამედ კომპლექსურ ჭრილში.

მაგალითად, იმ დროს, როდესაც ქ. თბილისის საწარმოებში იქმნება ქვეყნის სამეწარმეო სფეროში გამოშვებული საქონლის და მომსახურეობის საერთო მოცულობის თითქმის ნახევარი, ქვემო ქართლში - 11-12%, იმერეთში - 10-11%, აჭარაში - 9-10%-მდე, ზემოაღნიშნული კანონით ეს უკანასკნელი თავის განკარგულებაში იტოვებდა საბაჟოდან მიღებული დღგ-ს, აქციზის, საბაჟო გადასახადის 40-40%-ს (თუმცა ცენტრს ხშირად სულაც არაფერს არ აძლევდა), მაშინ როცა ქ. ფოთის ბიუჯეტს საბაჟო გადასახადის მხოლოდ 5% რჩებოდა, ხოლო იმერეთს, სადაც იქმნება ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის 12-14%, საბაჟოდან ამოღებული გადასახადებიდან პრაქტიკულად არაფერი არ ხვდებოდა.

ამრიგად, წმინდა ეკონომიკური მეთოდებით ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პრობლემა ვერ გადაწყდება. საბაზრო რეგულატორები ანუ "ბაზრის უხილავი ხელი" ვერ შეძლებს ჩვენი კონკრეტული ეკონომიკური თავისებურების გათვალისწინებას გარდამავალ პერიოდში. ამიტომ ძლიერი მინისტრთა კაბინეტის შექმნით სახელმწიფოს როლის, მისი გავლენის გაძლიერება და ეკონომიკის რეალური სექტორის აღმავლობისათვის რადიკალური - არაორდინალური ზომების მიღება ამ ეტაპზე აუცილებელია.

სწორედ აღნიშნული ამოცანის გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურა. კერძოდ, ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტად უნდა გადაიქცეს არა მონეტარისტული რეგულირება, არამედ სტრუქტურული და ინსტიტუციონალური რეფორმები, რომლებიც სტიმულს მისცემენ სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას.

აღნიშნულის გათვალისწინებით და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი წარმატებული ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნის გამოცდილებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

- ეკონომიკის სამინისტრო პრივატიზების, ქონების მართვის, საინვესტიციო საქმიანობის, ანუ სამეურნეო საქმიანობის ნაწილში შეუერთდეს ფინანსთა სამინისტროს და პრემიერ მინისტრის ერთ-ერთ მოადგილედ დაინიშნოს ფინანსთა მინისტრი, ან იგი დაექვემდებაროს ერთ-ერთ ვიცე-პრემიერს - დღემდე ფინანსური სტაბილიზაციის კომისიების შექმნამ საქმეს ვერ უშველა; საბაჟო და საგადასახადო ოპერატიულ სამსახურებს დაემატოს საგამოძიებო და "შავი ფულის" გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ფუნქციები (უკანასკნელ პერიოდში ამგვარი გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნულ ბანკს და პროკურატურას დაევალა, ე.ი. მეწარმეების უამრავ მაკონტროლებელს კიდევ ორი მძლავრი სტრუქტურა დაემატა) კი ცალკე გამოიყოს პრემიერის დაქვემდებარებაში მყოფი საფინანსო პოლიციის სახელმწიფო დეპარტამენტის სახით, რომელსაც დაევალება დამალული გადასახადების და სამრეწველო კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლა. ასეთ დაქვემდებარებაშია ამ ტიპის სამსახურები დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში. ახლახან ყაზახეთში შეიქმნა საფინანსო გამოძიების ფედერალური ბიურო, რომელიც პრეზიდენტის დაქვემდებარებაშია. აუცილებლად მიგვაჩნია შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციაზე და საერთოდ, ეკონომიკურ დანაშაულზე "ზრუნვის" ფუნქციებისგან განთავისუფლება.

აღნიშნული ცვლილება გამოიწვევს იმას, რომ ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებზე ერთი პასუხისმგებელი იქნება. იგი ყოველგვარი ხარჯის გაწევას დაუქვემდებარებს არსებულ შემოსავლებს. ასეთი მოდელის ტიპური მაგალითია აშშ, სადაც ხაზინაა მთლიანად ბიუჯეტზე პასუხისმგებელი და მის შემადგენლობაშია საბაჟო და საგადასახადო სამსახურებიც, საბიუჯეტო სისტემაც. ანალოგიურადაა ორგანიზებული პოლონეთის და ჩეხეთის ფინანსთა სამინისტროებიც, იმ განსხვავებით, რომ ისინი ერთ ვიცე-პრემიერს ექვემდებარებიან და პოლონეთში ცალკე სამინისტროთა წარმოდგენილი ხაზინა. საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო და საგადასახადო პოლიციის ფედერალური სამსახური ცალკე სტრუქტურებად წარმოდგენილია დსთ-ს ზოგიერთ ქვეყანაში.

მიგვაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროში საინვესტიციო, სახელმწიფო ქონების მართვის (წმინდა მოგების ნაწილის რეინვესტიციის სახით საწარმოსთვის დატოვებაც ხომ ინვესტიციაა!) და პრივატიზების ფუნქციების გაერთიანება ხელს შეუწყობს, როგორც საბიუჯეტო კაპიტალური შემოსავლების ზრდას, ისე სახელმწიფოს კუთვნილი წილიდან საგადასახადო შემოსავლების უკეთ მობილიზაციას და მათ ხარჯვაზე კონტროლის გაძლიერებას.

საქართველოს საფინანსო სისტემაში ასეთი სტრუქტურული რეფორმა ხელს შეუწყობს არამარტო ბიუჯეტის უკეთ შევსებას, არამედ გაზრდის მისი ხარჯვების ეფექტიანობასაც. კერძოდ, თუ მონეტარიზმის პირობებში ძირითადი აქცენტები შემოსავლებზე კეთდება (საგადასახადო სისტემის რეფორმა, ცენტრალურ და რეგიონალურ ბიუჯეტებს შორის ურთიერთობა), რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკის პირობებში უპირველესი ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარჯების რესტრუქტურიზაციაზე. ჯერჯერობით ხარჯები რამდენადმე მნიშვნელოვანი რეფორმირების ობიექტად არ ქცეულა. დღეს მათი ფორმირება მნიშვნელოვანწილად ხდება სტიქიურად, ხაზინაში შემოსავლების შესაძლო მობილიზაციის კვალობაზე ეკონომიკური და პოლიტიკური პრიორიტეტების, ქვეყნის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გაუთვალისწინებლად. გუნდურ ან კოალიციური პრინციპით დაკომპლექტებულ მინისტრთა კაბინეტში ეკონომიკაზე პასუხისმგებელი ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღება ხელს შეუწყობს ბიუჯეტის ხარჯების განხილვას არა უწყებრივი ლობირების კუთხით, არამედ კომპლექსურ ჭრილში, რომელშიც ერთმანეთს დაუკავშირდება მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სტრუქტურული რეფორმის და საკუთრივ პოლიტიკის პრობლემები. ამავე ვიცე-პრემიერის მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს ბიუჯეტის ძირითადი "მომხმარებლების" განსაზღვრა და წლიდან წლამდე მათი რიცხოვნების შემცირება. აქედან გამომდინარე, ტერიტორიული ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერტები ბიუჯეტის ძირითად "მომხმარებლებს" უნდა გამოეყოს დარგების მიხედვით. მეცნიერების, განათლების, კულტურის, სპორტის და სოციალური დარგების დაფინანსება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საბიუჯეტო მიზნობრივი პროგრამებისა და შეკვეთების მოცულობის კვალობაზე.

წმინდა ეკონომიკური მეთოდებით ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პრობლემა ვერ გადაწყდება. ეკონომიკის რეალური სექტორის აღმავლობისათვის რადიკალური - არაორდინალური ზომების მიღება ამ ეტაპზე აუცილებელია.

- ახალ მინისტრთა კაბინეტში განსხვავებული ფუნქციებით უნდა იქნეს წარმოდგენილი ეკონომიკის, ენერგეტიკის, ურბანიზაციისა და ტრანსპორტის სამინისტრო. ვფიქრობთ, საკუთარი უწყებრივი ინტერესის პარალელურად ამ სამინისტრომ ზეუწყებრივი ინტერესიც, ანუ ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელის ფუნქციაც, უნდა დაიბრუნოს. საუბარია ინდიკატორული გეგმების შედგენის ამოცანაზე. მართალია სახელმწიფო პირდაპირ აღარ მონაწილეობს საწარმოების სამეურნეო საქმიანობაში, მაგრამ იგი თავის თავზე იღებს ისეთი სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტას, როგორებიცაა მიმოქცევაში ნაღდი ფულის მასის რეგულირება, კრედიტების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების რეგულირება, ეკონომიკის სექტორების მიხედვით მოგების ნორმის რეგულირება, უცხოური კაპიტალის მონაწილეობის მოცულობის დადგენა და ა.შ. ინდიკატორულმა დაგეგმვამ არამარტო დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში გამოიღო შედეგი, არამედ იგი წარმატებით გამოიყენება დსთ-ს ისეთ სწრაფადგანვითარებად სახელმწიფოში, როგორიც ყაზახეთია. ეს გეგმა პრაქტიკულად ამ ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების უმთავრესი ინსტრუმენტია.

- ამავე სამინისტროში უნდა გაერთიანდეს ენერგეტიკაც. ახალი მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთი პრობლემა იქნება ბუნებრივი მონოპოლიების - ნავთობისა და გაზის, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის რეორგანიზაცია. ეს უპირველეს ყოვლისა ეხება ელექტროენერგეტიკას. მინისტრთა კაბინეტის და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინტერესები რეფორმის პროცესში ერთმანეთს დაემთხვა. ვინაიდან სამინისტრო (მის მიერ სამეურნეო ფუნქციების შესრულების ამოწურვის შედეგად) თვითონაა დაინტერესებული გარდაქმნებით. ახალი სიტუაცია ცვლის სახელმწიფოს როლს. მისი ამოცანა ხდება არა რეფორმის დაჩქარება, არამედ ამ სექტორის ტრანსფორმაციის მიზნით სხვადასხვა ჯგუფური ინტერესების წარმომადგენელთა მიერ შემოთავაზებული წინადადებების შესწავლა. კაბინეტმა უნდა დაიწყოს ამ ჯგუფების დისკუსიებში არბიტრის როლის შესრულება. ეს არ დაიყვანება მხოლოდ შემოსულ წინადადებათა განხილვაზე. ინფორმაციული ნაკადების მრავალფეროვნების პირობებში კაბინეტის ტაქტიკა უნდა იყოს სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონფლიქტების სტიმულირება და ამგვარ პოლემიკაში ოპტიმალური წინადადებების გამოყოფა (არაა გამორიცხული ამ პროცესში სპეცსამსახურების გამოყენებაც).

დღევანდელი მდგომარეობა ელექტროენერგეტიკაში შეიძლება დავახასიათოთ როგორც კრიზისი, რომელიც არა მხოლოდ ძირითადი ფონდების ფიზიკური და მორალური ცვეთითაა განპირობებული. ამ დარგში დაწყებულმა რეფორმამ ენერგოსისტემა სამ ძირითად სეგმენტად დაყო:

გადაცემის ერთიანი ქსელი ელექტროგადაცემა-დისპეტჩერიზაცია, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაა; გენერაცია - რომელშიც ე.წ. "მცირე ჰესები" კერძოა, ხოლო მსხვილი ობიექტებიდან მხოლოდ რამდენიმეა გადაცემული უცხოურ კომპანიებზე მართვის უფლებით; და გამანაწილებელი კომპანიები რომელთა ნაწილიც ასევე კერძოა.

ასეთმა სტრუქტურამ არ გაამართლა. სხვათა შორის, ასეთივე სტრუქტურა მოქმედებს უკრაინასა და ყაზახეთში. კერძოდ, 1995 წელს უკრაინაში შეიქმნა გენერაციის დამოუკიდებელი კომპანიები და ელექტროგადაცემის ეროვნული კომპანია. შედეგად, 1997 წლიდან 2000 წლამდე დარგში ორჯერ და მეტად გაიზარდა დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები. ყაზახეთშიც, კერძო და უცხოელ ინვესტორთა ხელში ელექტროენერგეტიკის გადასვლამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგები. ყაზახეთი იძულებული შეიქმნა შეეწყვიტა კონტრაქტი ბელგიურ კომპანიასთან. უფრო მეტიც, ბრაზილიასა და არგენტინაში რეფორმების მიმდინარეობისას ელექტროენერგეტიკის ნაწილი შეისყიდეს ფრანგულმა კომპანიებმა. საკონცესიო ხელშეკრულებაში დაფიქსირდა მუხლი არა მარტო საიმედო ენერგო- მომარაგებაზე, არამედ ჩაიწერა დებულებაც მიწოდებაში დასაშვები შეფერხების რეგლამენტაციის შესახებაც. ხელშეკრულება სამჯერ დაირღვა, და სამჯერვე ფრანგები იძულებულნი იყვნენ გადაეხადათ რამდენიმე ათეული მილიონი დოლარის ჯარიმა.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მიმდინარე რეფორმებს თან ახლავს სატარიფო პრობლემებიც. თვით ისეთ მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორებიცაა აშშ და იაპონია შენარჩუნებულია ტარიფების სახელმწიფო რეგულირება. საქართველოს ენერგეტიკაში ამ ტარიფებს განსაზღვრავს ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია, რომელიც მხოლოდ დარგში არსებულ დანახარჯებზეა ორიენტირებული და არა მთლიანად ეკონომიკის განვითარების პრიორიტეტებზე. ამიტომაა, რომ საქართველოში ეს ტარიფი დსთ-ს ქვეყნებს შორის ყველაზე მაღალია. ასევე, არავითარი განსხვავება არ არსებობს მოსახლეობისა და საწარმოებისადმი მიწოდებულ ელექტროენერგიის ტარიფებს შორის. აღნიშნულის გათვალისწინებით სატარიფო რეგულირებაში აუცილებელია, რომ ეკონომიკური პროფილის სხვა უწყებებიც ჩაერთონ, რაც მომავალ კაბინეტში სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკური ბლოკის შემადგენლობაში შეყვანის და მისი ეკონომიკის მაკოორდინირებელი ვიცე-პრემიერის დაქვემდებარების აუცილებლობას წარმოქმნის.

ამრიგად, მომავალი მინისტრთა კაბინეტის "ბლოკურ-დარგობრივი" პრინციპით ჩამოყალიბება არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან მატერიალურ დანახარჯებთან და ხელს შეუწყობს ეკონომიკური ინტერესების დაბალანსებას.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს
ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ გიგი წერეთელს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრს
ბატონ ზურაბ ჟვანიას

მიმართვა

საქართველოში, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში, დღემდე გრძელდება მართვის საბჭოური სტილი. ამ პერიოდში თითქმის არანაირი ნაბიჯები არ გადადგმულა ქვეყანაში რეალური დეცენტრალიზაციის განხორციელების გზაზე. ჩვენში მმართველობა კვლავ რაიკომის მდივნების ეპოქის ვერტიკალური მართვის ფორმას ჩამოჰგავს. აღნიშნული სიტუაცია ქვეყანაში შექმნილი უმწვავესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი განმაპირობებელია.

დღეს, ქვეყანაში მომხდარი მოვლენების შედეგად, გაჩნდა შანსი, რეალური რეფორმების წამოწყებისა. ამასთან, დიდია საფრთხე, რომ ცვლილებებს ფასადური ხასიათი შერჩება და მნიშვნელოვანი სისტემური გარდაქმნები არ განხორციელდება.

ჩვენ ქვემორე ხელისმომწერნი, ვითვალისწინებთ არსებულ ვითარებას, გამოვდივართ ინიციატივით და მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას უმოკლეს დროში გადადგას ნაბიჯები, რაც საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მძლავრი ნიშანი იქნება იმისა, რომ დადგა ქვეყანაში რეალური ცვლილებების და დასავლური ფასეულობების დამკვიდრების პერიოდი.

აქედან გამომდინარე, ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- ქ. თბილისში და ქ. ფოთში შემოღებულ იქნეს მერების არჩევითობა და საპარლამენტო არჩევნებთან ერთად ჩატარდეს თბილისის და ფოთის მერის არჩევნები;
- გაუქმდეს საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო რწმუნებულის ინსტიტუტი, როგორც ადგილებზე ცენტრალური ხელისუფლების მახინჯი სუროგატი;
- 2004 წლის 1 ივნისამდე გადაწყდეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი - დამკვიდრდეს სრულყოფილი მუნიციპალური თვითმმართველობა;
- გადაწყდეს რაიონების ლიკვიდაცია და შემოღებულ იქნეს რეგიონული დაყოფა, შესაბამისი არჩევითი სტრუქტურებით;
- საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა შექმნას სამუშაო ჯგუფი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ცვლილებებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტების მომზადების მიზნით (აღნიშნული კომისიის ქმედითობის უზრუნველყოფისათვის ჩვენ გთავაზობთ აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობას და მოვუწოდებთ პოლიტიკურ პარტიებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას კომისია შეავსონ თავიანთი წარმომადგენლებით);
- თვითმმართველობებისათვის ქონების გადაცემის საკითხი, დღეისათვის მოქმედი პარლამენტის მიერ გადაწყდეს მაქსიმუმ 3 თვეში;
- ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცეთ შესაბამისი საკუთარი შემოსავლები ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელებისათვის;
- შეწყდეს რაიონული გამგეობებისაგან თვითმმართველობის საქმეებში არაკანონიერი ჩარევა;
- სახელმწიფო კანცელარიის რეგიონალური სამსახური გარდაიქმნას საქართველოს პარლამენტისადმი დაქვემდებარებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირად;
- დღის წესრიგში დადგეს და 2003 წლის ბოლომდე მიღებულ იქნეს ჩვენს მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო პროექტების პაკეტი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტთან დაკავშირებით;

საქართველოს ქალაქების თვითმმართველობათა კავშირი - **პაატა ჩხეიძე**
საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია - **თენგიზ შერგელაშვილი**
სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი - **კონსტანტინე კანდელაკი**
მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსიტიტუტი - **დავით ლოსაბერიძე**

www.24hours.ge 24 B

ნოდარ ლადარია

მთელი მსოფლიოს წამყვანი პოლიტიკური ძალები დიდ ყურადღებას უთმობენ და აშკარად თანაუგრძნობენ საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას — განა ამის არდანახვა შეიძლება?..

არა, ეს წინადადება შევარდნაძის "ორშაბათობების" ნოსტალგიამ არ დამაწერინა, მიუხედავად იმისა, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში თითქმის ერთდროულად გამოვდიოდით მე და ის ქართული მედიის ასპარეზზე. უბრალოდ, გარშემო სინამდვილის მიმართ სიბრმავე დღეს მხოლოდ იმათ დამართნიათ, ვინც არათუ წარსული რეჟიმის გულშემატკივარია, არამედ მისი უშუალო წარმომადგენელი. და მაინც, ჯობს უფრო მშვიდად მივყვეთ ამ სინამდვილის მოვლენებსა და ნიშნებს, მით უმეტეს, რომ ერთობ უცნაური პერიოდი გვიდგას.

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ამ პერიოდის უცნაურობა (მადლობა ღმერთს, 4 იანვარს დასრულდება) ერთ განსაკუთრებულ გარემოებაში გამოიხატება: **შეიძლება ისე მოხდეს, რომ ტაქტიკამ სტრატეგიას შეუშალოს ხელი.**

რას ვგულისხმობ? — იმას, რომ ბევრი რამის გადადება ხდება 4 იანვრის შემდგომი დროისთვის, გადადებული საქმე კი, მოგეხსენებათ, ეშმაკისაა. მართალია, მე და ბევრმა ჩემმა მეგობარმა საბოლოოდ გამოვიტირეთ ხაშხაშიანი ნამცხვრები, მაგრამ ამ ტირილ-ტირილში ისიც ვთქვით, რომ შესაბამისი კომპენსაცია გვეკუთვნის ძალოვან სტრუქტურათა მხრიდან. ჰოდა, ამ კომპენსაციამ, უფრო სწორად კი მისმა დასაწყისმაც არ დააგვიანა...

აქ მარტო პოლიციის ოფიცერთა ნარკოლოგიურ შემოწმებას არ ვგულისხმობ. გაცილებით უფრო იმედიანად ჟღერს სოფიკო ჩხაიძის მიერ მომზადებული მასალა (6 დეკემბერი), რომლის ქვესათაური მრავალი ჩემი თანამოქალაქის სანუკვარ ოცნებას ეხმიანება: *გენერალური პროკურატურა ძველ საქმეებს იხსენებს* და *მაღალი თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხის დასმით იმუქრება*. კარგია, რომ ამისთვისაც 4 იანვარს არ დაუცადეს. ჩვენც შევწიროთ ხარკი ტაქტიკურ მიზნებს და 4 იანვრის შემდგომ ვიკითხოთ, რატომ აქამდე არ მიუქცევია ყურადღება გენერალურ პროკურორს უკვე კარგა ხანია აღძრული სისხლის სამართლის საქმეებისათვის, რომელთა ყურადღების ცენტრში, მაგალითად, **ლევან მამალაძეა**.

წარსულის ეს აჩრდილი საკმაოდ თავისებურად შეხვდა ამ ფაქტს: **"ეს მოსალოდნელი იყო, მე ადრეც განვაცხადე, რომ ეს ხელისუფლება მიიღებდა რეპრესიულ ხასიათს და ასეც ხდება. პროკურატურასთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, ეს ის ორგანოა, რომელმაც რასაც ხელისუფლება დაავალებს, ის უნდა გააჟღეროს და ასეც აკეთებს."** ეს რა უცნაური რამეები უსწავლებიათ ამ ბიჭისათვის ზოოვეტში! თუმცა საქილიკოდ სადა გვცალია: ყოფილი რეჟიმის საუკეთესო მხილება სწორედ ესაა. მამალაძემ პროკურატურის მეტად საინტერესო დეფინიცია მოგვცა და აშკარად დაგვანახა, რომ შევარდნაძის ხელისუფლებას არც არასოდეს უფიქრია, მაგალითად, ისეთ ელემენტარულ და, ამავე დროს, ფუნდამენტურ რამეზე, როგორიც სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაა. სიტყვები "პროკურატურა ეს ის ორგანოა" აშკარად ნიშნავს შემდეგს: "პროკურატურა ჩვენს დროს ის ორგანო იყო". ჩვენ აქამდეც ვიცოდით, რომ ფარსში ვცხოვრობდით და სწორედ ამ უნიჭო დეკორაციების დასანგრევად გამოვედით ქუჩებში. რაც შეეხება რეპრესიებს, აქაც საკუთარი თავის ერთგულია ლევან მამალაძე, რადგან ქართველი ხალხი სულელი ჰგონია. მხოლოდ სულელი ვერ ხვდება იმას, რომ სიტყვა, თავისთავად, არც კარგია და არც ცუდი. შესაბამისად, რეპრესიაც სიკეთეა, როცა მამალაძისნაირი ქურდბაცაცების წინააღმდეგ გამოიყენება.

თუმცა საოცრებები აქ არ მთავრდება! ლევან მამალაძე, რომელმაც თავისი იურიდიული ცოდნა და მრწამსი ასე აშკარად გამოაჩინა, შემდეგს გვაუწყებს: **"მოსკოვში ვარ, შეტანილი მაქვს საბუთები იურიდიული აკადემიის ასპირანტურაში, რომ აქ დავიცვა დისერტაცია. ახლა უნდა შეირჩეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, თემა და ამის შემდეგ დავბრუნდები"**. ერიჰაა! — ნეტა რას ნიშნავს, თემა უნდა შეირჩესო? ვინ უნდა შეურჩიოს? ჯერ საბუთები გაამზადა და მერე თემას ირჩევს? ამან ძველი რუსული ანეგდოტი მომაგონა ერთ აზერბაიჯანელზე, რომელსაც თვითმფრინავში ცხვარი შეჰყავდა. "С бараном нельзя" — უთხრეს. აზერბაიჯანელმა უპასუხა: "Это не баран, это могарыч — баран в Москве учится". ეჰ, ჩვენ მაინც არ დავყვეთ სიტყვათა ხიბლს და არ დაგვავიწყდეს, რომ ცხვარს ქართულ ენაში სულ სხვა დატვირთვა აქვს და ამ კონტექსტში რუსულიდან იგი უფრო "ვირად" გადმოთარგმნება. სულაც არ გვინდა რუსეთის იურიდიულ აკადემიებში ვირებმა ისწავლონ — ბოლოს და ბოლოს, ამასაც ჩვენ ვზღავთ. მაგრამ თუ საქართველოში ჩამოსვლას მოისურვებენ, ჩვენი ლექსიკური საგანძურიდან გამომდინარე, მათი ადგილი ნამდვილად ვირის აბანოში იქნება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ 6 დეკემბრის ნომერში (რუბრიკა "ორი სიტყვით") ერთი პატარა ინფორმაცია იპყრობს ყურადღებას: **"მრეწველების ლიდერი გოგი თოფაძე, სხვა პოლიტიკოსებისაგან განსხვავებით, აჭარში ჩასვლას და ასლან აბაშიძესთან შეხვედრას არ გეგმავს"**. ამ ინფორმაციას თან ახლავს სააგენტოს საკმაოდ ავტორიტეტული სახელი — ინტერ-პრესი. რა შემთხვევებში ხდება, რომ ნეგატიური ფაქტი ("არ გეგმავს", "არ ფიქრობს", "არ აპირებს", "არ სურს"), მოქმედების არარსებობა თავისთავად საყურადღებო ინფორმაციის ხასიათს იძენს და მარტოც კი მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა მისი საპირისპირო ქმედება საყოველთაო და ლამის წესად ქცეულია. დიახ, გუშინდელთ რატომღაც ბათუმისკენ მიუწევთ გული. იქნებ იმიტომ, რომ ბერეზოვსკი კი არ იქნება "ქართული კონტრრევოლუციის" მთავარი საფულე (იხ. 5 დეკემბრის ნომერი), როგორც გაზეთი "მოსკოვსკი კომსომოლეცი" გვაშინებდა, არამედ ეს "საფულე" უფრო ახლოსაა?

ასეა თუ ისე, **ირინა სარიშვილის** გზას არ დავადგებით და მიკითხაობას არ მოვყვებით, თუმც კი თვით სარიშვილი მაინც უნდა გავიხსენოთ — ვინ იცის, როდის მოგვიწევს კიდევ! აი, 4 დეკემბრის ნომრიდან ერთი ხელმოუწერელი მასალა — *სარიშვილი სააკაშვილს აფრთხილებს*. კიდევ ერთხელ განვიხილოთ ამ ადამიანების დისკურსი. ედპ-ს ყოფილი ლიდერი აცხადებს: **"უმძიმესი პოლიტიკური ვითარება, სადაც შეუძლებელია მხარეების გარჩევა, რადგან "ტროიკაც" იმ ხელისუფლების ნაწილია, რომელიც დაამხო და ერთი საფეხურით ზემოთ აიწია"**. წინადადება გაუმართავია, მაგრამ მისი აზრი მაინც ცხადად ჩანს. ნუთუ ამათ მართლა მიაჩნიათ, რომ აქ ვიღაც სრულიად უცნობი უნდა გამოჩნდეს, აპოკალიფსური მხეცივით მიწიდან ან ზღვიდან გამოვიდეს და მხოლოდ იმას უნდა ვენდოთ? მაგრამ სარიშვილსაც ქართველი ხალხი სულელი ჰგონია და მისი დირიშვილისგან გათავისუფლდა და ახლა გია ჭანტურიას გამონათქვამს იხსენებს: **"ედპ რეზინის ბურთს ჰგავს, რაც უფრო ძლიერ დაანარცხებ ძირს, მით უფრო მაღლა ახტება."** როგორც ეტყობა, სანამ ამ პარტიას სარიშვილი თავმჯდომარეობდა, გასახსენებელი უფრო ის იყო, რომ რეზინისგან სხვა ნივთებსაც აკეთებენ.

ჩვენი ნათელმხილველი ირინა კი განაგრძობს: **"გუშინ მთელი დღის განმავლობაში ამაოდ ვურეკავდი მიხეილ სააკაშვილს. დღეს მინდა თქვენი საშუალებით ვაუწყო მოსალოდნელი საფრთხის შესახებ... რამდენიმე ადამიანის გონიერებაზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა "ტროიკა" "დვოიკა"**. ნეტა, თითები ხომ არ იტკინა სააკაშვილის ნომრის აკრეფით?! ან რა მაუწყებლის როლში გამოდის წამდაუწუმ? — ჯერ იყო და უშიშროების სამინისტროს აუწყა, ბურჯანაძე რუსეთის აგენტიაო. თან დამამტკიცებელი საბუთებიც წარუდგენია. რას იზამ? — ვალერი ხაბურძანია ჯერ ტაქტიანობის გამო დუმდა, ახლა მოუცლელობის გამო დუმს. დაველოდოთ 4 იანვარს, მერე კი გავიხსენებთ ამასაც და იმ დისკეტსაც გავხსნით, სადაც მტკიცებებია ჩაწერილი. აბა, ხომ უნდა გავიცინოთ კიდევ ერთხელ.

ახლა კი მიხეილ სააკაშვილს აფრთხილებს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. თან რაღაც უცნაურ სიტყვებს დასძენს ყოფილი სამთავრობო ბლოკის ყოფილი პითია: რამდენიმე კაცის გონიერებაზეა ეს დამოკიდებულიო. ნეტა ვინ არიან ეს კაცები? მე უფრო ზუსტად გეტყვით, ვისზეა დამოკიდებული ის, რომ მიხეილ სააკაშვილის თავიდან ერთი ღერი თმაც არ ჩამოვარდება: ჩვენზე. ეს ყველამ იცის, მათაც იციან, რომელთაც იმდენად სურთ მისი სიკვდილი, რომ მთლად დუმილით ვერ უვლიან გვერდს და ცალყბა გაფრთხილების სახით მაინც გამოთქვამენ. იციან, რადგან რამდენადაც არ უნდა ჰქონდეთ დაკარგული რეალობის გრძნობა, ერთი რამ მაინც შერჩენიათ: ჰყავთ მეგობრები, ახლობლები, მეზობლები, ისმენენ ჭორებს, ხანდახან მაინც ხედავენ ჩვეულებრივ ადამიანებს და დარწმუნებულნი არიან ერთ რამეში: რამე რომ მოხდეს, საქართველოში საშინელება დატრიალდება.

დიახ, საშინელება. ოღონდ ეს არ იქნება ის ორი ელეგანტური სიტყვა, "დინამიური ქაოსი", ეს სულ სხვა რამ იქნება. უბრალოდ და მარტივად, ძალიან მოკლე დროში, სულ რაღაც რამდენიმე დღის განმავლობაში, სამართლიანი რისხვით მოცული ქართველი ხალხი ერთიანად აღგვის პირისაგან მიწისა ყველა გალავნიან სასახლეს, იავარქმნის იმ ნაქურდალ ქონებას, რომლის შესახებ ყველამ იცის, რომელსაც ყველა ხედავს, რადგან მისი დამალვა არც არავის უფიქრია.

მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის მთავარი დამცველი ვიღაც უცნობი კაცების გონიერება კი არა, ქართველი ხალხი და მისი ნებაა. ამიტომაც იწყებს ის თავის წინასაარჩევნო კამპანიას "მოკრძალებული ცერემონიით" მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. ცერემონია მართლაც მოკრძალებული იყო — ბევრმა, ძალიან ბევრმა აღმოაჩინა, რომ არ მიიწვიეს. აქ საინტერესოა სათაური, რომელიც სოფო ბუკიამ მისცა 5 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ თავის სტატიას: *მთავარი კონკურენტები — დრო და საქართველოს მტრები*, თუმცა ეს სიტყვები თვით მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის.

მტრებისა და დროის ერთობლივი მოქმედება ორ სიტყვაში ერთიანდება: არჩევნების ბოიკოტი. რამდენად სერიოზულია ეს? ვერ ვითავვებ ამის ზუსტ შეფასებას, მაგრამ თქვენთან ერთად განვიხილავ ელფერს, რომელიც ამ მუქარას დაჰკრავს. ფრანგული ანდაზისა არ იყოს, ცხოვრებაში მთავარი დეტალებია. აი, ინტერ-პრესის მონაცემების თანახმად ("24 საათი", 5 დეკემბერი), **"აჭარის ლიდერი, ასლან აბაშიძე "არანორმალურებს" უწოდებს იმ პოლიტიკოსებს, რომელთა აზრითაც, იგი გასულ კვირას, მოსკოვში ყოფნისას, რუსეთის ხელისუფლებასთან განიხილავდა საქართველოდან აჭარის ჩამოშორების პერსპექტივებს."** როგორც ვხედავთ, ლექსიკა იგივეა, ოღონდ გამარტივებული. ერთგან "სპეციფიკური ფსიქიკა", მეორეგან კი "არანორმალურები". კვლავ სიგიჟის თემა ვითარდება და კვლავაც მტკიცე რწმენა, რომ ყველანი უკრიტიკოდ მიიღებენ სიტყვებს. სარიშვილს ის მაინც ჰგონია, რომ მას ქართველები დაუჯერებენ, ასლან აბაშიძე კი ბი-ბი-სის აბოლებს: **"მათ დაამხეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, ფეხქვეშ გათელეს ქვეყნის კონსტიტუცია და დემოკრატიის პრინციპები."** ხომ მიხვდით, ვისაც გულისხმობს ბატონი ასლანი? — რა თქმა უნდა, ისევ ჩვენ, რადგან სწორედ ჩვენ ვიყავით ახლო წარსულის შემოქმედნი. ჩვენ დავამხეთ ის ხელისუფლება, რომელმაც ქუჩაში გამოგვიყვანა...

აი, ჩვენს მოწინააღმდეგეთა დღევანდელი მასპინძელი კი მტრებისა და დროის ფაქტორს აერთიანებს იმავე ინტერ-პრესისა და პრაიმ-ნიუსის ინფორმაციაში, რომელიც "24 საათმა" 5 დეკემბრის ნომერში შემდეგი სათაურით დაბეჭდა: ასლან აბაშიძე: არჩევნების ვადამ უნდა გადაიწიოს. საქმე 4 დეკემბერს, მოსკოვში ასლან აბაშიძის მიერ გამართულ პრესკონფერენციას ეხება. აქაც თვითმხილების მექანიზმი მოქმედებს, ანუ, რასაც ქართველები ყოველდღიურ საუბარში მამალ ტყუილს უწოდებენ. ინფორმაცია უხვად შეიცავს ციტატებს:

"ხალხმა გააცნობიერა, რომ ახალი ხელისუფლება უფრო რადიკალურია, ვიდრე წინამორბედი, ამიტომაც ედუარდ შევარდნაძის პოპულარობა იზრდება".

მითომანიისა და ალოგიკურობის ბრწყინვალე შერწყმა — მართლაც ნიჭიერი კაცია ეს აჭარის მეთაური. ამას მოჰყვება ის, რაც კიდევ უფრო ძნელი დასახასიათებელია:

"რუსეთის ჯარებსა და აჭარის მოსახლეობას შორის კონფლიქტური სიტუაცია არ არის და არც შეიძლება იყოს".

მერე რა? — განა მაინცდამაინც ომი და უბედურებაა საჭირო რუსეთის ბაზების საქართველოდან აბარგებისათვის? ამის შემდეგ კი, მოდით მთელი აბზაცი გავიმეოროთ ინტერ-პრესისა და პრაიმ-ნიუსის ერთობლივი ინფორმაციიდან:

"აბაშიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებაში მოსული ახალი ძალები შეეცდებიან, ქვეყანაში შქმნილი სიტუაცია "*საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენონ*" და აჭარის ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვონ. "*თუმცა, მნიშვნელოვანია, აჭარაში მაცხოვრებელი ხალხის აზრი გავითვალისწინოთ და ანგარიში გავუწიოთ მას,*" — განაცხადა ასლან აბაშიძემ".

ახლა ადამიანურ ენაზე ვთარგმნოთ ეს განცხადებები: აჭარა, უფრო სწორად, აჭარა კი არა, "ასლანდია" (**ია ანთაძეს** ეკუთვნის ეს ბასრი გამოთქმა) არსებობს, ლერმონტოვისა არ იყოს, **под сенью дружеских штыков**, და როცა ეს "მეგობრული ხიშტები" მოსცილდებიან, ასლანდიაც დასრულდება. საკითხავი სხვა რამეა: ასლანდიასთან ერთად აჭარაც ხომ არ შეწყვეტს არსებობას? ხომ თავისთავად აბსურდულია ამ შეკითხვის დასმა! მაინც სადაა ამ უცნაური სიტუაციის გასაღები?

ახლავე გეტყვით: ადრეულ შუა საუკუნეებში. სწორედ ასეთი, ადრეული შუა საუკუნეების დამახასიათებელი სამთავრო შექმნა ასლან აბაშიძემ და ამისთვის სჭირდება რუსული ხიშტები — გარანტია, რომ სიცოცხლისათვის, სიმართლისათვის ბრძოლის ქარიშხალი მის ქვეშევრდომებს არ შეეხება და, შესაბამისად, არც მის საგვარეულოს დაემუქრება საფრთხე ხალხისგან, ვისაც არასოდეს უგრძვნია სიმართლის მწკლარტე გემო.

მართლაც ძნელი დრო გვიდგას. ეს სიძნელე მარტო ბიუჯეტის 270 მილიონიანი გარღვევა არაა, თუმცა კი ეს ნიშნავს, რომ ბიუჯეტი, ფაქტობრივად, არ არსებობს — ამას მოევლება, როგორც ყოველნაირ მატერიალურ გაჭირვებას. გაცილებით უფრო საშიშია დასაწყისში უკვე აღნიშნული გარემოება: **დღეს სტრატეგიულ მიზანთა მიღწევის იმედი შეიძლება ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტამ შეიწიროს**. მაგრამ ნუ დავკარგავთ მხნეობას, რადგან სტრატეგიული მიზანი ერთია — ქართველი ხალხის კეთილდღეობა. მთავარი ტაქტიკური ამოცანაც ასეთივე ერთიანი და ცხადია — ქართველი ხალხის დარწმუნება.

სხვის დასარწმუნებლად კი ცოტა რამაა საჭირო: თვითონ უნდა გჯეროდეს მისი. აჩვენეთ, რომ ჩვენს მტრებს ჩვენი არ სჯერათ და დროც თქვენი მოკავშირე შეიქნება.

თანამედროვე ფოტოგრაფია ფლანდრიიდან "ქარვასლაში"

33 ფოტო, რომელიც დაკარგვას გადაურჩა

ექსპოზიცია, რომელიც შაბათს გაიხსნა, უფრო ადრე მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ვიდრე "ქარვასლაში" გამოიფინებოდა. ფლანდრიიდან გამოგზავნილი საკმაოდ მოზრდილ ფორმატზე დაბეჭდილი 33 ფოტო კინაღამ საერთაშორისო გზავნილების მსხვერპლი გახდა, მაგრამ ექსპოზიცია, რომელიც, თითქმის, ერთი თვის წინათ უნდა ჩამოსულიყო თბილისში, მოგვიანებით პანამაში აღმოაჩინეს და, ამის გამო, ისტორიის მუზეუმში დაგეგმილი გამოფენაც დაგვიანებით გაიხსნა.

ვერა ნეფარიძე

ექსპოზიცია "თანამედროვე ფოტოგრაფია ფლანდრიიდან" წლევანდელი ფესტივალის - "ოლლა ვოგალას" (Olla Vogala) დასკვნითი ნაწილია. "ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის" ეს ღონისძიება, რომელიც მეორედ მიეძღვნა ფლანდრიის, ნიდერლანდებისა და საქართველოს კულტურას, წელსაც (ისევე, როგორც შარშან) სამნაწილიანია. ცენტრმა პირველი ორი ნაწილი ლიტერატურას დაუთმო, ამჯერად კი გადაწყვიტა ჩვენთვის თანამედროვე ფლანდრიული ფოტოგრაფია გაეცნო.

"ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრმა" თბილისში წარსადგენი ფოტოგრაფების შერჩევა ანტვერპენის ფოტომუზეუმის ხელმძღვანელობას მიანდო. სწორედ მათ შეარჩიეს ის სამი ახალგაზრდა ფოტოგრაფი, რომელთა 33 ფოტოცაა გამოფენილი "ქარვასლას" დიდ საგამოფენო დარბაზში.

"სამივე ავტორს, ალბათ, ასაკი აერთიანებს, ისინი, თითქმის, თანატოლები არიან. ანტვერპენის ფოტომუზეუმის რეკომენდაცია იმაზე მეტყველებს, რომ ფლანდრიაში ეს ახალგაზრდები გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ. საინტერესოა, რომ სამივე მათგანი საკუთარ ნამუშევრებში მნიშვნელოვან საკითხებს სვამს", - გვითხრა გამოფენის ორგანიზატორმა, "ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის" ხელმძღვანელმა ინგრიდ დეხრავემ.

"ქარვასლაში" წარმოდგენილი ნამუშევრების სამ ფლანდრიელ ავტორს შორის სხვაობა თვალის ერთი გადავლებითაც იგრძნობა. თუმცა, არის კიდევ ერთი ნიუანსი – ლანდშაფტების გადაღება, როგორც ჩანს, **ხვერთ ხოირისისთვისაც** და **კატრინ ვერმეირისისთვისაც** მიმზიდველია. მაგრამ, ლანდშაფტებს ისინი განსხვავებული მოტივით რომ აფიქსირებენ, ესეც საგრძნობია. "პორტრეტებსა და ლანდშაფტებს შორის კავშირის მიმართ ჩემი ინტერესი რენესანსისა და რომანტიზმის დროინდელი პორტრეტებითა და, ასევე, თანამედროვე ვიზუალური კულტურითაცაა გამოწვეული. ვცდილობ, ვიპოვო მერყევი თანასწორობა ლანდშაფტსა და პორტრეტს შორის - სრულფასოვანი წონასწორობა, რომელიც ჯეროვანი ჰარმონიისკენ მიისწრაფის", - ვკითხულობთ კატრინ ვერმეირეს (სხვათა შორის, მისი პორტრეტი გამოფენის პლაკატზეა გამოყენებული) ციტატაში. ხვერთ ხოირისი კი ლანდშაფტებს აფიქსირებს დასახლებული პუნქტებიდან მოშორებით, რათა მათზე ადამიანის კვალი გვაჩვენოს. განსხვავებულია 26 წლის, სირიაში დაბადებული სომეხი ფოტოგრაფის, **მეხიტარ გარაბედიანის** მოტივები ფოტოგრაფიაში. "ფოტოგრაფია მოგონებებისა და წარმოსახვების მოტყუებაა", - ამბობს ავტორი. ფოტოგრაფი ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ფოტოგრაფიას არ შეუძლია აჩვენოს, რა მოხდა წარსულში. ერთი სიტყვით, მას საკმაოდ პროვოკაციული პოზიცია აქვს ამ ყველაფერთან დაკავშირებით.

შესაძლოა, ახალგაზრდა ფლანდრიელ ფოტოგრაფებს ბევრ რამეში არც თქვენ დაეთანხმოთ, მაგრამ, მაინც არ იქნება ურიგო, დაათვალიეროთ გამოფენა, რომელიც მთლიანობაში საკმაოდ ეფექტურია. და კიდევ, - ზოგი ჭირი მარგებელიაო,- რომ იტყვიან, ამ შემთხვევაში კიდევ ერთხელ გამართლდა. ნამუშევრები, რომელთა თბილისში ჩამოტანა ასე გაჭიანურდა, ოდნავ დაზიანებული ჩამოვიდა. ამიტომ, ორგანიზატორებმა სასწრაფოდ დაამზადეს 33 ხის ჩარჩო. ექსპოზიციამ კი ამით მხოლოდ მოიგო.

ინსტრუმენტი ადამიანის ხმით

სულხან ცინცაძის ხსოვნის საღამო მისი უკანასკნელი ნაწარმოების პრემიერით აღინიშნა

მადი სერებრიაკოვა

ცნობილი კომპოზიტორი სულხან ცინცაძე 1991 წელს, გულის შეტევით გარდაიცვალა. მისი კოლეგები, მეგობრები კომპოზიტორის სიკვდილის ერთადერთ მიზეზად იმ პერიოდში საქართველოში არსებულ პოლიტიკურ ქაოსს, სამოქალაქო ომს ასახელებენ. სიკვდილამდე დიდი ხნით ადრე კომპოზიტორს პირობა მიუცია მეგობრებისთვის, რომ თორმეტ კვარტეტს დაწერდა. ეს ძალზედ უცნაური, ფატალური პირობა მან მართლაც აასრულა. გუშინ, კონსერვატორიის დიდ დარბაზში ცინცაძის უკანასკნელი ნაწარმოების – სწორედ მეთორმეტე კვარტეტის, პრემიერა შედგა. სულხან ცინცაძე ერთ კვირაში გარდაიცვალა - მას შემდეგ, რაც ეს ნაწარმოები საქართველოს სახელმწიფო კვარტეტის წევრებს უჩვენა.

სულხან ცინცაძე საქართველოში კამერული მუსიკის, კერძოდ, საკვარტეტო ჟანრის ერთ-ერთ საუკეთესო ოსტატადაა აღიარებული. კომპოზიტორის თანამედროვე, მუსიკათმცოდნე გულბაათ ტორაძე მისი პირველი კვარტეტის პრემიერასაც ესწრებოდა: **"სულხანმა მაშინ სენსაცია მოახდინა. ჩვენ ყველანი ვიცნობდით მას, როგორც საუკეთესო ვიოლონჩელისტს. როგორც შემდეგ ვნახეთ, იგი დიდებული კომპოზიტორი და ამ ჟანრის უდიდესი ოსტატიც ყოფილა,"** – აღნიშნავს გულბაათ ტორაძე.

სულხან ცინცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო კონსერვატორიაში საქართველოს კამერული მუსიკის ცენტრისა და ასოციაცია "მესამე ასაკის" ინიციატივით გაიმართა.

ზურა ბალანჩივაძის ფოტო

საქართველოს კამერული მუსიკის ცენტრის სიმებიანი კვარტეტი

ღონისძიება ჯერ 15 ნოემბერს – კომპოზიტორის გარდაცვალების დღეს იყო დაგეგმილი. თუმცა, თბილისში წინარევოლუციური არეულობებისა და, ფინანსური პრობლემების გამო, კონცერტი გადაიდო. საბოლოოდ, ორგანიზატორებს დახმარება მეცენატმა მამუკა ხაზარაძემ და "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" გაუწია.

საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტი, უკვე დიდი ხანია, გერმანიაში მოღვაწეობს. კვარტეტის ვიოლონჩელისტმა ოთარ ჩუბინიშვილმა საქართველოში ახალი კვარტეტსაც ჩაუყარა საფუძველი. საქართველოს კამერული მუსიკის ცენტრის სიმებიანი კვარტეტი, რომელიც გუშინ სულხან ცინცაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ კონცერტს ასრულებდა, სულ რამოდენიმე თვის წინათ შეიქმნა. **"ახალი კვარტეტი დავაარსეთ, რადგან სახელმწიფო კვარტეტის გერმანიაში გადასვლის შემდეგ საქართველოში ეს ჟანრი არ გამქრალიყო,"** – აღნიშნავს ცნობილი ვიოლონჩელისტი ოთარ ჩუბინიშვილი. კვარტეტში შედიან ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოჩენილი მუსიკოსები: გიორგი ხაინდრავა, პაატა ჭანტურიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე და თავად ოთარ ჩუბინიშვილი. რამოდენიმე თვის მანძილზე მათ, მართლაც, დიდ წარმატებას მიაღწიეს: **"რამოდენიმე თვეში ასეთი პროგრამის მომზადება, ასეთი ანსამბლი – წარმოუდგენელი მისაღწევია,"** – აღნიშნავს კამერული მუსიკის ცენტრის ხელმძღვანელი მანანა დავითაშვილი.

კომპოზიტორის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოზე შესრულდა ბეთჰოვენის №11, მენდელსონის №6 კვარტეტები, ასევე - ფრაგმენტები ბეთჰოვენისავე №1 და ელგარის კვარტეტებიდან. კონცერტი კი ცინცაძის №12 კვარტეტის ძლიერ დაგვიანებული პრემიერით დასრულდა. **"ამ კვარტეტიდან ბოლო რამოდენიმე ტაქტი სულხან ცინცაძის პანაშვიდზე შევასრულეთ,** - აღნიშნავს ოთარ ჩუბინიშვილი, - **მთელი ამ წლების მანძილზე ვგრძნობდი, რომ ვალში ვიყავი კომპოზიტორის წინაშე და, როგორც იქნა, ამდენი წლის შემდეგ მოვახერხეთ მისი განხორციელება".**

როგორც აღინიშნა, კვარტეტი საქართველოში დიდი არეულობის წლებში იწერებოდა. როგორც მისი კოლეგები და მეგობრები იხსენებენ, კომპოზიტორი ძალზედ მძიმედ განიცდიდა იმ მოვლენებს. დრამატიზმი, სიღრმე და თვით ორიგინალური დრამატურგიაც კი ამ მძიმე განწყობილებითაა ნაკარნახევი. კვარტეტის ბოლო ნაწილში ვიოლინოები და ალტი უკან იხევენ, მსმენელი მხოლოდ ვიოლონჩელოს პირისპირ რჩება. **"ბატონი სულხანი, თითქოს, გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს,** – აღნიშნავს საღამოს ორგანიზატორი მანანა დავითაშვილი, - **ნაწარმოებში არ არის პაუზა ნაწილებს შორის, თითქოს, კომპოზიტორს შესვენებისთვის დრო აღარ ჰქონდა; ბოლოს კი, როდესაც ვიოლონჩელო მარტო რჩება, ის, თითქოს, ადამიანის ხმით ემშვიდობება სამყაროს. ვფიქრობ, ეს კვარტეტი არაფრით ჩამოუვარდება და წინ უსწრებს კიდეც ამ ჟანრის მსოფლიოს საუკეთესო ანალოგებს."**

ყველას, ვისაც დრაკონის არსებობის სჯერა

ნანა ბასილაშვილი

ბავშვების კონცერტებს ბევრჯერ დავსწრებივარ. მათი ნამღერიც ხშირად მომისმენია და ნაცეკვიც მინახავს; აი, წიგნის გამოცემა კი მხოლოდ უფროსების პრეროგატივა მეგონა. გუშინ "წიგნის სახლში" არატრადიციული პრეზენტაცია გაიმართა. ქართული სასწავლებლის, მეცხრე კლასის მოსწავლეებმა თავიანთი ერთობლივი წიგნის პრეზენტაცია მოაწყეს, რომელიც მუსიკალურად ამავე სასწავლებლის პირველ და მეორე კლასელების კვარტეტმა გააფორმა.

საღამო ექვსი წლის კესო ფაჩუაშვილმა გახსნა. მოკუმული ტუჩებითა და თვალების ცეცებით, მან ვიოლინოზე პატარა მელოდია შეასრულა. ამის შემდეგ ჯერი უფროსებზე (მეცხრე კლასელებზე) მიდგა. ნუკა ჭაბუკიანმა, თამუნა ფრუიძემ, სოფო მესხაძემ, გივი მაღალაშვილმა და რეზო ფრუიძემ თვიანთი წიგნი საკმაოდ საინტერესოდ წარმოგვიდგინეს - წიგნის მთავარი გმირი - პატარა დრაკონი ავტორების ენით გვესაუბრებოდა და თავსგადამხდარი ისტორიების შესახებ ჰყვებოდა. დრაკონის ამბებს პატარების მიერ ტიბეტურ ზარზე, აფრიკულ მარაკასზე და ვიოლინოზე შესრულებული მელოდიები ენაცვლებოდა. საბოლოოდ, ეს ყველაფერი ზღაპრული (პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით) გამოვიდა.

"დრაკონი გრიპიანთა ქვეყანაში"; "პატარა დრაკონი სახელად ბობო"; "დრაკონთა კარნავალი"; "დრაკონი კანფეტების ქვეყანაში"... ეს და უამრავი სხვა სახალისო ზღაპარი 2000 წელს, დრაკონის წელიწადში შეთხზეს ავტორებმა - სხვადასხვა ლეგენდის, იაპონური და ჩინური ზღაპრებისა და საკუთარი ფანტაზიის მიხედვით. თავდაპირველად ეს ჩვეულებრივი (ან არაჩვეულებრივი) სახის საშინაო დავალებები იყო. მასწავლებლები კი, როგორც ჩანს, შედეგით იმდენად კმაყოფილნი დარჩნენ, რომ ბავშვებს შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთეს - ზღაპრები და მოთხრობები აუკინძეს, სამი წლის შემდეგ კი სრულყოფილი წიგნის სახე მისცეს. ბავშვები სიხარულს ვერ მალავდნენ. თუმცა, შეძლებისდაგვარად, თავდაჭერილად იქცეოდნენ. "ვისურვებდით, რომ ეს წიგნი თქვენთვისაც ისეთივე საინტერესო და საყვარელი ყოფილიყოს, როგორც - ჩვენთვის. ჩვენ მასზე ბევრი ვიმუშავეთ, საბოლოოდ კი საკმაოდ ხალისიანი გამოგვივიდა", - ქართული სასწავლებლის მეცხრე კლასის მოსწავლეები თავიანთ პირველ წიგნს უძღვნიან ყველას, ვისაც დრაკონის არსებობის სჯერა. მათი აზრით, მეექვსე კლასამდე მისი არსებობის ყველას სწამს. აღსანიშნავია ისიც, რომ "პატარა დრაკონის ამბავი" მისი ავტორების მიერვეა ილუსტრირებული, და ეს მათ მიერ დანახულ დრაკონთა სამყაროს ბევრად უფრო საინტერესოსა და ხალისიანს ხდის.

პრეზენტაციის მუსიკალური თანხლება

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

წიგნის პრეზენტაციები

პატარა მეზღაპრეებს 2000 წლის შემდეგ კიდევ ორი აკინძული მასალა აქვთ გამზადებული. გაცვლითი პროგრამით, გუთერსლეში, გერმანულ მეგობარ სკოლაში სტუმრობისას უცხოელებთან ერთად ქართულ-გერმანული ზღაპრებისა და, ასევე, ქართულ-გერმანული მუსიკის კრებულები შეადგინეს. კიდევ ერთი წიგნი, რომლის მასალა ბავშვებს უკვე მომზადებული აქვთ, ისინი რეალურ სამყაროს აღწერენ. "ჩვენ ჩვენს შესახებ" - ეს იქნება წიგნი თინეიჯერების ჩაცმულობის, ჰობის, მათი ინტერესებისა და მისწრაფებების შესახებ.

რაც შეეხებათ პატარა შემსრულებლებს - კესო, დაჩის, დიტოს და სანდროს, რომლებმაც გუშინ ვიოლინოზე, აფრიკულ და ტიბეტურ ინსტრუმენტზე დიდი მონდომებით შეასრულეს პატარ-პატარა მელოდიები, ახლა საშობაო სპექტაკლზე მიგვიწვიეს.

ისევ "ვარდების რევოლუცია," ოღონდ - სცენაზე

თეონა ჯაფარიძე

კავკასიის თეატრალურმა ლაბორატორიამ და "სამეფო უბნის თეატრმა" პრემიერა წარმოადგინეს: დავით ტურაშვილისა და ჯარჯი აქიმიძის დრამატურგიით რეჟისორი დავით საყვარელიძე დაინტერესდა და, შედეგად, მაყურებელმა ახალი სპექტაკლი – "ქალი ხეზე" მიიღო. ზუსტად ორი კვირის შემდეგ "ვარდების რევოლუციამ", ოღონდ გაშარჟებული სახით, სცენაზე გადმოინაცვლა. შესაძლოა, იუმორის გრძნობა დავკარგე, ან ჩვენი "ვარდების რევოლუცია" ზედმეტად გავაიდეალურე, ყოველ შემთხვევაში, მეც და, ალბათ, ათასობით ჩემნაირს (ჯერ ხომ მხოლოდ ორი კვირა გავიდა) სიამაყის გრძნობა არ გაგვინელებია. კი ბატონო, ამერიკელები თავიანთ ჰოლივუდურ ფილმებში ხშირად მიმართავენ თავისი ისტორიის პაროდიას და საკმაოდ ნიჭიერადაც, მაგრამ ჩემთვის გაუგებარი დარჩა, "სამეფო უბნის თეატრში" მინიმალიზმთან გვქონდა საქმე თუ, უბრალოდ, პროვინციალიზმთან, ყოველივეში კი რეჟისურა დავადანაშაულო, თუ დრამატურგია.

სცენაზე მოვლენები, დაახლოებით, ასე ვითარდება: დიდ მონიტორზე რეალური რევოლუციის კადრებს ენაცვლება სცენაზე დადგმული მეგაფონიანი და წითელვარდიანი მიტინგი. საპროტესტო აქციების ეპიცენტრად ერთი დიდი ხე გადაიქცევა, რომლის ტოტზეც, ქმრის ღალატის გამო, პროტესტის ნიშნად, ერთი ქალბატონი ზის. პოლიტიკური ძალები ქალის ამ აპოლიტიკურ პროტესტს პოლიტიკურად აქცევენ ლოზუნგითა და შეძახილებით - "გაუმარჯოს პირველ ქალს, რომელმაც კორუმპირებული ქმარი მიატო-ვა! მიატო-ვა!" – ასე, "შემთხვევით" ხდება სპექტაკლში რევოლუცია. "ვარდების რევოლუცია" და, მით უმეტეს, პაროდია წარმოუდგენელია მასმედიის გარეშე. სცენაზე ასეთი პერსონაჟიც გვევლინება – "ქალბატონი მასმედია", რომელიც თავის ოპერატორთან ერთად წამდაუწუმ "პირდაპირ ჩართვებს" აკეთებს; მსოფლიო ბანკის დახმარებაც არ იგვიანებს - ერთი ცალი კომპიუტერი. პარტია კი სავსეა პროფესიონალი მეძავებითა და უშიშროების მუშაკებით. სპექტაკლში ერეკლეს აჩრდილიც გაიელვებს - "სპარსული ქუდი რომ ეხურა, მაგრამ რუსეთისაკენ იყურებოდა". გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით კი "თბილისში საყოველთაო ზეიმია". საბოლოოდ სპექტაკლი მთავრდება მოღალატე ქმრის სიტყვებით, – "ის დაბრუნდა," - და ყველა შეშინებული გარბის; კორუმპირებულ ქმარს ხიდან ჩამოჰყავს გაბუტული ცოლი და მერეღა ამხელს, რომ ტყუილი თქვა....

და მაინც, ამ სპექტაკლის რეჟისურამ მაინც "აჯობა" დრამატურგიას - რეჟისურამ, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა "სახელოვანი" ქართული ესტრადის გვერდით.

"ათას ერთი ღამე" ზუბალაშვილების ქუჩაზე

თეონა ჯაფარიძე

"თაგის არტსი" ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარეობს და მას მხოლოდ კერძო გალერეას ვერ დავარქმევთ. ის, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი თბილისური სახლია, სადაც ყავით გიმასპინძლდებიან; პერიოდულად მის კედლებს საინტერესო ექსპოზიცია ფარავს ხოლმე. მაგრამ, უფრო ხშირად აქ გასამგზავრებლად შეფუთული ტილოებისათვის მომიკრავს თვალი - "თაგის არტსიდან" ქართველ მხატვართა ნამუშევრები გამოფენებზე ხან კვიპროსზე და ხანაც შეერთებულ შტატებში მოხვედრილა. ერთი სიტყვით, თუ იკითხავთ, - ეს რა დაწესებულებაში მოვხვდიო, - გეტყვით, რომ ეს უფრო მოძრავი გალერეაა მოძრავი პროექტებით.

შაბათ საღამოს კი ნამდვილად დაგებადებოდათ ცნობილი კითხვა "ცისფერი მთებიდან," – უკაცრავად, ეს რა დაწესებულებააო, - იმიტომ, რომ სახლიდან, რომელიც ხალხს ველარ იტევდა, აღმოსავლური ჰანგები იღვრებოდა და ეს აურა ზუბალაშვილების ქუჩაზეც ვრცელდებოდა. "თაგის არტსმა" და მისმა დირექტორმა ანი ლაღიძემ მხატვარ ნატალია მინდიაშვილის პერსონალური გამოფენა ორიგინალური ფორმით წარმოგვიდგინეს - მისი ბატიკის, თექისა და სამკაულის ფუნქციური დატვირთვა და მოტივაცია რომ გამოეკვეთათ, ამისათვის თეატრის რეჟისორი და მსახიობები მოიწვიეს. გალერეის დარაბებსა და ჭერს უჩვეულო ორნამენტებიანი ქსოვილები ამშვენებდა; ჭერიდან შეუმჩნეველი ძაფებით უამრავი სამკაული ეშვებოდა; ზოგიერთი მათგანი ლამაზ გალიაშიც კი იყო გამოკეტილი; განძითა და ტკბილეულით სავსე სკივრის ირგვლივ კი მიმოფანტული იყო ულამაზესი ბალიშები და ჩილიმი. მალე გამოფენაც გაიხსნა, მაგრამ უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სპექტაკლი დაიწყო. ზოგი შეიძლება შემედავოს, რომ ეს უფრო სამკაულის დეფილე იყო, მაგრამ ნამუშევრების ავტორმა ნატალია მინდაძემ ხაზგასმით აღნიშნა, - ჩვენებაში მსახიობები იღებენ მონაწილეობას და არა მოდელები; და ეს თეატრალიზებული სანახაობააო. რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ კი ყოველივე ამას პერფორმანსი დაარქვა და სიუჟეტიც მოკლედ მომიხაზა: "სამი ლამაზმანი "ათას ერთი ღამის" პერსონაჟია, რომლებსაც სამკაულები ალიბაბას განძთსაცავიდან გამოაქვთ და თქვენ - ანუ საზოგადოებას, გათვალიერებინებენ". ეს ლამაზმანები კი რუსთაველის თეატრის მსახიობები - ნინო თარხან-მოურავი, ნანა შონია და ეკა მინდიაშვილი ბრძანდებოდნენ, რომლებიც დამთვალიერებელთა წინაშე პოზირებდნენ და თან აღმოსავლური ტკბილეულით გვიმასპინძლდებოდნენ.

"ათას ერთი ღამე" მთაწმინდაზე

ლამაზმანთა მღელვარების შოუ

მის-ბიკინი ყველაზე ლამაზია. ყველაზე ნიჭიერი კი სამშობლოში ბრუნდება

ვერა ნეფარიძე

მსოფლიოს სილამაზის კონკურსების 52 წლიან ისტორიაში წელს ჩინეთმა პირველად უმასპინძლა ყველაზე პრესტიჟულ, რეიტინგულ და გრანდიოზულ კონკურსს; "მის-მსოფლიოს" გვირგვინის მოსაპოვებლად ამ კონკურსში პირველად მიიღო მონაწილეობა ქართველმა ლამაზმანმა. კუნძულ ჰაინანზე საგანგებოდ ღონისძიებისთვის აგებული დარბაზიდან გადმოცემულ პირდაპირ ტრანსლაციას კი განსაკუთრებული მღელვარებით პირველად შაბათს, 6 დეკემბერს უყურებდა მთელი საქართველო.

მის მსოფლიო 2003 - როზანა დევისონი

მის ტალანტი - ირინა ონაშვილი

"მის-მსოფლიოს" ფინალურმა ღონისძიებამ იმაზე მეტი წარმატება ვერ მოგვიტანა, რასაც ირინა ონაშვილმა წინა ტურში მიაღწია. ფინალამდე რამდენიმე დღით ადრე გამართულ კონკურსზე სხვადასხვა ნომინაციებში (მის-სპორტი და ფიტნესი, მის-ბიკინი, მის-მეგობრობა, მის-ტალანტი, მის-ხალხის სიმპათია) გამარჯვებულებმა ნახევარფინალში და საუკეთესოთა ოცეულში მოხვედრის შანსები გაინაღდეს. მათ შორის აღმოჩნდა მის-საქართველოც, რომელმაც შორეულ ჩინეთში შესრულებული სიმღერით წლევანდელი კონკურსის ყველაზე ნიჭიერი მონაწილის წოდება დაიმსახურა. იმის გარდა, რომ ირინა ონაშვილმა რევაზ ლაღიძის სიმღერა პროფესიონალურად შეასრულა, ჟიურის წევრებზე, ორგანიზატორებსა და თავად მონაწილეებზეც განსაკუთრებულად იმოქმედა, რომ სამშობლოდან ერთთვიანი დაშორების შემდეგ ქართველმა კონკურსანტმა სწორედ მშობლიურ ქალაქს უმღერა (როგორც ირინამ გვითხრა წასვლამდე, იგი სიმღერაში ამ ზაფხულს ვოკალის საკმაოდ კარგ სპეციალისტთან ზაზა მენაბდიშვილთან, უფრო ადრე კი რობერტ ბარძიმაშვილთან ემზადებოდა). ირინა კი ამ ჟესტის წყალობით კიდევ უფრო პოპულარული გახდა მონაწილეებს შორის (რაც არაერთხელ აღინიშნა ტრანსლაციის მსვლელობისასაც). როგორც ამბობდნენ, მის-საქართველოს საკმაო შანსები ჰქონდა ხუთ ფინალისტს შორის აღმოჩენილიყო და სწორედ ესეც იყო იმ განსაკუთრებული მოლოდინის მიზეზი, რამაც შაბათს "რუსთავი 2"-ის (ტრანსლაციის გენერალური სპონსორი იყო არქიტექტურისა და სამშენებლო მენეჯმენტის კომპანია "არსი") მაყურებელი შეიპყრო. ღონისძიებას ჩინეთი საკადრისად დახვდა – და ეს გასაგებიცაა, იმ დღეს ხომ თითქმის მთელი მსოფლიოს ყურადღება კუნძულ ჰაინანის სამხრეთისკენ იყო მამრთული?! საგანგებოდ "მის-მსოფლიოს" კონკურსისთვის აიგო საკმაოდ სიმპათიური დარბაზი. ყველაზე სასიამოვნო მონაწილეებისთვის კი, ალბათ, მაინც ბუნებრივი კლიმატი იყო.

ფინალურ ჩვენებაზე საერთაშორისო ჟიურის შემადგენლობაც გაცხადდა. მათ შორის რამდენიმე მსოფლიო საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანიც აღმოჩნდა. ყველაზე ცნობილი ჟიურიში ჰოლივუდის მსახიობი ჯეკი ჩანი (შოუზე მის-სტიპენდიანტად ალბანელი ლამაზმანი დაასახელა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სწორედ ამ კონკურსის წყალობით მის-ალბანეთის განათლებას მეცენატები დააფინანსებენ) იყო; მის გარდა მსოფლიოს ულამაზეს გოგონებს აფასებდნენ: ქენდის ბუშნელი (პოპულარული სატელევიზიო სერიალის "სექსი დიდ ქალაქში" სცენარის ავტორი), აგბანი დარეგო (2001 წელს მის-მსოფლიოს ტიტულის მფლობელი და ამასთანავე პირველი შავკანიანი მის-მსოფლიო. ნიგერიელი მოდელი ამჟამად L'Oreal-ის სახეა), დიკ ციმერმანი (ცნობილი ფოტოგრაფი, რომელიც ელვის პრესლიდან დაწყებული ნიკოლ კიდმანით დამთავრებული უამრავი ვარსკვლავის ცნობილი ფოტოს ავტორია), გუსტავო ჯანეტი (ბრაზილიელი მისტერ-მსოფლიო 2003), კლაივ რობერტსონი (მსახიობი პოპულარული სატელევიზიო სერიალიდან Sunset Beach) და ჯულია მორლი ("მის-მსოფლიოს" პირველი კონკურსის ავტორის ერიკ მორლის მეუღლე). სწორედ ჟიურის ამ შემადგენლობის გადაწყვეტილებით ცნობილი გახდა წლევანდელ ლამაზმანთა სამეული: მის-ირლანდია, მის-კანადა და მის-ჩინეთი. 2003 წლის მსოფლიოს ყველაზე ლამაზი ქალბატონის გარდამავალი გვირგვინი კი 19 წლის ირლანდიელ როზანა დევიდსონს (მომღერალ კრის დე ბურგის შვილი) ერგო. რას ვიზამთ, აქსიომად ქცეული გამოთქმის მიუხედავად, ფაქტია, რომ ყველაზე მეტს მაინც გემოვნებაზე დაობენ. ამაში კიდევ ერთხელ შაბათს მაყურებელთა შორის ტრანსლაციის დროს მიმდინარე დისკუსიების დროსაც დარწმუნდებოდით. მათ კი, ვინც სანახაობით მოიხიბლა, ვეტყვით, რომ "იმიჯ-ცენტრში" დაწყებულია გოგონათა რეგისტრაცია გაისად "მის-საქართველოს" გამოსავლენად.

ოფიციალური მონაცემები მის-მსოფლიოს ისტორიიდან:

მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზულმა და პრესტიჟულმა კონკურსმა - "მის-მსოფლიო" სათავე 1951 წელს, დიდ ბრიტანეთში აიღო. კონკურსის შედეგად პირველი მის-მსოფლიო მის-შვედეთი გახდა. კონკურსის იდეის ავტორი, რომელმაც განიზრახა ეპოვნა მსოფლიოს ყველაზე ნიჭიერი და ლამაზი გოგონა ბრიტანელი მეცენატი და საზოგადო მოღვაწე ერიკ მორლია.

52 წლის განმავლობაში ვენესუელასა და ინდოეთის ლამაზმანებმა ყველაზე მეტჯერ მოიპოვეს გამარჯვება.

წელს რიგით 53-ე ღონისძიება გაიმართა. მის პრესტიჟულობასა და პოპულარულობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ დღეისათვის "მის-მსოფლიომ" უკვე 140-ზე მეტი ქვეყანა ჩააბა ფერხულში და მაყურებელთა 2 მილიარდიანი აუდიტორია ჰყავს. კონკურსი გახდა ყველაზე დიდი ქველმოქმედი საბავშვო ფონდების დასახმარებლად იმ ქვეყანაში, სადაც იმართება.

"მის-მსოფლიოს" გამარჯვებულისთვის საპრიზო ფონდი მინიმუმ 100 ათასი ამერიკული დოლარია.

მის-მსოფლიო 2003

წელს კონკურსი ჩინეთის ზომით მეორე კუნძულზე, ჰაინანზე გაიმართა. სანია – ეს არის ჩინეთის მნიშვნელოვანი პოლიტიკურ-ეკონომიკური, კულტურული და სავაჭრო პორტი, აგრეთვე ციხესიმაგრეებით ცნობილი ტურისტული ქალაქი ტროპიკული ლანდშაფტით. ანტიკური დროიდან იზიდავს ტურისტებს ტროპიკული კლიმატის გამო. წლიური ტემპერატურა 25 გრადუსია და არასდროს ეცემა 21 გრადუსზე ქვემოთ. სანია იდეალური დასასვენებელი ადგილია.

ამბები

ქართველი ვოკალისტები ტალინში

ტალინი საშობაო ფესტივალ-კონკურსს უმასპინძლებს, სადაც მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა ხელოვან-შემსრულებლები მიიღებენ მონაწილეობას. პირველად ფესტივალის არსებობის ისტორიაში ტალინში გაემგზავრება ორი ქართველი ვოკალისტი - 13 წლის თამუნა უკლება და 7 წლის თაკო წიკლაური. ფესტივალის ჟიურის ერთ-ერთი წევრია ქართველი კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია. მის თქმით, კონკურსი ხელოვნების ბევრ დარგს მოიცავს, საქართველოდან წარგზავნილები კი მხოლოდ ვოკალის კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას.

კონკურსისათვის სპეციალურად შეირჩა საესტრადო სიმღერები. თაკო წიკლაური, ქართული სიმღერის გარდა, ჰერმანის "ჰელოუ დოლის" შეასრულებს, ხოლო თამუნა უკლებას რეპერტუარში ოთარ ტატიშვილის სიმღერა "გჯეროდეს" და იტალიური მელოდიები შედის.

როგორც ნუნუ გაბუნია ამბობს, ორივე შემსრულებელს საუკეთესო ვოკალური მონაცემები აქვს და ქართული დელეგაცია მათზე დიდ იმედებს ამყარებს.

ტალინის საშობაო ფესტივალი, უკვე რამდენიმე წელიწადია, ტრადიციულად, დეკემბრის დასაწყისში იმართება. ქალაქი შობა-ახალი წლისთვის სამზადისს ასე იწყებს. ფესტივალი 6 დეკემბერს გაიხსნა და 15 დეკემბერს გალა-კონცერტით დაიხურება. **მედიანიუსი**

ჯერომ სელინჯერის ცხოვრების ამბავი

ერთხელ მწერალმა ჯერომ სელინჯერმა დაწერა, რომ "მწერლის წმინდათა წმინდა უფლება, პირადი ცხოვრების უფლებაა," და ის მუდამ ამ პრინციპის თანახმად ცხოვრობდა. ალბათ ამიტომაცაა, რომ ჭორების მოყვარულები არნახული სიხარულით ხვდებიან მისი ცხოვრების სულ პატარა დეტალებსაც კი. ამჯერად ეს ცნობისმოყვარე საზოგადოება სელინჯერის ყოფილმა თანამშრომელმა გაახარა – ჟურნალისტების თქმით, ის "ალაპარაკდა".

1951 წლის 16 ივლისს გამოქვეყნდა "თამაში ჭვავის ყანაში". დღეისათვის 16 წლის ჰოლდენ კოლფილდის ამბავი 60 მილიონ ეგზემპლარადაა გაყიდული. მსოფლიო აღფრთოვანდა, წიგნის ავტორი კი გაქრა. ის არც ინტერვიუებს იძლეოდა და არც თავის თაყვანისმცემლებს ელაპარაკებოდა. 1965 წლის შემდეგ სელინჯერს აღარაფერი გამოუქვეყნებია, ის მხოლოდ მაშინ იღებს ხოლმე ხმას, როცა პირატული გამოცემებისა თუ ცრუ ბიოგრაფების წინააღმდეგ უწევს ბრძოლა. 81 წლის მწერალი თავის მეუღლესთან ერთად ნიუ ჰემპშირში ცხოვრობს.

ჯერომ სელინჯერის პირადი ცხოვრების დეტალები მხოლოდ მისი ქალიშვილის, მარგარეტის და ყოფილი შეყვარებულის, ჯოის მეინარდის მოგონებებიდანაა ცნობილი.

ახლა კი ის Harold Ober Associates თანამშრომელმა გადაწყვიტა, რომ მისი ჯერი დადგა. ეს საზოგადოება მწერლის პირადი ცხოვრების სადარაჯოზე იდგა. ჯეიმ კლარკის საქმე ის იყო, რომ სელინჯერის მიერ აგენტებისთვის გაგზავნილი წერილები გაეხსნა. ცხადია, მან ეს წერილები წაიკითხა კიდეც. კლარკის თქმით, მან ზუსტად იცის "ავტორის შინაური ცხოველების ავადმყოფობების ამბავი, იცის, რომ მისი საყვარელი ფილმი ბილი ვაილდერის მიერ 1945 წელს გადაღებული "დაკარგული კვირადღეა", იცის, რომ ორიოდე წლის წინათ მისი სახლი კინაღამ დაიწვა, მაგრამ ამჟამად კვლავ აღდგენილია, და ისიც იცის, რომ ის სხვადასხვა სახელებით მოგზაურობს ხოლმე". მართალია, სელინჯერი ყოველთვის სახელ ჯერის ირჩევდა ხოლმე, რადგან მისი ცოლი სხვა სახელებს ვერ იმახსოვრებდა. გარდა ამისა – ამის ცოდნით სხვისი წერილების გულმოდგინედ მკითხველი განსაკუთრებით ამაყობს – სელინჯერი სულაც არ აზის ხელნაწერების მთას, რომლებიც მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდება.

კლარკი იუწყება, რომ სელინჯერი არავის დართავს ნებას, "თამაში ჭვავის ყანაშის" ეკრანიზაცია მოახდინოს.

ამ დროს თავად კლარკს სელინჯერთან მხოლოდ ერთხელ უსაუბრია, 1998 წელს, როცა ავტორმა ტელეფონით დარეკა. კლარიკი წერს, რომ მას ყურმილში ღრიალი უწევდა, რადგან სელინჯერი თითქმის დაყრუებულია.

იმედია, სელინჯერი კლარკს უჩივლებს და ციხეში თუ ვერ ჩააყუდებს, მაგრად მაინც შეძლებს მისთვის ნერვების მოშლას.

"მშვიდობით, ლენინ!" - ოპტიმისტური შეხვედრა ევროპულ კინოსთან

თამარ ბაბუაძე

შარშან იმრე კერტეში, ჰოლოკოსტის თემაზე შექმნილი რომანით, ლიტერატურული ნობელის ლაურეატი გახდა. წელს გერმანული და თან უფრო საამაყო გერმანული თემატიკის პოპულარიზაცია კინემატოგრაფმა იტვირთა – ევროპული კინოს დაჯილდოების ცერემონიალზე ექვსი პრიზი გადასცეს ვოლფგანგ ბეკერის ფილმს "მშვიდობით, ლენინ!" თუმცა, ევროპის საუკეთესო რეჟისორის წოდება "დოგვილის" ავტორმა, ლარს ფონ ტრიერმა მიიღო.

კადრი ფილმიდან "მშვიდობით ლენი!" - ადამიანი სოციალისტური საზოგადოების ცენტრში დგას

"და საუკეთესო ფილმი არის პედრო ალმოდოვარის "ელაპარაკე მას" – ასეთი იყო შარშანდელი "ფელიქსის" მთავარი შედეგი, რომელიც რომის ოპერაში გამართულ ცერემონიალზე გამოვლინდა.

წელს პედრო ალმოდოვარმა ერთგული მაყურებელი დაასვენა. თუმცა, ჩვენი გონების ინტენსიურად ამუშავებაზე, საშინელ არითმიასა და წარმოსახვის უკიდურესად დაძაბვაზე სტივენ ფრირზმა, ლარს ფონ ტრიერმა, ფრანსუა ოზონმა და სხვებმა იზრუნეს. რამდენიმე მათგანი შაბათს, ბერლინში გამართული, რიგით მე-16 კინოშოუს შემდეგ შინ "ფელიქსით" ხელდამშვენებული დაბრუნდა.

ყველაზე მეტი სიხარული კი მაინც იქვე, გერმანიაში დარჩა. ვოლფგანგ ბეკერის **"მშვიდობით, ლენინ!"** სამი მთავარი პრიზით დაჯილდოვდა. ის წლის საუკეთესო ფილმი გახდა, მთავარი როლის შემსრულებელი დენიელ ბრუელი – საუკეთესო მსახიობი, ბერნდ ლიხტენბერგი კი – საუკეთესო სცენარის ავტორი.

ბეკერის სურათმა მოიპოვა სამი მთავარი პრიზი "ხალხის არჩევანის" კატეგორიაშიც, რომელიც ინტერნეტ-გამოკითხვის სახით ჩატარდა. მაყურებელმა ვოლფგანგ ბეკერი საუკეთესო რეჟისორად აღიარა, კატრინ სასი და დენიელ ბრუელი კი – საუკეთესო მსახიობებად.

ასე რომ, კერტეშისა და ფილმის "არსად აფრიკაში" (ჰოლოკოსტის თემაზე შექმნილი დრამა მერაბ ნინიძის მონაწილეობით) წარმატებების შემდეგ, გერმანული თემატიკა წელსაც მოდაში დარჩა. თუმცა, ამჯერად გაცილებით უფრო დადებითი მუხტით – ბეკერის მრავალგზის დაჯილდოებული სურათი ხომ კომედიაა ორი გერმანიის გაერთიანებასა და ამ პროცესის თანმხლებ ტკბილ-მწარე მოგონებებზე.

მეტიც, გერმანული კულტურა იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ მან ევროპელებს ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვანი თემა დაავიწყა, მათ შორის, არალეგალური ემიგრანტების ძალზე მტკივნეული პრობლემაც, რომელიც კონკურსის ოთხ ნომინაციაზე **სტივენ ფრირზის შავ-ბნელი დრამით "ბინძური კარგი ამბებით"** იყო წარმოდგენილი და რომელიც საერთოდ უპრიზოდ დარჩა (სხვათა შორის, "ამირანში" ამ ფილმის ჩვენებაზე კურიოზები არ წყდებოდა. თინეიჯერ მაყურებელს ფრირზი ტიპური ჰოლივუდური თრილერების ავტორი ეგონა და "არაფერი არ ხდება"-ს მსგავსი უკმაყოფილო შეძახილებით ხვდებოდა სასტიკად დინჯ ფრირზულ თრილერს).

ექვსგზის გამარჯვება კი გერმანელებს, ცხადია, ძალიან აამაყებთ. ფილმის პროდიუსერი სტეფან არნდტი ამბობს: **"საოცარია, რომ 300 მილიონზე მეტმა მაყურებელმა ევროპაში უპირატესობა მიანიჭა გერმანულ ფილმს, რომელშიც გერმანულად ლაპარაკობენ – ამ საზიზღარ, უხეშ ენაზე"**. რეჟისორი კი დასძენს: **"ფილმი შეიძლება ძალიან გერმანული იყოს, მაგრამ მასში ისეთი უნივერსალური გრძნობებია განხილული, როგორიც დედა-შვილური სიყვარულია. ვფიქრობ, ამიტომაც მოაწონა სურათმა მაყურებელს თავი"**.

შეგახსენებთ, რომ თუ ორი გერმანიის გაერთიანების ისტორიული თარიღი, 4 ოქტომბერი წელს თქვენც გაგახსენდათ, აუცილებლად ნახავდით გოეთეს ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებულ ამ ფილმს, რომელიც იქვე, ზანდუკელის ქუჩაზე უჩვენეს. ეს ფილმი თავს იმ შემთხვევაშიც დაგამახსოვრებდათ, თუ შარშანდელ ბერლინალეს ადევნებდით თვალს. ხოლო თუ "მშვიდობით, ლენინ!" მაინც არაფერს გეუბნებათ, გეტყვით, რომ ის კომუნისტი ქალისა (კეტრინ სასი) და მისი შვილის (დენიელ ბრუელი) ამბავს მოგვითხრობს.

ქალი ბერლინის კედლის დაცემამდე რამდენიმე ხნით ადრე კომაში ჩავარდება და რვა თვის შემდეგ გამოფხიზლდება. ექიმი ვაჟს აფრთხილებს, რომ შესაძლოა, დედა ამ გრანდიოზულ ცვლილებას ვერ შეეგუოს და მას ემსხვერპლოს კიდეც. ამიტომ შვილი იძულებულია, კომუნისტური ბერლინის სულისკვეთება სახლში შეინარჩუნოს და დედას დაუმალოს, რომ "გდრ" ბუნებაში აღარ არსებობს... ასე იწყება გარდაუვალ ისტორიულ სამართლიანობასთან შეგუების ტკბილ-მწარე გზა, რომელიც, როგორც ხედავთ, ბერლინელებთან ერთად დანარჩენმა ევროპამაც ძალიან ახლობელ თემად მიიღო.

ცხადია, "მშვიდობით, ლენინ!" ძალიან წარმატებული იყო თვითონ გერმანიაშიც. "როიტერის" ცნობით, გერმანული კინოთეატრებიდან ფილმმა 7 მილიონი ბილეთი გაყიდა და 40 მილიონი დოლარი დააგროვა. ის რვა პრიზით აღინიშნა ივნისში გამართული გერმანული კინოს დაჯილდოების ცერემონიალზეც.

ფრირზის მსგავსად ოთხ ნომინაციაში ლიდერობდა კანის ფესტივალის კინოკრიტიკოსების ფავორიტი და "ამირანის" მაყურებლისთვის ასევე კარგად ცნობილი **"დოგვილი"**.

ეს ფილმი ბევრმა თბილისელმა ისევე, როგორც ბევრმა ევროპელმა ლარს ფონ ტრიერის წინა სურათის **"მოცეკვავე წყვდიადში"**-ს გამო უფრო ნახა. თუმცა, შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს ერთბაშად იყო თეატრი კინოში (კინოკამერა, ალბათ, ძლივს "შეეგუა" თეატრალურ დეკორაციებსა და მხოლოდ რაკურსით ცვალებად ერთადერთ პავილიონს; ისევე როგორც მაყურებელი დაიბნა, როცა აღმოაჩინა, რომ დიდ კინოეკრანზე უყურებდა დახშულ, ბნელ დარბაზში დადგმულ ფილმს – წარმოსახული ქუჩით, დეკორატიული ბუჩქითა და იატაკზე ცარცით შემოსაზღვრული სახლებით); და ამავე დროს ეს იყო ფილმი – სავსე მძიმე და სასტიკი სიბრძნითა და ვარიაციებით რამდენიმე მთავარ იდეაზე, მათ შორის – პროვინციული დასახლების ხასიათზე, ჩვენებურად – თემსა და პიროვნების მასთან დაპირისპირებაზე.

"მშვიდობით, ლენინ!-ის" "ამოჩემების" მიუხედავად, ევროპული კინოს აკადემიამ "დოგვილს" ბოლომდე მაინც ვერ აუარა გვერდი და ოთხი ნომინაციიდან მისთვის ერთ-ერთი მთავარი გაიმეტა – ლარს ფონ ტრიერი წლის საუკეთესო ევროპელ რეჟისორად დაასახელა. ფილმი საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვისაც დააჯილდოვეს.

შინ გამარჯვებული გაუშვეს ფრანსუა ოზონიც, უფრო ზუსტად კი მისი მსახიობი შარლოტა რემპლინგი. ეს ქალბატონი **"აუზში"** შესრულებული როლისთვის საუკეთესო მსახიობი ქალი გახდა.

სპეციალური ჯილდო გადასცეს ფრანგ რეჟისორს, **კლოდ შაბროლს**, რომელმაც მადლობა ასე გადაიხადა: **"ეს პრიზი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მე მჯერა ევროპული კინემატოგრაფის. მას მომავალი განვითარებისთვის სულ უფრო მეტი საერთაშორისო ფილმი სჭირდება"**. თემას გამოეხმაურა ევროპული კინოს აკადემიის პრეზიდენტი, რეჟისორი ვიმ ვენდერსიც: **"ევროპული ფილმები გაცილებით უფრო კარგია, ვიდრე მათ მსოფლიოს სხვადასხვა კინოთეატრებში აფასებენ"**.

აი, ასეთი შედეგებით დასრულდა წელს "ფელიქსი", რომელიც მომავალ წელს ბარსელონაში გაიმართება.

ჩვენ კი, თბილისში, ძალიან გვახარებს ის ფაქტი, რომ ქართველების "მაშასადამე ევროპელობა" სულ უფრო ხშირად "აღინიშნება" ჩვენს ქალაქში ევროპული ფილმების დროული და ლეგალური ჩვენებით. ეს ხომ საქმეს უადვილებს პრესასაც – თუ დიდ კინოღონისძიებებზე წასვლას ვერ ვახერხებთ ("ფელიქსის" არ იყოს), კონკურსანტი ფილმების უმრავლესობას შინ მაინც ვნახულობთ...

ანგელოზი კინოსა და ხელოვნებაში

უსქესო, ფრთაშესხმული, ხელშეუხებლობის აურით მოცული არსება ბერლინის კინომუზეუმში გახსნილი გამოფენის ცენტრალური ფიგურა გახლავთ. გამოფენა "ფრთის შემოქნევა – ანგელოზი ფილმში" დამთვალიერებელს ზეციურ სამყაროს აზიარებს.

პროექტის ავტორის, ნიკოლ როთერის თქმით, ჩვენების მიზანი არის პასუხი კითხვაზე – რამდენად შესაძლებელია არამატერიალურის მატერიალური ფორმით გადმოცემა. ამ კითხვაზე პასუხს, უპირველეს ყოვლისა, ალორძინების ხანის სახვითი ხელოვნება და თანამედროვე კინოხელოვნება იძლევა. პროექტის "სულის შთამბერავად" რეჟისორი ვიმ ვენდერსი და მისი ანგელოზი ფილმიდან "ზეცა ბერლინის თავზეა" დასახელებული.

დარბაზებში გამოფენილია ნახატები, კოსტუმები, მიმდინარეობს ფილმების ნაწყვეტების ჩვენება. ანგელოზის ფრთის შემოქნევის ხმას ორი აკუსტიკური ინსტალაცია განასახიერებს. სურათების გამოფენა თავად მუზეუმის კოლექციიდან 24 ნამუშევარს მოიცავს.

ორგანიზატორები გეგმავენ, რომ 2004 წლის ბოლოს გამოფენა ფრანკფურტში, გერმანული კინოს მუზეუმში გადაინაცვლებს.

მოკლედ

ძიუდოისტთა ნაკრები ლონდონიდან გამარჯვებული დაბრუნდა

ძიუდოისტები თბილისის აეროპორტში

5 დეკემბერს ლონდონში გაიმართა ევროპის გუნდური ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელიც ტურნირის ნახევარფინალებსა და ფინალს მოიცავდა. საქართველო ევროპის მოქმედი ჩემპიონი იყო და ტურნირზე, რომელიც ერთ დღეს გრძელდებოდა, ფავორიტის როლში ჩავიდა.

ნახევარფინალში საქართველოს ნაკრები მასპინძლებს - ინგლისელებს დაუპირისპირდა და პირწმინდად მოუგო (6:1). ფინალში საქართველოს მეტოქე ესპანეთის ნაკრები იყო. დიდი პრობლემები ჩვენს ძიუდოისტებს არც ესპანეთთან შექმნიათ – 4:3.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა და ინგლისიდან გუშინ დაბრუნდა.

აეროპორტში საზეიმო განწყობა იყო. ამბობდნენ, რომ ამ ტურნირზე წარუმატებლობა საცოდაობა იქნებოდა. ასეთივე აზრის იყო საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი. "ლონდონში, ფინალურ ეტაპზე გამგზავრებამდე ჩვენმა ბიჭებმა რამდენიმე ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს და დასანანი იქნებოდა, რომ ოქროს მედლები ვერ შეგვენარჩუნებინა", - განაცხადა ხაბულიანმა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, შოთა ხაბარელმა კი ხაზი გაუსვა იმას, რომ "შენარჩუნება მოპოვებაზე უფრო ძნელია".

აბრამოვიჩი ყველაზე მდიდარი "ბრიტანელია"

თავის იანვრის ნომერში ინგლისური საფეხბურთო ჟურნალი "FourFourTwo" ბრიტანული ფეხბურთის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიის გამოქვეყნებას გეგმავს. ჟურნალმა უკვე ჩაატარა გამოკვლევა, რითაც ბრიტანეთის საფეხბურთო სამყაროს წევრთა ქონება დაადგინა. მიუხედავად იმისა, რომ "FourFourTwo"-ს იანვრის ნომერი დაახლოებით ოცი დღის შემდეგ გამოვა, გამოკვლევის შედეგები უკვე ცნობილია. ჩვენც საშუალება გვაქვს, თვალი გადავავლოთ მილიონერთა სიას.

ბრიტანული ფეხბურთის ასი უმდიდრესი ადამიანის სიას რუსი მილიარდერი, ლონდონის "ჩელსის" მეპატრონე რომან აბრამოვიჩი ლიდერობს. "FourFourTwo"-ს გამოკვლევის მიხედვით, აბრამოვიჩის ქონება 5500 მილიონ გირვანქას (10 მილიარდი აშშ დოლარი) შეადგენს.

მეორე ადგილზეა ჯოზეფ ლუისი - 2200 მილიონი გირვანქა. ლუისი ბრიტანელია, თუმცა, ახლა ბაჰამის კუნძულებზე ცხოვრობს. მისი კუთვნილი საინვესტიციო კომპანია ENIC-ი "ტოტენჰემ ჰოთსფურისა" და გლაზგოს "რეინჯერსის" მოწილეა.

მესამე პოზიციაზე, 700 მილიონი გირვანქის ოდენობით, ტრევორ ჰემინგზია. ინგლისელი მულტიმილიონერი ტურისტული ბიზნესითა და აზარტული თამაშებით არის დაკავებული. ჰემინგზი "ბოლტონის", "ჩარლტონისა" და "პრესტონ ნორს ენდის" აქციებს ფლობს.

დერმოტ დესმონდი ირლანდიის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანია. მისი ქონება 660 მილიონ გირვანქას შეადგენს. სასტარტო კაპიტალი საბირჟო ბროკერად მუშაობისას დააგროვა, ახლა კი ლონდონის ერთ-ერთი აეროპორტის, გლაზგოს "სელტიკის" აქციათა უმსხვილესი პაკეტის და "მანჩესტერ იუნაიტედის" მოწილეა. "Four FourTwo"-ს სიაში დესმონდი მეოთხე ადგილს იკავებს.

ეგვიპტელი მილიარდერი და "ფულჰემის" მფლობელი მოჰამედ ალ ფაიედი მე-9 პოზიციაზეა. მისი ქონება 560 მილიონ გირვანქად არის შეფასებული.

ბიზნესმენების გარდა "Four FourTwo"-ს სიაში მრავლად არიან თავად ფეხბურთელები. მადრიდის "რეალისა" და ინგლისის ნაკრების წევრი, დევიდ ბექჰემი ფეხბურთელთაგან უმდიდრესია (60 მილიონი გირვანქა). ამ სიაში ბექჰემი 43-ე ადგილს იკავებს. 73-ეა მაიკლ ოუენი, რომლის ანგარიშზე 21 მილიონი გირვანქაა. მას ერთი მილიონით ჩამორჩება ალან შირერი და სიაში 74-ე ადგილზეა. 18-მილიონიანი ქონების პატრონი, "მანჩესტერელი" როი კინი 85-ე პოზიციაზეა, ხოლო 16-16 მილიონი გირვანქა აქვთ რაიან გიგზსა და სოლ კემპბელს, რომლებიც 89-ე და 90-ე პოზიციებს ინაწილებენ.

მწვრთნელთა ხელფასი მკვეთრად ჩამოუვარდება თავად მოთამაშეთა შემოსავლებს, თუმცა, მანჩესტერელთა თავკაცი, სერ ალექს ფერგიუსონი "FourFourTwo"-ს სიაში მაინც შევიდა. შოტლანდიელი მწვრთნელის ქონება 15 მილიონ გირვანქად შეფასდა.

სიაში ფიგურირებს ცნობილი პოპ-ვარსკვლავის, ელტონ ჯონის გვარიც. პოპულარული მუსიკოსი კლუბ "უოტფორდის" და 185-მილიონიანი ქონების პატრონია. "FourFourTwo"-ს სიაში ის 23-ე ადგილს იკავებს.

TV–სპორტი

ორშაბათი. 8 დეკემბერი

НТВ+ФУТБОЛ
08:30 NBA TV. NBA შიგნიდან
09:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: ტინი არჩიბალდი
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
13:00 თავისუფალი ჭიდაობა
13:25 იტალიის ჩემპიონატი
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი
17:00 თავისუფალი ჭიდაობა
17:15 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
17:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. 1/16 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:50 "ჭიდაობა გოლისთვის"
20:05 საფეხბურთო უიკ-ენდი
20:50 სახვალიო ტელეპროგრამა
20:55 მსოფლიო ჩემპიონატი არაბეთის გაერთიანებულ სახალიფოში. იუნიორები. 1/16 ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
22:50 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
00:40 ბრაზილიის ჩემპიონატი
02:25 02:25-დან 04:00-მდე შესვენება
04:00 NBA TV. NBA-ს ლეგენდები: კევინ მაკჰეილი
05:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
05:30 NBA TV. დღიური
06:00 NBA TV. "DALLAS MAVERICKS" - "ORLANDO MAGIC". პირდაპირი ტრანსლაცია

НТВ+СПОРТ
11:00, 14:00, 17:15, 20:00 პრესცენტრი
11:15, 20:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:15 აერობიკა
12:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი კანადაში. ქალები. სწრაფდაშვება
13:15 "ნოკაუტი" ტელეჟურნალი პროფესიულ კრივზე
14:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი აშშ-ში. ვაჟები. სწრაფდაშვება
15:40 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი კანადაში. ქალები. სწრაფდაშვება
16:45 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
17:30 "ფრისტაილი". ტელეჟურნალი
18:00 "NHL – პლუს"
18:15 "სპორტის აკვატორია"
18:45 ბილიარდი. ევროპის ჩემპიონატი რუსულ ბილიარდში. კიევი
19:30 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
20:20 სახვალიო ტელეპროგრამა
20:30 მაგიდის ჩოგბურთი. "Japan Open 2003"
21:30 "ორშაბათამდე გავატანთ"
22:00 პროფესიული კრივი. ვიტალი კლიჩკო – კირკ ჯონსონი
00:00 "NHL – პლუს"
00:15 ბრძოლა K1-ის ვერსიით. საერთაშორისო ტურნირი გრან-პრი. შესვენებისას (01:00) ახალი ამბები

EUROSPORT
11:30 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
14:00 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასი იტალიაში
15:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
16:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა
19:00 კერლინგი. ევროპის ჩემპიონატი იტალიაში
22:00 ფეხბურთი. ევროგოლები
23:00 K1-ის-ლეგენდები
00:00 K1-ის-ლეგენდები
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

ჩემპიონი რიკოთს აქეთ გაირკვევა

მიხეილ აბაიშვილი

"ლოკომოტივი" - "თბილისი"

ჰოლივუდის თრილერის სცენარით წარმართულ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველ ეტაპზე კვანძი, ჟანრის შესაფერისად, სულ ბოლო ტურში გაიხსნა. ამ მომენტამდე ზეექვსეულის 3 ვაკანტური ადგილის დაკავების შანსი ჰქონდა 5 გუნდს: "ლოკომოტივს", "თბილისს", "დილას", "ბათუმსა" და "ტორპედოს". ბოლო ტურმა ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა: ჩემპიონობისთვის ბრძოლას გაზაფხულიდან "თბილისი", "ლოკომოტივი" და "დილა" გააგრძელებენ. პირველი ეტაპის მთავარ სენსაციად კი საუკეთესო ექვსეულს მიღმა ქუთაისის "ტორპედოს" დარჩენა შეიძლება ჩაითვალოს. ქუთაისელებმა ჩემპიონატში ზედიზედ სამჯერ გამარჯვების შემდეგ ტიტული "დინამოს" წინა სეზონში დაუთმეს და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ, მარტიდან კი სულაც უძლიერესთა კამპანიაში ადგილის შენარჩუნებისთვის მოუწევთ ბრძოლა. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოდან ზეექვსეულში ვერც ერთი გუნდი ვერ მოხვდა. "ბათუმმა" ამის შანსი გუშინ ეროვნულ სტადიონზე გააყოლა ქარს, წინა სეზონში მეხუთე ადგილზე გასულ "კოლხეთს" წლეულს ამის პრეტენზია არც ჰქონია, ხოლო "სპარტაკი-ლაზიკა" და "მერცხალი" ჩემპიონატის გამოკვეთილი აუტსაიდერები არიან და, თუ სასწაული არ მოხდა, სავარაუდოა, რომ სეზონს გასავარდნ ზონაში დაასრულებენ.

3 საგზურის ბედი კი 3 მატჩში გაირკვა. ეროვნულ სტადიონზე 32-ქულიანი "ბათუმი" "დინამოს" სტუმრობდა და, წარმატების შემთხვევაში, დანარჩენი 2 თამაშის შედეგისგან დამოუკიდებლად, მეორე ეტაპზე ზედა ექვსეულში დაფუძნდებოდა. თუმცა, შეხვედრის პირველივე წუთებიდან ნათელი გახდა, რომ ამ სეზონში ზეექვსეული ზღვისპირელთათვის ზეამოცანა და მიუღწეველი ოცნება იყო. "დინამომ" პირველივე ტაიმში 3 უპასუხო გოლი (2 - იაშვილი, ალექსიძე) გაუტანა მეტოქეს. მეორე ნახევარში ალექსიძემ და იაშვილმა კიდევ თითოჯერ აიღეს ბათუმელთა კარი. ახალგაზრდა იაშვილისთვის "ბათუმთან" გატანილი 3 გოლი მის კარიერაში საქართველოს ჩემპიონატში შესრულებული პირველი "ჰეთ-თრიკი" იყო.

თამაშები ყველა სტადიონზე ერთდროულად, 14 საათზე დაიწყო. პირველივე ტაიმის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საგზურისთვის მებრძოლ ხუთეულს ერთი გუნდი – "ბათუმი" გამოაკლდა. თანაც, ისიც გაირკვა, რომ "ლოკომოტივი", რომელიც "თბილისს" მასპინძლობდა, ამ მატჩის შედეგისგან დამოუკიდებლად, ზეექვსეულში იკავებდა ადგილს. ამ მომენტისთვის კი "ლოკომოტივის" სტადიონის ტაბლოზე ორი 0 ციმციმებდა. შეხვედრის მეორე ნახევარში უმოტივაციოდ დარჩენილმა ცაკარიასის შეგირდებმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწიეს სტუმრებს. მით უმეტეს, რომ "ლოკომოტივს" ამ მატჩში სერიოზული საკადრო პრობლემებიც ჰქონდა. ყვითელი ბარათების სიჭარბის გამო დისკვალიფიცირებულმა დავით სირაძემ, რომელიც საუკეთესო მეგოლეა, ვერ ითამაშა. "თბილისის" რიგებიდან ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა ამ გუნდის საუკეთესო სნაიპერმა, სულიკო დავითაშვილმა, რომელიც ერთ დროს "ლოკომოტივის" რიგებს იცავდა. ეს მოხდა მატჩის 75-ე წუთზე, რის შემდეგაც "ლოკომოტივს" მაინცდამაინც აღარ უცდია მოედანზე ვითარების შეცვლა. თუმცა, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ალბათ, ბევრი არაფერი გამოუვიდოდა, რადგან "თბილისმა" ამ შეხვედრაში სანაქებო მიზანსწრაფვა და თავდადება გამოავლინა. შეიძლება ითქვას, რომ ის დამსახურებულად მოხვდა ზეექვსეულში.

მართალია, ქუთაისის "ტორპედოს" "ლოკომოტივის" დამარცხება ხელს არ აძლევდა, მაგრამ საკუთარი ბედი მაინც მის ხელში იყო: საუკეთესოთა კამპანიაში ადგილის მოსაპოვებლად უშუალო კონკურენტი, გორის "დილა", 2 ბურთის სხვაობით უნდა დაემარცხებინა. თუ ასე მოხდებოდა, სამი გუნდი – "ლოკომოტივი", "დილა" და "ტორპედო" 34-34 ქულას დააგროვებდა, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში ბურთების უკეთესი სხვაობის გამო ზეექვსეულში ადგილს "ტორპედო" და "ლოკომოტივი" დაიკავებდნენ. "ტორპედო" მატჩის დასაწყისიდანვე შეუდგა საქმეს და პირველსავე ტაიმში ნერგაძის გოლით დაწინაურდა, მაგრამ, დიდი მცდელობის მიუხედავად, მისთვის უმნიშვნელოვანესი მეორე გოლის გატანა ვეღარ შეძლო, ასე რომ, მოუწევს, საჩემპიონატო ამბიციები ერთი სეზონით გადადოს.

22-ე ტური

დინამო 5:0 ბათუმი
ტორპედო 1:0 დილა
ლოკომოტივი 0:1 თბილისი
ვიტ ჯორჯია 2:0 სიონი
სპარტაკი 2:0 მერცხალი
კოლხეთი 3:2 მცხეთა

პირველი ეტაპის საბოლოო ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
დინამო	22	15	5	2	48-8	50
ვიტ ჯორჯია	22	12	6	4	27-15	42
სიონი	22	11	7	4	30-17	40
თბილისი	22	10	5	7	41-26	35
ლოკომოტივი	22	10	4	8	32-24	34
დილა	22	10	4	8	28-20	34
ტორპედო	22	10	4	7	27-24	34
ბათუმი	22	10	2	9	26-27	32
კოლხეთი	22	7	3	12	21-33	24
მცხეთა	22	6	2	14	25-56	20
სპარტაკი	22	4	4	14	14-47	16
მერცხალი	22	2	4	16	18-45	10

მოკლედ

ბზდელიკი და კომპანია...

აუტსაიდერად შერაცხული "ნაგეთსი" ერთ-ერთი ფავორიტია

სანდრო ნავერიანი

ფავორიტებზე ლაპარაკით, ალბათ, თავი მოგაწყინეთ. ყოველდღე "ლეიკერსსა" და "სფარსზე" წერა არცთუ ისე სასიამოვნოა, მაგრამ რა ვქნა? მათ გარდა, არავინ ყოფილა ყურადღების ღირსი. ახლა კი ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში გამოჩნდნენ ისეთი გუნდები, რომელთაც "აღმოჩენას" უწოდებენ. ერთ-ერთი ასეთია "იუტა ჯაზი". ის "იუტა ჯაზი", რომელიც მელოუნმა და სტოქტონმა დატოვეს და რომლის წარმატებაც წარმოუდგენელი იყო. სეზონის დასაწყისში ყველა ამბობდა: ერთადერთი, რაც იუტელებს ამ სეზონში შეუძლიათ, ეს არის ის, რომ გუნდი არ დაიშალოსო. მაგრამ ჯაზმენებმა და მათმა მთავარმა მწვრთნელმა სლოანმა ყველა გააოცეს. იუტელებმა არათუ შეინარჩუნეს გუნდი, არამედ კონფერენციის ერთ-ერთ ლიდერადაც იქცნენ. ჯაზმენთა წარმატება დიდად არის განპირობებული რუსი ანდრეი კირილენკოს შედეგიანი თამაშით. კირილენკო უკვე ორჯერ დასახელდა კვირის საუკეთესო კალათბურთელად და რეგულარული ჩემპიონატის პირველი თვის საუკეთესო კალათბურთელიც გახდა. "იუტამ" 18 თამაშიდან 11 სასურველი შედეგით დაასრულა და ამით პლეი-ოფში გასვლის ერთ-ერთი პრედენდენტი გახდა.

